პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან დღის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ., განმეორებული გარდა განცხადების ფასის იკლებს 10% საქალაქო განცხადებებს, თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შუაგულებში—შეღავათი. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%—ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

პარასკევი, 27 მაისი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 118 (1863)

დ ღ ი უ რ ი

- ჩან-კაი-შის არმია მიიწევს პეკინისაკენ.
- დიდი ხმები, რომ სუნ-ჩუან-ფანი ტყვედ ჩავარდა.
- წყნარ ოკეანის მუშათა კონფერენციამ გამოუშვა მოწოდება არკოსზე თავდასხმის წინააღმდეგ.
- პოლონეთში მელიორატორების გაფიცვა გამოცხადდა.
- ჩეხო-სლოვაკიის კოოპერატორ[illegible] გადაწყვიტა [illegible].
- დონბასში ქვანახშირის რაიონის დასათვალიერებლად ჩავიდა ამხ. კუიბიშევი.

„კომუნისტი"
მიიღება ხელის მოწერა
ივნისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

ბოლდუინის გამოსვლა თემთა პალატაში

ამხ. ლიტვინოვის განცხადება ინგლისთან დამოკიდებულების შესახებ

ინგლისის მთავრობის ბრალდებათა სრული უსაფუძვლობა.—კონსერვატორები ომს ამზადებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

საბჭ. მთავრობა ფხიზლად დგას მშვიდობიანობისა და ქვეყნის თავდაცვის სადარაჯოზე.—ამხ. როზენგოლცი ამხელს ბოლდუინის „არგუმენტაციის" სიყალბეს

ვინ არიან ისინი

ამრიგად, ორი უდიდესი ქვეყანა—ინგლისი და საბჭოთა კავშირი ურთიერთობის შეწყვეტის წინაშე დგანან. კონსერვატორების, შუბლმაგრების, ავანტიურისტების, მძარცველების და არკოსზე ყაჩაღური თავდასხმის გმირების მთავრობა სააშკარაოზე გამოვიდა. მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს შესწყვიტოს ურთიერთობა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირთან. მან უკვე თავაზიანად აცნობა ფაშისტური იტალიის ელჩს ლონდონში თავისი „კეთილშობილი" გადაწყვეტილების შესახებ, რომელსაც შეიძლება მეტად საბედისწერო შედეგები მოჰყვეს.

ავანტიურების უმაღლესი რგოლი: სიყალბე, რომლის მეოხებითაც შუბლმაგარმა გაიძვერებმა ჩაიგდეს ძალაუფლება, პროვოკაცია, თავხედური და სისტემატიური პროვოკაცია, დიპლომატიური და პოლიტიკური იერიშები საბჭოთა კავშირის მიმართ, ჩვენ სავაჭრო წარმომადგენლობაზე თავდასხმა და მისი გაძარცვა დღის სინათლეზე და ეხლა კავშირის გაწყვეტა შრომის რესპუბლიკასთან, — ეს რგოლი, კონსერვატორების ზრახვების მიხედვით, კიდევ უნდა გაგრძელდეს და დამთავრდეს ომით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ლიტვინოვის ინტერვიუში ზედმიწევნით არის შეფასებული გამოსვლები და მშვიდობიანობის დარღვევის პოლიტიკა, რომელსაც დღითი-დღე აწარმოებს ინგლისის რეაქციონური მთავრობა.

პასუხისმგებლობა ურთიერთობის შეწყვეტისათვის, რომელიც დღეს ოფიციალურად იქნება გატარებული თემთა პალატაში, სავსებით და მთლიანად ეკისრება ინგლისის ყაჩაღურ მთავრობას. ყველამ დაინახა, თუ როგორ გადაჯვარედინდა ორი პოლიტიკა: მშვიდობიანობის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებდა წითელი რესპუბლიკა, და პროვოკაციის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებდენ კონსერვატორები. ყველა ხედავდა, რომ კონსერვატორებს უნდოდათ ურთიერთობის შეწყვეტა, რომ ისინი სცდილობდენ, რათაც არ უნდა დაჯდომოდათ, შეეწყვიტათ მშვიდობიანი ურთიერთობა ჩვენთან.

უსინდისოდ და უზადრუკად, თვალთმაქცურად და მუხანათურად გაისმოდა კონსერვატიული კაბინეტის მეთაურის ბოლდუინის სიტყვები იმის შესახებ, რომ ინგლისის მთავრობამ „გამოიჩინა მოთმინება და თავდაჭერილობა", ალბათ, უმაგალითო საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში.

არკოსზე თავდასხმა, თურმე, ბოლდუინის „უმაგალითო თავდაჭერილობას" მოწმობს. ჩვენ კი, გულუბრყვილოებმა, ეს ვერ შევნიშნეთ. ჩვენი თანამშრომლების შეურაცხყოფა, შკაფების ქურდული გატეხვა,—ესეც ინგლისის მთავრობის „უმაგალითო თავდაჭერილობის" აქტია. ჩან-ძო-ლინის თავდასხმა ჩვენს სრულუფლებიან წარმომადგენლობაზე პეკინში, რომლის სულის ჩამდგმელიც იყო ინგლისი, განა ბოლდუინის „თავდაჭერილობა" არ არის? საბჭოთა კავშირის განუწყვეტელი, ბინძური, გააფთრებული ლანძღვა კონსერვატიული პრესისა და ინგლისის ოფიციოზების მიერ, ჩერჩილებისა და ეჯანსების უტიფარი სიტყვები, ჩემბერლენის სიცრუით აღსავსე ნოტა, შუბლმაგართა გაცოფებული განგაში საბჭოთა სახელმწიფოს დროშის წინააღმდეგ,—ესეც, ალბათ, კონსერვატიული მთავრობის „უმაგალითო თავდაჭერილობის" განსახიერებას წარმოადგენს. უტიფარი, თვალთმაქცური სიტყვები, რომლითაც სურთ მდაბალი ხარისხის პროვოკაციის გამართლება!

ვინ არიან ისინი, ურთიერთობის შეწყვეტის ინიციატორები? ვინ არიან შუბლმაგარი მტაცებლები, რომელნიც საომარი ცეცხლის მიმქრალ ნაპერწკალს ღვივებენ? რას უნდა ველოდეთ მათგან,—შეეკითხება თავის-თავს საბჭოთა კავშირის ყოველი მუშა და გლეხი. ამ განგაშის დროს მუშებსა და გლეხებს უნდა მოვაგონოთ ზოგიერთი უდავო ფაქტები.

ბრიტანეთის კონსერვატიული მთავრობა ეხლა თამაშობს მსოფლიოში ყველაზე უფრო რეაქციონური, ავაზაკური, მძარცველი ძალის როლს. მსოფლიო ჟანდარმის დაფნა ეხლა ამშვენებს ბრიტანეთის კაბინეტის შუბლს. კონსერვატორები ინგლისის მუშებს ახრჩობენ საზიზღარი კანონით, მათ ყელში ხელი წაუჭირეს ინგლისის მთელ პროლეტარიატს. მაგრამ ეს არ კმარა მათთვის. მათ ყელში ხელი უნდა წაუჭირონ ხელისუფლების სათავეში მდგომ საბჭოთა კავშირის მთელ მუშათა კლასს.

კონსერვატიული კაბინეტის მეთაურთა შორის ზოგი დიდი მესაკუთრე და მდიდარი პირებია, და ზოგი, ასე თუ ისე, არის დაკავშირებული ექსპლოატატორებთან. ძმანი ოსტინ და ნევილ ჩემბერლენები დიდი მესაკუთრენი არიან. თვით ბატონი ბოლდუინი, რომელიც ხანდახან „ზეკლასიურ" ლოზუნგებს ისვრის, უთვალავი სიმდიდრის და ათეული მილიონი მანეთის ქონების მფლობელია, დაქირავებული მონების მთელი არმია შრომობს „ბოლდუინ ლიმიტედის" წარმოებებში.

ინგლისის კონსერვატიულ მთავრობას ეკუთვნის უმთავრესი როლი ჩინეთის ხალხის თავისუფლების ჩახრჩობის საქმეში. ბოლდუინები, ხიკსები და ჩემბერლენები ეხმარებიან ჩინეთის მემამულეებს და ფეოდალურ მილიტარისტებს. ისინი იარაღს, ყუმბარებს, ხიშტებს და ფულს აწვდიან ჩინელ კოლჩაკოველებს და კავენიაკებს — ჩან-ძო-ლინს, უ-პეი-ფუს და ჩან-კაი-შის. ისინი მათ აქტიურად ეხმარებიან ჩინელი გლეხების ჩახრჩობაში. საბჭოთა კავშირის მუშებმა ეს კარგად უნდა დაიმახსოვრონ.

ბრიტანეთის კონსერვატიულ მთავრობას დამონებული ჰყავს აუარებელი ერები, რომელნიც ბრიტანეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიან—დაწყებული ირლანდიიდან და გათავებული ინდოეთით. საბჭოთა კავშირის ეროვნებათა მშრომელებს ეს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ მხედველობაში.

ინგლისის მთავრობა ყოველთვის გულთბილად ეპყრობოდა და ეპყრობა რუს თეთრგვარდიელებს—ყოფილ მეფის ელჩებს, ნიკოლოზის რეჟიმის ნაძირალებს, როგორც, მაგ., საბლინი და სხვ. იგი მეგობრულ განწყობილებაშია საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა უსასტიკეს მტრებთან.

ინგლისის მთავრობა ასაზრდოებდა თეთრგვარდიელთა ქვემძრომებს—დენიკინებს, იუდენიჩებს, ვრანგელებს. იგი მათ აძლევდა ასეულ მილიონ მანეთებს. იგი ეხმარებოდა მათ საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა ჩახრჩობაში. იგი მოსტყუვდა ამ მზაკვრულ საქმეში. მაგრამ მას მომავალშიაც სურს ერთხელ კიდევ „სცადოს ბედი" და კვლავ აღადგინოს დენიკინების და ვრანგელების—გლეხთა მიწის და მუშათა ფაბრიკა-ქარხნების მძარცველთა აჩრდილები..

საბჭოთა კავშირის გადაქცევა ბრიტანეთის იმპერიალიზმის კოლონიად, მემამულეთა და კაპიტალისტების ბატონობის დაბრუნება, ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა განადგურება,—აი, ინგლისის კონსერვატიული მთავრობის ულრმესი და შორეული, იდუმალი მიზანი და ოცნება. ეს ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყონ საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა.

განა ღირს იმაზე ლაპარაკი, რომ ლორდები და ჟანდარმები სასტიკად მოსტყუვდებიან თავიანთ საბოლოო მიზნებში და უშუალო ანგარიშებში. ისინი ვერ შეაშინებენ განთავისუფლებული ქვეყნის მუშებსა და გლეხებს. ისინი ვერ შესძლებენ საბჭოთა კავშირის დაქვეითებას არასრულუფლებიან სახელმწიფოს დონემდე.

ინგლისის კონსერვატიული მთავრობა ვერ შესძლებს ჩვენს დამარცხებას სამეურნეო რეპრესიებითაც. მუშათა პარტიის ბელადები აცხადებენ, რომ მთავრობა სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტით თვითმკვლელობის აქტს ჩაიდენსო. ჯორჯ ხიკსი აღნიშნავს, რომ „კონსერვატიულმა მთავრობამ ფაქტიურად დაარღვია ორი უდიდესი, მომავალში დიდი იმედების მომცემი ბაზარი ინგლისის საქონლისათვის—ჩინეთი და რუსეთი". კლაინსი იძულებულია აღიაროს, რომ „ბოლდუინის უგუნურ საქციელს სერიოზული და მავნე შედეგები მოჰყვება ბრიტანეთის ვაჭრობისათვის". ასევე აფასებენ მდგომარეობას ევროპის ზოგიერთი ბურჟუაზიული გაზეთები, რომელნიც აღიარებენ, რომ ურთიერთობის შეწყვეტით ინგლისი უფრო მეტად დაზარალდება, ვიდრე საბჭოთა კავშირი.

ინგლისის კონსერვატორებისათვის სანუგეშო არ არის აგრეთვე ჩვენთან ხანგრძლივი ბრძოლის პერსპექტივები. ინგლისის კაპიტალიზმმა უკანასკნელ წლებში საგრძნობლად იწყო დასუსტება, მაშინ, როდესაც ჩვენ გაცილებით უფრო მეტად გაძლიერდით. გარდა ამისა, ინგლისის მუშათა კლასს სძულს კონსერვატიული ხელისუფლება და, რაც უფრო მეტი ხანი გავა, მით უფრო მეტად შესძულდება იგი. საბჭოთა კავშირის მთელი მშრომელი მასა კი, პირიქით, ერთგულად სდგას და მომავალშიაც იდგომება თავისი საკუთარი პროლეტარული სახელმწიფოს სადარაჯოზე. ეს გარემოება კარგად უნდა გაითვალისწინონ რეაქციონურმა ავანტიურისტებმა. მათ ერთხელ უკვე განიცადეს მარცხი თეთრი ბანდიტებისათვის მხარის დაჭერის დროს, რომელნიც ემებოდენ მშიერ, შიშველ და განიარაღებულ საბჭოთა რუსეთს. მეორეჯერ, ეხლა, როცა საბჭოთა კავშირი გაცილებით უფრო ძლიერი გახდა, ისინი უფრო მეტ მარცხს განიცდიან, რომელსაც უფრო ცუდი შედეგები ექნება მათთვის და მათი ვასალებისათვის.

ჩვენ ურთიერთობის შეწყვეტას ვუპასუხებთ უდიდესი სიმტკიცით და ჩვენი რიგების მჭიდროდ დარაზმვით. ისტორია ნათლად გვიჩვენებს, თუ ვის უფრო მაგარი ნერვები აქვს: ინგლისის ლორდებს, თუ საბჭოთა ქვეყნის მუშებსა და გლეხებს. ჩვენ ვერ შეგვაშინებს ურთიერთობის შეწყვეტა. ჩვენ ვერ შეგვაშინებს შემდეგში კონსერვატიული მთავრობის „ნაბიჯები". ვაი უგუნურებს, რომელნიც გაბედავენ ხელის აღმართვას პროლეტარების ფაბრიკებისა და გლეხთა მიწების წასართმევად. საბჭოთა კავშირის მშრომელნი, რომელთაც მეთაურობს ძლიერი ბოლშევიკური პარტია, და მთელი შეგნებული საერთაშორისო პროლეტარიატი, ფხიზლად იდგომებიან სადარაჯოზე.

„პრავდა".

მოსკოვი, 26 მაისი.

ამხ. ლიტვინოვი ინგლისთან დამოკიდებულების შესახებ

მოსკოვი, 26 მაისი. მრავალრიცხოვან შეკითხვების საპასუხოდ, შეკითხვების, რომელნიც შეეხებოდენ ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტის მიერ ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის ჩაშლის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას, გარეშე საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ლიტვინოვმა საბჭოთა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა შემდეგი:

კავშირის გაწყვეტა მოულოდნელი არ იყო.

„დიდი ბრიტანეთის მთავრობის გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირთან დიპლომატიურ და ეკონომიურ ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ არ არის შემთხვევითი და მოულოდნელი ამბავი, რომელიც თითქოს დაკავშირებულია არკოსზე თავდასხმასთან და საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციების ვითომ და არალოიალობასთან. ეს გადაწყვეტილება უნდა ჩაითვალოს იმ ანტი-საბჭოთა პოლიტიკის ლოღიკურ დასრულებად, რომელიც ეხლანდელმა კონსერვატიულმა მთავრობამ დაიწყო იმ დღიდან, როცა მან ყალბი დოკუმენტის საშუალებით მოატყუა თავისი ამომრჩევლები და სათავეში ჩაუდგა ხელისუფლებას.

ამყარებდა რა თავისი პოლიტიკის პროგრამას დაუზოგავ ბრძოლაზე ინგლისის მუშათა კლასის წინააღმდეგ და ჩინეთის, ინდოეთის, ეგვიპტეს და სხვა ქვეყნების დაბეჩავებაზე, კონსერვატიულ მთავრობას არ შეეძლო შერიგებოდა მუშურ-გლეხური მთავრობის არსებობას, რომელიც არ ფარავდა თავის თანაგრძნობას პროლეტარიატის კლასიური ბრძოლისა და ჩაგრულ ხალხთა განმანთავისუფლებელ მოძრაობისადმი.

ამიტომ ცდამ, რომელიც მიზნად ისახავდა, საბჭოთა სახელმწიფოს განადგურებას, რაც არ უნდა დამჯდარიყო ეს, ცენტრალური ადგილი დაიჭირა დიდი ბრიტანეთის კონსერვატიული მთავრობის მოქმედებაში. მთელი თავისი არსებობის განმავლობაში მას არ შეუწყვეტია ანტი-საბჭოთა ინტრიგები, რომელთა მიზანი იყო საბჭოთა კავშირის იზოლაცია და მისი დასუსტება, რომ ამით უფრო ადვილი ყოფილიყო მისი განადგურება. თუ ის დღემდე აგვიანებდა ურთიერთობის გაწყვეტას, მხოლოდ იმიტომ, რომ მას იმედი ჰქონდა იშოვნიდა მოკავშირეს ჩვენს საბჭოთა კავშირზე გაერთიანებული თავდასხმის მოსახდენად. როცა ეს იმედი არ გამართლდა, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ გადასწყვიტა დამოუკიდებლად და აშკარად თავს დაესხას საბჭოთა კავშირს, კვლავ იმ იმედით, რომ ეს იქნება სიგნალი სხვა სახელმწიფოების ასეთივე გამოსვლებისათვის.

ბოლდუინის მთავრობას ომი სწყურია

საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა და ომის საფრთხის შექმნა სავსებით ემატკბილება დიდი ბრიტანეთის მთავრობის საერთო პოლიტიკას, რომელიც შეიცავს ერთი სახელმწიფოს წასისიანებას და შეიარაღებას მეორეს წინააღმდეგ და მშვიდობიანობის განმტკიცების ჩაშლას როგორც ევროპაში, ისე მსოფლიოს დანარჩენ ნაწილში.

ამ მთავრობის როლი ეგვიპტეში, ჩინეთში და, დაბოლოს, ინგლის-საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობის ჩაშლის საქმეში იმდენად ნათელია ყველასათვის, რომ მასზე შეჩერება არ მოგვიხდება. სერ ოსტინ ჩემბერლენი თვითონაც არაერთხელ აცხადებდა, რომ ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის ჩაშლა შეიცავს საყოველთაო მშვიდობიანობის დარღვევის საფრთხესო. მშვიდობიანობის ნობელის პრემიის მატარებელი, რომელიც თვითონვე ანხორციელებს ამ ურთიერთობის ჩაშლას, ეხლა უნდა გამოტყდეს, რომ ომის საფრთხე არა თუ არ აწუხებს მას. პირიქით, სასურველია მისთვის, და ეს შედის მისი მთავრობის პოლიტიკურ ანგარიშში.

დიპლომატიური ურთიერთობის ჩაშლა არ შეიძლება შეფასებულ იქნეს სხვანაირად, თუ არა როგორც ომის გაძლიერებული მზადება, ვინაიდან ურთიერთობის ჩაშლა არ შეიძლება სხვა მიზანს ისახავდეს, ეს იქნებოდა აბსურდი თვით ინგლისის ინტერესების თვალსაზრისით. შეუძლებელია, რომ ურთიერთობის ჩაშლა მიზნად ისახავდეს მხოლოდ ინგლისის მრეწველობისათვის საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიან დაკვეთებს ინგლისელ მომხმარებლისათვის იაფი ნედლეულის წართმევას, უმუშევრობის გადიდებას და საბჭოთა მთავრობის განთავისუფლებას ყოველგვარ ვალდებულებისაგან ინგლისის მიმართ.

ეჭვს გარეშეა, რომ ყველაფერი, რაც მოხდა, შეუძლებელს ხდის სავაჭრო ურთიერთობის შენარჩუნებას ინგლისთან. საბჭოთა მთავრობას ეხლა არავითარი გარანტია არ აქვს იმისი, რომ არა თუ თავს არ დაგვესხმიან და არ გაიტაცებენ სავაჭრო კორესპონდენციებს, არამედ არ მიმართავენ სხვა დანარჩენი სახის ძალადობასაც, ჩვენი სახელმწიფო ორგანიზაციების საქონლის კონფისკაციასაც. არ შეუძლია თავისი ოპერაციების გაგრძელება არკოსსაც, რამდენადაც ის ჰყიდდა სახელმწიფო და საბჭოთა ორგანიზაციების საქონელს და მათი [illegible] და მათ ხარჯზე ყიდულობდა ინგლისში დამზადებულ საქონელს.

ამას დიდი ხანია ცდილობდა ინგლისის მთავრობა. ის ამას ცდილობდა, რაკი მან ფაქტიურად შეუძლებელი გახადა სავაჭრო ურთიერთობის შენარჩუნება და მთელი პასუხისმგებლობა თავისთავზე იკისრა მისი ჩაშლისათვის.

ძალიან დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ თავდასხმა არკოსზე და სავაჭრო დელეგაციაზე მოხდა მეორე დღესვე, როგორც კი მიღწეულ იქნა „მიდლენდ-ბანკ"-თან შეთანხმება ინგლისის ქარხნებში საბჭოთა დაკვეთებისათვის 10 მილ. გირვანქა სტერლინგის რაოდენობით კრედიტის მიცემის შესახებ, შეთანხმება, რომელიც ფართო პერსპექტივებს სახავდა ამ ორი ქვეყნის სამეურნეო ურთიერთობის სწრაფი განვითარებისათვის.

თავდასხმის მიზანი.

ჩემს მიერ დასახელებული ფაქტების მიხედვით სასაცილო და ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია ბოლდუინის გუშინდელი გამოსვლა თემთა პალატაში და მისი ცდა გაამართლოს ურთიერთობის გაწყვეტა. რაღაც კინემატოგრაფიული ლენტის მოჩვენებით, რომელიც კარგ ამერიკულ კინო-სურათის ყველა ელემენტებს შეიცავს. ბოლდუინის სიტყვის შემდეგ ვის შეუვა ეჭვი იმაში, რომ ურთიერთობის ჩაშლა როდი არის თავდასხმის შედეგი, არამედ თვით თავდასხმა მოახდინეს ურთიერთობის ჩასაშლელად. ბოლდუინმა თავდასხმის გამართლება ვერ მოახერხა თვით წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისითაც. ის იძულებული გახდა ეთქვა, რომ მითიური დაკარგული დოკუმენტი, რომლის აღმოსაჩენად ინგლისის პოლიციამ მოახდინა თავისი რიხიანი და ხოისხანე ექსპედიცია, სავაჭრო დელეგაციის შენობაში არ აღმოჩნდა. ამრიგად, ბოლდუინმა პირადათ აღიარა, რომ ხიკსი სისტემატიურად ატყუებდა ინგლისის საზოგადოებრივ აზრს, ასაბუთებდა რა თავდასხმას ამ დოკუმენტით.

ბოლდუინი, რომელიც დამარცხდა ამ ცენტრალურ პუნქტში, რასაც კატასტროფიული შედეგები აქვს მშვიდობიანობის საქმისათვის, ეხლა უმწეოდ და ულირსად ებღაუჭება ვითომ აღმოჩენილ დანარჩენ დოკუმენტებს. მაგრამ აქაც ვერაფერი სთქვა რაიმე ისეთი დოკუმენტების აღმოჩენაზე, რომელიც სახელს უტეხს სავაჭრო დელეგაციის მუშაობას. და მართლაც შეუძლებელია სერიოზულად ლაპარაკი რაღაც კერძო წერილებზე, რომლებიც ზოგიერთ თანამშრომელს ჯიბიდან ამოართვეს, თუნდაც რომ პოლიციის ეს ცნობა სინამდვილეს შეეფერებოდეს, რაშიაც, რასაკვირველია, „ზინოვიევის წერილს" თუ გავიხსენებთ, უფლება გვაქვს ეჭვი შევიტანოთ. თუნდაც რომ დამტკიცებული ყოფილიყო, რომ არკოსის ან სავაჭრო დელეგაციის ამა თუ იმ წევრს „დანაშაულებრივი" მიწერ-მოწერა ჰქონდა პროფკავშირებთან და სხვა მუშათა ორგანიზაციებთან, განა მის მაგიერ პასუხისმგებელია დაწესებულება, რომელშიაც ის მუშაობს? სავაჭრო დელეგაციის მეთაურს გარდა არავინ დელეგაციის, მით უფრო, არკოსის თანამშრომლებს შორის არ სარგებლობს არავითარი იმუნიტეტით და თვითეული პირადათ პასუხისმგებელია თავისი მუშაობისათვის. მათი ჯიბეების გადმობრუნება პოლიციას შეეძლო დელეგაციის შენობის გარეშეც და „მამხილებელ დოკუმენტების" აღმოჩენის შემდეგ უფლება ჰქონდათ მათ მოქცეოდნენ კანონის მიხედვით. ფორეინ-ოფისმა კარგად იცის, რომ ჩვენი სრულუფლებიანი წარმომადგენლობა და სავაჭრო დელეგაცია როგორც ლონდონში, ისე სხვა ადგილას, ყველა თანამშრომელს ხელწერილს ართმევს იმის შესახებ, რომ დათხოვნილი და პასუხისგებაში იქნებიან მიცემული, თუ დაარღვევენ იმ ქვეყნის კანონებს, სადაც ისინი იმყოფებიან, რომ ისინი ვალდებული არიან არ ჩაერიონ შინაურ საქმეებში და არ აწარმოონ არავითარი პროპაგანდა. თუ რომელიმე თანამშრომელი არა ბოროტი განზრახვით ან პროვოკაციული მიზნით არღვევს ნაკისრებ ვალდებულებებს, სავაჭრო დელეგაციას, რასაკვირველია, არ შეუძლია ამისათვის პასუხი აგოს.

უსაფუძვლო ცილისწამება.

რაც შეეხება სავაჭრო დელეგაციისათვის ჯაშუშობის დაბრალებას, მე ეს უნდა უარვყო, როგორც ბოროტი ინსინუაცია. თავდასხმამ ვერ დაამტკიცა ეს ბრალდება. თუ ინგლისის პოლიცია, როგორც ბოლდუინი ამტკიცებს, იცნობდა სავაჭრო დელეგაციის თანამშრომლებს, რომლებიც ჯაშუშობას ეწეოდენ, ისმება კითხვა, რატომ პოლიცია მათ პასუხისგებაში არ აძლევს და არ გადასცემს სასამართლოს? მათ პასუხისგებაში არ აძლევენ იმ უბრალო მიზეზით, რომ არავითარი სამისო საბუთი არ არსებობს და ბრალდება ყოვლად უსაფუძვლოდ არის წამოყენებული. ხოლო განსაკუთრებული უტიფრობაა საჭირო, რომ საბჭოთა ორგანოებს მიაწერო ჯაშუშობა და ამავე დროს აღიარო, რომ თვითონ დიდი ბრიტანეთის მთავრობა აწყობს ჯაშუშობას, იძენს საბჭოთა მთავრობის საიდუმლო „დოკუმენტებს". როგორც სჩანს, ბოლდუინი ინგლისურ საზოგადოებას არკოსის მუშაობა [illegible] პარიზში მომუშავე ცნობილ ინგლისურ სავაჭრო ფირმასთან, რომელსაც ამას წინად დაუმტკიცდა მუშაობა საფრანგეთის წინააღმდეგ.

გრძნობს რა თავისი პოზიციის სისუსტეს, სავაჭრო დელეგაციაზე თავდასხმის და მით 1921 წლის სავაჭრო შეთანხმების დარღვევის გამართლების შეუძლებლობას, — ბოლდუინი იშველიებს რაღაც გამოურკვეველ წყაროებიდან გამომდინარე ახალ დოკუმენტებს, რომელთაც არკოსზე თავდასხმასთან, ყოველ შემთხვევაში, არავითარი კავშირი არა აქვს. რამდენადაც ის კვლავ შეეხო ბოროდინის მუშაობას, წინააღმდეგ მისი განცხადებისა პარლამენტში, მე ერთხელ კიდევ უნდა განვაცხადო, რომ ბოროდინი საბჭოთა მთავრობას არ ემსახურება, მას არავითარი ოფიციალური დამოკიდებულება ამ მთავრობასთან არა აქვს და რომ ჩემსა და როზენგოლცის სათანადო განცხადებას სავსებით ვადასტურებ.

ჩვენ ფხიზლათ ვიქნებით.

ამ წვრილმანი „ფაქტებით" და „დოკუმენტებით" ბოლდუინი ყოველმხრივ ცდილობს დაფაროს საბჭოთა კავშირის დაწესებულებებზე თავდასხმის, ურთიერთობის ჩაშლის და მშვიდობიანობისათვის უშუალო საფრთხის შექმნის ძირითადი პოლიტიკური ფაქტი. ასეთი ფაქტებით ბოლდუინი ვერ დაფარავს იმ უაღრესად დიდ მოვლენას, რომელსაც წარმოადგენს დიპლომატიურ ურთიერთობის ჩაშლა და ახალი ომის მზადება.

ჩვენი ქვეყანა გამოიტანს აქედან ლოღიკურ დასკვნას და მიიღებს ყოველივე ზომებს, რომ მტერს მოუმზადებელი არ დახვდეს. დანარჩენმა ქვეყნებმა, რომელთა ჩაბმას მშვიდობიანობის დარღვევისა და მთელს მსოფლიოში ქაოსის გაბატონების საქმეში შეეცდება ინგლისი, უნდა იცოდენ, რანაირ დამღუპველ ავანტიურაში ითრევენ მათ. თავის მხრივ საბჭოთა მთავრობა კიდევ უფრო ფხიზლად დააკვირდება ინგლისის მთავრობის მილიტარისტულ დიპლომატიის ყოველგვარ ფანდებს და მახინაციებს, რათა მოიგერიოს და თავიდან აიცილოს მის წინააღმდეგ მიმართული თავდასხმები მის განკარგულებაში არსებულ ყველა საშუალებებით და ყოველივე ძალღონით დაიცვას მშვიდობიანობის საქმე" (ადს).

ბოლდუინის განცხადება თემთა პალატაში

ლონდონი, 25 მაისი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ თემთა პალატა გაჭედილი იყო ხალხით, როცა ბოლდუინი გამოვიდა განცხადებით არკოსის გაჩხრეკის შესახებ.

ბოლდუინმა განაცხადა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები მრავალი თვეების განმავლობაში იძიებდენ იმ ფარული აგენტების მუშაობას, რომლებიც ცდილობდენ ხელში ჩაეგდოთ უაღრესად საიდუმლო საბუთები ინგლისის შეიარაღებულ ძალების შესახებ. შეუძლებელი ხდებოდა არ გამოეტანა დასკვნა, რომ აგენტები მუშაობენ საბჭოთა მთავრობის დავალებით და ინსტრუქციების იღებენ საბჭოთა კავშირის სავაჭრო დელეგაციისაგან — „სოვეტ - ხაუზში".

ეჭვი გამართლდა ამა წლის დასაწყისში, როცა ინგლისის ქვეშევრდომს, რომელიც სამხედრო ავიაციაში მსახურობდა, შენიშნულ იქნა დოკუმენტის მოპარვაში და გამოირკვა, რომ იმ ორ ორგანიზაციას, სადაც ის მსახურობდა, კავშირი ჰქონდა ანალოგიურ რუსულ ორგანიზაციასთან. არკოსი და სავაჭრო დელეგაცია ჩვეულებრივ წარმოადგენდენ გამანადგურებელ კორესპონდენციების განმანაწილებელ პუნქტს, ისინი ხელმძღვანელობდენ აგრეთვე კამპანიას „ხელები შორს ჩინეთისაგან".

ამას წინად დაიკარგა მეტად საიდუმლო დოკუმენტი. გამოირკვა, რომ ეს დოკუმენტი „სოვეტ - ხაუზში" ინახება, რის გამო გაცემულ იქნა ორდერი გაჩხრეკის მოსახდენად.

შემდეგ ბოლდუინი შეეხო გაჩხრეკის შედეგებს და განაცხადა, რომ „სოვეტ - ხაუზიდან" უწევდენ ხელმძღვანელობას სამხედრო ჯაშუშობას და გამანადგურებელ მუშაობას მთელი ბრიტანეთის იმპერიაში და აგრეთვე ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში. საბჭოთა სავაჭრო დელეგაციის და არკოსის შენობისა და ფუნქციებს შორის არ აღმოჩნდა განსხვავება. გამოირკვა, რომ ორივე ორგანიზაციას წილი უდევს ინგლისის საწინააღმდეგო ჯაშუშურ მუშაობაში და პროპაგანდაში.

„სავაჭრო შეთანხმებაში, — განაგრძო შემდეგ ბოლდუინმა, — სხვათა შორის გათვალისწინებული იყო, რომ თვითეულმა მხარემ თავი უნდა შეიკავოს მტრულ ღონისძიებებისაგან მეორე მხარის წინააღმდეგ და არ დაუშვას თავის საზღვრებს გარეშე რაიმე პირდაპირი თუ არაპირდაპირი პროპაგანდა ბრიტანეთის იმპერიის ან რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის დაწესებულებათა წინააღმდეგ. ინგლისის მთავრობამ რამდენიმე ჯერ მიიჩინა საჭიროდ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთა ყურადღების მიქცევა მათ მიერ ამ ვალდებულებათა დარღვევაზე ჩინეთში. მაგრამ ვალდებულებათა დარღვევას ყოველთვის უარყოფდენ.

მიმდინარე წლის თებერვალში როზენგოლცმა აცნობა თავის მთავრობას, რომ საჭიროა პრესაში გამოქვეყნდეს მოკლე განმარტება იმის შესახებ, რომ ბოროდინი არ არის საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელი, არ მსახურობს საბჭოთა წარმომადგენლობაში, რომ ის კერძო მოქალაქეა, რომელიც ჩინეთის მთავრობასთან მოქმედობს და საბჭოთა მთავრობა არ არის პასუხისმგებელი მისი მოქმედებისათვის. 11 თებერვალს ხოჯსონმა მიმართა ლიტვინოვს შეკითხვით ბოროდინის შესახებ. ლიტვინოვმა უპასუხა, რომ მან იცის მხოლოდ, რომ ბოროდინი რუსი კომუნისტია და სუნ-იატ-სენის მეგობარი იყო; რაც შეეხება იმის მტკიცებას, თითქოს ბოროდინი საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელია, ეს ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია და საბჭ. მთავრობას არ აქვს კავშირი ბოროდინთან და არც არავითარ პასუხს არ აგებს მისი მოქმედებისათვის. მაგრამ ინგლისის მთავრობას ხელთ აქვს დეპეშა, რომელიც გასული წლის 12 ნოემბრის თარიღით გაუგზავნა გარეშე საქმეთა კომისარიატმა საბჭოთა წარმომადგენელს პეკინში.

ბოლდუინი კითხულობს დეპეშას და ლაპარაკობს, რომ ბოროდინის მოქმედებისათვის რაიმე პასუხისმგებლობის უარყოფა, როგორც საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულის მიერ ლონდონში, ისე ლიტვინოვის მიერ მოსკოვში, არ შეეფერებოდა სიმართლეს.

„ეს უკანონო მოქმედება — განაგრძო ბოლდუინმა — არ განისაზღვრებოდა მარტო ჩინეთით. ინგლისის მთავრობას ხელთ აქვს დეპეშა, რომელიც საბჭოთა კავშირის რწმუნებულმა ლონდონიდან გაუგზავნა გარეშე საქმეთა კომისარიატს მიმდინარე წლის 1 აპრილს.

პალატას შეუძლია აქედან დაასკვნას, — განაგრძო ბოლდუინმა დეპეშის წაკითხვის შემდეგ, — რომ საბჭოთა წარმომადგენელი ინგლისში ჩამოვიდა ინფორმაციისა და პოლიტიკურ პროპაგანდის მიზნით და აწვდიდა თავის მთავრობას იმ ცნობების შინაარს, რომელიც მას სურდა უკანვე ყოფილიყო გადმოცემული, როგორც ცნობები ჩინეთიდან.

დაბოლოს, 13 აპრილს საბჭოთა კავშირის რწმუნებულმა დეპეშით აცნობა გარეშე საქმეთა კომისარიატს:

„ძალიან საეჭვოდ მიმაჩნია ჩვენს [illegible] თავდასხმის შესაძლებლობა. მაგრამ მე მაინც სიფრთხილის მიზნით სასარგებლოდ ვთვლი, რომ დროებით შეწყვეტილ იქნეს ფოსტით დოკუმენტების გადაგზავნა მეგობრებისა და მეზობლებისათვის ლონდონიდან მოსკოვში და მოსკოვიდან ლონდონში. დაუყოვნებლივ დეპეშით გვაცნობეთ თქვენი გადაწყვეტილება". ზედმეტია ლაპარაკი იმ დოკუმენტების ხასიათზე, რომელთაც მიმართ მან ასეთი სიფრთხილე გამოიჩინა. ინგლისის მთავრობამ იცოდა საბჭოთა მთავრობის აქტიური მტრობის შესახებ დანარჩენ ქვეყნებში და მის წარმომადგენლების უკანონო მუშაობის შესახებ ინგლისში. სავაჭრო შეთანხმების და საერთაშორისო თავაზიანობის ასეთ დარღვევას ინგლისის მთავრობა მოთმინებით და თავდაჭერით [illegible]".

შემდეგ არკოსის გაჩხრეკის აღწერის დროს ბოლდუინმა განაცხადა:

„პოლიციის რამდენიმე ოფიცერი, როგორც კი შევიდნენ შენობაში, მაშინვე გაემართნენ იმ ოთახისაკენ, სადაც იმყოფებოდა უფროსი კლერკი, რომლის შესახებ იყო ცნობა, რომ მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა საიდუმლო აგენტების მუშაობასთან. ის პირი, რომელიც ამ ოთახს განაგებდა და რომელსაც მუშაობის დროს მიუსწრეს, დამახასიათებულია პირადი შემადგენლობის საიდუმლო სიაში, რომელიც მეორე ოთახში იქნა აღმოჩენილი. ამ პირს აღმოაჩნდა რამდენიმე დახურული კონვერტი ცნობილ კომუნისტების და კომუნისტურ ორგანიზაციების სახელზე ინგლისში და ამერიკაში. ამ კონვერტებში იყო პროფესიონალურ კავშირების წითელი ინტერნაციონალის ინფორმაცია და დირექტივები კომუნისტურ ორგანიზაციებისადმი ინგლისში და ამერიკაში, მათ შორის უმცირესობის ნაციონალური მოძრაობისადმი. ამავე პირს აღმოაჩნდა რამდენიმე დაბეჭდილი ბლანკი, რომელთაც ავსებდენ უმცირესობის ნაციონალური მოძრაობის წევრად შესვლის დროს და რომლებიც შეევსოთ ამ მიზნისათვის შერჩეულ მეზღვაურებს რუსეთის ნავთსადგურებში. ეს განცხადებები საწევრო გადასახადთან ერთად რუსეთის ოფიციალური დაწესებულებების საშუალებით უნდა გადასცემოდა უმცირესობის ნაციონალურ მოძრაობას.

ოთახი, რომელიც ეჭირა უფროს კლერკს ანტონ მილერს, ხინჩუკის ოთახის გვერდით არის მოთავსებული. კარებს არა აქვს ხელი და იღება გასაღებით. პოლიციის შესვლის დროს კარები დაკეტილი იყო, ოთახში სინათლე იყო. პოლიციელებმა მოითხოვეს ოთახში შეშვება, ოთახის კარი გაიღო. მილერი, კიდევ ერთი მამაკაცი და ერთი ქალი მუშაობდენ. მილერი სწვავდა ქაღალდებს, ხოლო როცა პოლიციამ სცადა ამ ქაღალდების წართმევა, გაიმართა ბრძოლა. მილერმა პოლიციელებს გაუწია წინააღმდეგობა. ბრძოლის დროს მას ჯიბიდან გადმოუვარდა ქაღალდი. ამ ქაღალდში ჩამოთვლილი იყო საიდუმლო პირობითი მისამართები კომუნისტურ პარტიებთან კავშირის დასაჭერად შეერთებულ შტატებში, მექსიკაში, სამხრეთ ამერიკაში, კანადაში, ავსტრალიაში, ახალ-ზელანდიაში და სამხრეთ აფრიკაში.

შენობებში აღმოჩნდა კიდევ სხვა დოკუმენტები, რომლებიც საკმაოდ ცხადად მოწმობენ, რომ რეგულიარულად ხდებოდა გამანადგურებელ ხასიათის დოკუმენტების გზავნა საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთა უშუალო ხელმძღვანელობით რუსეთის სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან იმ პირების სახელზე, რომლებიც კომუნისტურ მუშაობას ეწევიან ინგლისში და სხვა ქვეყნებში. საბჭოთა მთავრობა ვერ გაექცევა პასუხისმგებლობას სავაჭრო დელეგაციის მოქმედებისა და იმ შეღავათების ბოროტად გამოყენებისათვის, რომლითაც უკანასკნელი სარგებლობდა.

დიპლომატიური ურთიერთობა, რომელსაც ამნაირად სისტემატიურად ბოროტად იყენებენ,—სთქვა დასასრულს ბოლდუინმა — თავისთავად ხდება საფრთხედ მშვიდობიანობისათვის. ამიტომ მთავრობამ გადასწყვიტა, თუ პალატა ამის წინააღმდეგ არ წავა ხუთშაბათს გააუქმოს სავაჭრო შეთანხმება, მოითხოვოს სავაჭრო დელეგაციის და საბჭოთა მისიის გაწვევა ლონდონიდან და გამოიწვიოს ინგლისის მისია მოსკოვიდან.

ეს გადაწყვეტილება არ შეეხება არკოსის კანონიერ მოქმედებას. მთავრობა სპობს პრივილეგიებს, რომელთაც სავაჭრო შეთანხმება შეიცავს, მაგრამ მზად არის მიიღოს ყოველივე ზომები, რაც აუცილებელია ქვეყნებს შორის ჩვეულებრივ ვაჭრობის გასაადვილებლად". (ადს).

შეკითხვები ბოლდუინს

ბოლდუინის განცხადების შემდეგ, მუშათა პარტიის წევრმა **კლაინსმა** შეიტანა შეკითხვა: მისცა თუ არა ინგლისის მთავრობამ საბჭოთა მთავრობას რაიმე წინადადება მოლაპარაკების დაწყებისა ან და კონფერენციის მოწვევის შესახებ იმ მიზნით, რომ შექმნილიყო საშუალება ინგლის-რუსეთის ურთიერთობის მოსაწესრიგებლად?

შეკითხვაზე **ბოლდუინმა** უარყოფითად უპასუხა და აღნიშნა, რომ თავის განცხადების გაკეთების დროს ის გამოდიოდა ამომწურავი ინფორმაციის მოცემის სურვილით, ხუთშაბათისათვის დანიშნულ კამათთან დაკავშირებით.

„მთავრობა,—განაცხადა ბოლდუინმა,— შეეცდება სრულად გამოაქვეყნოს ის დოკუმენტები, რომლებიც ნაწილობრივ იქნა გამოქვეყნებული".

კლაინსმა განაცხადა: „რადგან პრემიერის წინასწარი პასუხიდან სჩანს, რომ საბჭოთა მთავრობისათვის არ ყოფილა მიცემული რაიმე წინადადება,ხომ არ ეთანხმება პრემიერი იმას რომ ასეთ ნაბიჯს არა აქვს მსგავსი მაგალითი ერების ისტორიაში?".

კონსერვატორ **დევისონმა** განაცხადა: „გვიპასუხებს თუ არა პრემიერი—უპრეცენდენტო ხომ არ არის შემთხვევა, როდესაც უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელი საიდუმლოთ მოქმედობს იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, სადაც ის არის დანიშნული?".

ბოლდუინმა უპასუხა, რომ თუ დეპუტატი ხვალისთვის გადასდებს შემდეგ შეკითხვებს, მაშინ საგარეო საქმეთა სამინისტრო მისცემს მას ამომწურავ პასუხს.

კენვორტი (მუშათა პარტია): „პრემიერმა განაცხადა, რომ თუ პალატა მოიწონებს კაბინეტის გადაწყვეტილებას, მაშინ ხოჯსონი გამოწვეული იქნება მოსკოვიდან, სავაჭრო შეთანხმება გაუქმდება და სავაჭრო დელეგაცია გაემგზავრება ინგლისიდან. ხომ არ უნდა იქნეს ეს გაგებული ისე, რომ დიპლომატ. მისიას და რუსეთის რწმუნებულს მიეცემათ წინადადება დასტოვონ ინგლისი, და, თუ ეს ასეა, მაშინ როგორ მოახერხებს ინგლისის ხალხი საქმის დაჭერას რუსეთთან, რამდენადაც ეს ურთიერთობა შეწყვეტას უდრის? (ხმები კონსერვატორების ადგილებიდან: „ამერიკულად!"). ამერიკის საკითხი სულ სხვანაირად სდგას, რადგან ამერიკას არას დროს არ ჰქონია დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან".

ბოლდუინმა განაცხადა, რომ უფრო სწორი იქნებოდა ამ საკითხის აღძვრა მომავალ კამათის დროს.

ლიბერალმა **ხორმა** შეიტანა შეკითხვა,—დაპატიმრებული არიან თუ არა ის ჯაშუშები, რომელთა შესახებაც პრემიერმა განაცხადა, რომ მას აქვს საბუთები მათი არსებობისა და მოქმედების შესახებო და თუ არა —აპირობს თუ არა მთავრობა მათ მიცემას პასუხისგებაში?

ბოლდუინმა განაცხადა, რომ შეკითხვის პირველ ნაწილზე უარყოფითად უნდა უპასუხოს, ხოლო მეორე ნაწილზე კი—ვერაფერს ვერ იტყვისო.

მუშათა პარტიის ერთ-ერთი დეპუტატის შეკითხვაზე—აღმოჩენილ იქნა თუ არა ის დოკუმენტი, რომლის დაკარგვა გახდა თავდასხმის მიზეზი,—**ბოლდუინმა** უპასუხა: „არა".

მუშათა პარტ. წევრმა **ტეილორმა** შეიტანა შეკითხვა—აცნობეს თუ არა სამანქანო მრეწველობის მწარმოებლებმა ბოლდუინს თავისი აზრი, რომ თუ მთავრობა შესწყვეტს ურთიერთობას, მაშინ ეს ნაბიჯი სერიოზულ ზარალს მოუტანს საქმის დამოკიდებულებას ინგლისსა და რუსეთს შორის?

ბოლდუინმა განაცხადა, რომ ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა მაშინ შეიძლება, თუ ის შემოტანილი იქნება წერილობითი ფორმით.

მუშათა პარტიის წევრმა **ხედსონმა** შეიტანა შეკითხვა: ცნობები ჩინეთის ამბების შესახებ მიღებულია არკოსის საშუალებით თუ სხვა წყაროებიდან?

ბოლდუინმა უპასუხა: „ყველაფერი, რაც შეეხება საბჭოთა მთავრობის მოქმედებას, მიმართულს ინგლისის წინააღმდეგ, მიღებულია არკოსზე თავდასხმის გარეშე".

მუშათა პარტიის წევრმა **მორგან ჯონსმა** შეიტანა შეკითხვა: „რანაირად მიიღო მთავრობამ თავის განკარგულებაში იმ დეპეშის ასლი, რომელიც გამოგზავნილი იყო საბჭოთა რწმუნებულის სახელზე.

თავმჯდომარემ მოხსნა ეს შეკითხვა. შემდეგი შეკითხვა გადადებულია ხუთშაბათს დანიშნულ კამათისათვის. (ადს).

პრესის გამოძახილი

გერმანიის პრესა

ბერლინი, 25 მაისი. ვოლფის სააგენტო იუწყება: „უკეთებენ რა კომენტარიებს ინგლის-რუსეთის კონფლიქტს, ბერლინის გაზეთები აღნიშნავენ, რომ გერმანიამ სასტიკი ნეიტრალიტეტი უნდა დაიცვას". (ადს).

„დოიჩე ალგემაინე ცეიტუნგის" ჟენეველი კორესპონდენტი სწერს:

„უდავოა, რომ საბჭოთა დელეგატები სტოვებენ ჟენევას ერთგვარი გამარჯვების გრძნობით, რომელიც საბაბს აძლევს მათ დამშვიდებით ელოდონ ინგლისის გადაწყვეტილებას იმ შემთხვევაშიც კი, თუ უკანასკნელი გასწყვეტს ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან".

„ბერლინერ ტაგებლატ" აცხადებს:

„საბჭოთა დელეგაციამ ფართოდ გამოიყენა შემთხვევა და გააცნო მსოფლიო საბჭოთა მეურნეობის სისტემას. საბჭოთა კავშირის ეკონომიურ აღორძინებას, მის სურვილს, მიიღოს კრედიტები და ითანამშრომლოს დანარჩენ სახელმწიფოებთან. ინგლისთან ურთიერთობის შეწყვეტიდან გამომდინარე არასახიამოვნო შედეგები საბჭოთა კავშირმა უკვე აინაზღაურა ამერიკასთან დაახლოვებით.

მეორე წერილში **„ტეგლიხე რუნდშაუ"** აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში ლაპარაკია იმდენად არა საგარეო-პოლიტიკურ ნაბიჯზე, რამდენადაც საშინაო-პოლიტიკურ ზომებზე. გერმანიის პოზიციის გამო, გაზეთი აღნიშნავს: „ჩვენ რუსეთთან დადებული გვაქვს ხელშეკრულება ნეიტრალიტეტის შესახებ, და ერთხელ აღებულ კურსს ჩვენ აღარ გადაუხვევთ მომავალში".

ნოტის მოლოდინში

ლონდონი, 25 მაისი. ფიქრობენ რომ ინგლისის პასუხი ლიტვინოვის ნოტაზე მზად იქნება ხუთშაბათს საღამოთი, პალატაში კამათის დამთავრების შემდეგ.

მუშათა ფრაქციის ტაქტიკა

ლონდონი, 25 მაისი. მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ დაადგინა ხვალისათვის დანიშნულ კამათის დროს არ შეიტანოს მთავრობისათვის გაკიცხვის გამოცხადების რეზოლიუცია საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტის გამო. როგორც სჩანს, მუშათა პარტია მოითხოვს შექმნილი მდგომარეობის განხილვას საპარლამენტო კომისიის მიერ; ასეთი კომისია შესდგება მთავრობის პარტიისა და ოპოზიციის წარმომადგენლებისაგან.

ინგლისის კომპარტიის მოწოდება

ლონდონი, 25 მაისი. ინგლისის კომპარტიის ცეკამ მიმართა მუშებს მოწოდებით, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია:

„დაიწყო კონსერვატორების ახალი შეტევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. დღეს ის იღებს დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტის სახეს; ხვალ, თუ მათ არავინ გაუწევს წინააღმდეგობას, გადაიქცევა ომად. ეს თავდასხმა გახდება რეაქციონერების თავდასხმად მთელს მსოფლიოში და აუცილებლივ გამოიწვევს ყველა დაქირავებულთა გალაშქრებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ ინგლის-საბჭოთა ომსაც".

მოწოდება თავდება შემდეგი ლოზუნგებით:

„ბრძოლა ბოლდუინის წინააღმდეგ არის ჩვენი ბრძოლა! შეადგინეთ მოქმედების საბჭოები, რომ ბოლო მოუღოთ ლიდერების საბოტაჟს! შეამჭიდრომ დავამხოთ კონსერვატიული მთავრობა და შევქმნათ ნამდვილი მუშათა მთავრობა,, რომელიც დაიწყებს ბრძოლას კაპიტალიზმისა და ომის გამომწვევთა წინააღმდეგ ყველა საბჭოთა კავშირის დასახმარებლად!". (ადს).

კაბინეტის დადგენილება

ლონდონი, 25 მაისი. „დეილი ტელეგრაფ" ამტკიცებს, რომ გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ კაბინეტმა მიიღო ერთხმად.

ჩემბერლენმა დაადასტურა

რომი, 25 მაისი. როგორც გაზეთები იუწყებიან, ჩემბერლენმა აცნობა იტალიის ელჩს ლონდონში, რომ ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა გააუქმოს სავაჭრო შეთანხმება და შესწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. (ადს).

ინგლისის დელეგატები საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის კონფერენციაზე

ლონდონი, 25 მაისი. თემთა პალატაში ბოლდუინმა განაცხადა, რომ საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის კონფერენციაზე, რომელშიაც მონაწილეობას იღებს ინგლისი, იაპონია და შეერთებული შტატები, ინგლისის დელეგატებათ დანიშნული არიან საზღვაო მინისტრი ბრიჯმენი, ლორდ სესილი და ადმირალი ფილდი (ადს).

„მორნინგ პოსტი"-ს მოწოდება

ლონდონი, 25 მაისი. თემთა პალატის კონსერვატორი დეპუტატი ერსკინი „მორნინგ პოსტ"-ში მოუწოდებს შოფერებს ბოიკოტი გამოუცხადონ საბჭოთა ბენზინს (ადს).

კვალიფიციურ მუშა—ხელის მომზადება

პარტიას და ხელისუფლებას თავის სამეურნეო პოლიტიკის ძირითად გეზათ აღებული აქვს საბჭოთა რესპუბლიკების ინდუსტრიალიზაცია. ეს კურსი შესაფერის გამოძახილს პოულობს საქართველოშიაც. ამ რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს. საფაბრიკო - საქარხნო აღმშენებლობის დარგში. მხოლოდ ერთ წელში (1925 წლიდან1926 წლამდე) საქართველოში აშენდა 94 საფაბრიკო - საქარხნო ერთეული. ამის შესაფერისად იზრდება, რა თქმა უნდა, მუშა - ხელის რიცხვიც.

რამდენად ნორმალურია მუშა - ხელის რიცხვის ზრდა ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში, როგორი უნდა იყოს ის, რომ მან არ დააბრკოლოს მრეწველობის უმტკივნეულოთ განვითარება

უკვე საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ჩვენ უკან მოვიტოვეთ სახალხო მეურნეობის აღორძინებითი პერიოდი, ამიტომაა, რომ პარტიისა და ხელისუფლების წინაშე მთელი თავისი სიმწვავით წამოიჭრა საკითხი ჩვენი მრეწველობის გადახალისება - გაფართოების, ჩვენი სოფლის მეურნეობის მექანიზაციის შესახებ. სამწუხაროთ, უნდა ითქვას, რომ ჩვენ ყოველთვის არა გვაქვს გათვალისწინებული მრეწველობის რეკონსტრუქციის მთავარი მომენტები. ეს საკითხი უმთავრესად წარმოდგენილია როგორც საკითხი მრეწველობის მოწყობილობის გაუმჯობესება - გამოცვლის შესახებ, ხოლო რაც შეეხება მუშა-ხელს, რაციონალიზაცია-ქმნილ წარმოების ცოცხალ ორგანიზატორის და მმართველს ამაზე ან ნაკლებ ვფიქრობთ, ან ზოგჯერ სულ არ ვფიქრობთ.

ამავე დროს კვალიფიციურ მუშა-ხელის ნაკლებობას დღესაც უკვე მთელი თავისი სიმწვავით გრძნობს ჩვენი მეურნეობა. და რაც უფრო წინ წავალთ მრეწველობის გაუმჯობესების და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში, მით უფრო საგრძნობი გახდება ეს ნაკლი.

სრულიად შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ მრეწველობა ჩვენში დღითი დღე მუშათა ახალ კადრებს იზიდავს და ამავე დროს უმუშევრობა ზოგჯერ კიდევაც იზრდება. ჩვენი უმუშევრობის ამ თავისებურებაში იმალება იგივე კვალიფიციურ მუშა-ხელის ნაკლებობის საკითხი. შრომის ბაზარი სავსეა უმუშევრებით და ამავე დროს ცალკე წარმოებები გაფაციცებით ეძებენ კვალიფიციურ მუშა-ხელს. შრომის ბირჟა ამ მოთხოვნილებას ხშირათ ვერ აკმაყოფილებს, რადგან თავისუფალი კვალიფიციური მუშა-ხელი თითქმის არ მოიპოვება. ამ ნიადაგზე მრავალ არანორმალობას აქვს ადგილი. ასეთია სხვათა შორის კვალიფიციურ მუშებისათვის ხელფასის ხელოვნურათ გადიდება, რასაც დეზორგანიზაცია შეაქვს ჩვენს საერთო სატარიფო-ეკონომიურ მუშაობაში და რაიც თავის კვალს აჩენს წარმოების პროდუქციის თვითღირებულებაზე.

გარდა ამისა, ჩვენი სამეურნეო ორგანოები ერთმანეთს ეცილებიან კვალიფიციურ მუშა - ხელის გადაბირებაში და ამით არევ-დარევა შეაქვთ მომზადებულ მუშაკების მიზანშეწონილად განაწილების საქმეში. ეს რაც შეეხება მაღალი კვალიფიკაციის მუშა-ხელს, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ ზოგჯერ ასეთივე მდგომარეობა იქმნება საშუალო კვალიფიკაციის მუშა-ხელის ირგვლივაც, რომელზედაც მოთხოვნილება უფრო მასიურია.

ასეთ პირობებში ადვილი ასახსნელია ის არასასურველი მოვლენა, რომელსაც ჩვენ ცრუ სპეცობას ან ცრუ ხელოსნობას ვუწოდებთ.ამ სენს, როგორ ვხედავთ, თავისი ობიექტიური მიზეზები აქვს. ამიტომაა, რომ ზოგჯერ ჩვენი მრეწველობის პროდუქცია მდარე ხარისხისაა. საქონელს ქმნის არა მარტო მანქანა და ნედლეული, არამედ ოსტატიც.

ამრიგათ, კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ამას გვავალებს ჩვენ ინდუსტრიალიზაციის ამოცანის სწორათ გაგება. პირველ ყოვლისა, ამ საქმეს ხელი უნდა მოჰკიდონ თვით მრეწველობის ორგანოებმა. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდობას. ჩვენი სამეურნეო მუშაკები ხშირად გულგრილად ეკიდებიან ამ საკითხს, რადგან კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადება ისეთი საქმეა, რომელიც ერთგვარ მატერიალურ ხარჯებს მოითხოვს, მაგრამ ამ ხარჯებს მეორე დღესვე ვერ ანაზღაურებს. ასეთ სულისკვეთებას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. რაც უნდა შევიწროებული არ იყვეს წარმოება ფინანსიურათ, ის მოვალეა იზრუნოს კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადებაზედაც. შეგირდების ბრიგადების გაძლიერებით, პროფტექნიკური სკოლებისათვის ხელის შეწყობით, არაკვალიფიციურ მუშა-ხელის ტექნიკურათ განათლებით თუ სხვა გზით.

ამასთან ერთად, ჩვენ უნდა მოვაწყოთ მუშათა მივლინებები საბჭოთა კავშირის მსხვილ სამრეწველო პუნქტებში და უცხოეთში წარმოებათა გაცნობის და შესწავლის მიზნით. ამ მხრივაც ჩვენში თითქმის არაფერი გაკეთებულა.

საკითხი პროფტექნიკური განათლების შესახებ უნდა დასვან თავის დღის წესრიგში ჩვენმა სამეურნეო და პროფესიონალურმა ორგანოებმა. უნდა იქნას მიღებული ყოველივე ზომები იმისათვის, რომ მრეწველობის და სოფლის მეურნეობის გადახალისება-გაუმჯობესების ტემპს უკან არ რჩებოდეს მუშა-ხელის მომზადების საქმე.

მ. ლ—ძე.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ურთიერთობის გაწყვეტის წინ

ამხ. როზენგოლცის განცხადება

ლონდონი, 25 მაისი. საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულმა ლონდონში, ამხ. როზენგოლცმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც, დაწვრილებით უკეთებს რა ანალიზს ბოლდუინის განცხადებას, მუხლობრივად არჩევს კონსერვატიული მთავრობის „არგუმენტაციას" და არკვევს მისი მოქმედების ნამდვილ მოტივებს.

„ბოლდუინის განცხადებიდან,—ამბობს როზენგოლცი,—ორი რამ გამომდინარეობს. უპირველესად ყოვლისა, დოკუმენტი, რომელიც თითქოს დაიკარგა, არა თუ არ იქნა ნაპოვნი, არამედ არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არ არსებობს იმისა, რომ ეს საიდუმლო დოკუმენტი ოდესმე იყო მურგეტ-სტრიტზე მყოფ სახლში № 49 და საერთოდ ქონდათ ხელში სავაჭრო დელეგაციის ან არკოსის თანამშრომლებს. მეორე, არ არსებობს არავითარი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ სავაჭრო დელეგაცია ან არკოსი, ან მათი თანამშრომლები ოდესმე ეწეოდენ სამხედრო ჯაშუშობას ან მის მსგავს საქმიანობას.

ბოლდუინის მითითება „მიწის ქვეშ ოთახზე ფოტოსტატით", არ არის ბოროტგანზრახვათა დამამტკიცებელი, ვინაიდან ასეთი ფოტოსტატები არის დიდი კომერციული წარმოების უმეტეს ნაწილში. ამ ფოტოსტატებს ისეთივე კომერციული მიზნებით იყენებენ, როგორც არკოსი იყენებდა.

სენსაციურ ცნობათა კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს მილერის მიერ ქაღალდების დაწვის ისტორიაც. საერთოდ მიღებულია, როგორც წესი, ყველა საზღვარგარეთ განყოფილებაში, რომ უნდა დაიწვას შიფრ-გახსნილ დეპეშათა ასლები. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში საშიფრო განყოფილების თანამშრომლები ვალდებული იყვნენ დაეწვათ ისეთი დეპეშები, და აგრეთვე შიფრები, რომლებითაც სარგებლობს სავაჭრო დელეგაციის თავმჯდომარე, სანამ პოლიციას ოთახში შეუშვებდენ. ამიტომ, მილერის მოქმედებაში არაფერია საიდუმლო და არც დანაშაულის მსგავსი რამ. არავითარი ქაღალდი მილერს არ ამოუღია ჯიბიდან იმ მომენტში, რასაც ბალდუინმა ბრძოლა უწოდა და რაც სინამდვილეში წარმოადგენდა ოთხი ან ხუთი პოლიციელის თავდასხმას მილერზე. დაკითხულმა მილერმა კატეგორიულად განაცხადა, რომ მას არასოდეს არ ქონია საიდუმლო მისამართების სია.

ჟილინსკის აღწერა ბოლდუინის მიერ, ალბად, ნასესხებია იმ ცნობებიდან, რომელიც პოლიციას მისცა არკოსიდან დათხოვნილმა რომელიმე თანამშრომელმა, რომელსაც სურდა შური ეძია ჟილინსკის მიმართ; ვინაიდან ჟილინსკი, როგორც პირადი შემადგენლობის განყოფილების გამგე, მოსამსახურეთა თვალში იყო უშუალო მიზეზი ყოველგვარი დათხოვნის; ამით აიხსნება ის ლეგენდები, რომელნიც შეიქნა მის ირგვლივ და რომლებმაც ინგლისის ხელისუფლების წინაშე ყალბი დაბეზღების ფორმაც კი მიიღო.

რაც შეეხება წერილს 1926 წ. 6 ნოემბრის თარიღით, რომელიც ვითომდა ჟილინსკისადმი იყო მიწერილი და რომელშიაც ვითომ აღწერილია „შეთანხმება კომუნისტური აგიტატორების მომზადების შესახებ არკოსის გემებზე"—სავაჭრო დელეგაციამ ამ წერილის შესახებ არაფერი არ იცის. მაგრამ მაინც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის უბრალო ფაქტი, რომ ყველა მეზღვაურები, რომელნიც არკოსის გემებზე არიან დაქირავებული, ეკუთვნიან იმ კავშირს, რომელსაც ხელმძღვანელობს ჰაველოკ ვილსონი (ცნობილი რეაქციონერი), რომ კონტრაქტს მათთან ხელს აწერს ინგლისის ქვეშევრდომი კაპიტანი და რომ შტურმანები და მათი თანაშემწენიც ინგლისელები არიან.

ბოლდუინმა ამონაწერები მოიყვანა ზოგიერთი დეპეშიდან, რომელნიც ვითომც მე გავგზავნე და მივიღე. ყველა დეპეშის ასლებით, რომელნიც ცენტრალური ტელეგრაფის არქივში ინახება, შეიძლება იქნას დამტკიცებული, რომ ასეთი სატელეგრაფო კორესპონდენცია არ არის გატარებული. ბოლდუინი ალბად ემყარება რომელიღაც, თითქოს შიფრიან დეპეშებს, რომელნიც ვითომდა გახსნა ინგლისის მთავრობის ერთ-ერთმა დეპარტამენტმა. ამგვარი განცხადება მეტად უცნაურია ინგლისის მთავრობის მეთაურის მხრივ. რომელიც საბჭოთა მთავრობას ბრალს სდებს იმაში, რომ იგი ხელებს იწვდის ინგლისის ოფიციალური დოკუმენტებისაკენ. მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ არც მე და არც არავის საელჩოს შემადგენლობიდან არასოდეს არ მიუღია და არც გაუგზავნია ასეთი დეპეშები".

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის იმ დეპეშების შესახებ, რომელიც ვითომდა გაეგზავნა საბჭოთა ელჩს პეკინში და რომელსაც ემყარება ბოლდუინი, როზენგოლცმა განაცხადა:

„დეპეშების შინაარსი, როგორც ეს მოჰყავს ბოლდუინს, ამტკიცებს, რომ იგი შეთხზულია, განსაკუთრებით ამას ამტკიცებს ფრაზების კონსტრუქცია, გამოთქმები და არ არსებული ორგანიზაციების დასახელება".

„ბოლდუინი ცდილობს შექმნას შთაბეჭდილება,—ნათქვამია შემდეგ როზენგოლცის განცხადებაში,—რომ მიუხედავად სავაჭრო შეთანხმების გაუქმებისა და დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტისა, ინგლის - საბჭოთა ვაჭრობა მეტად მცირედნად დაზარალდება ან სრულიადაც არ დაზარალდება. ჩვენ ჩვენის მხრით აუცილებლად ვსცნობთ კატეგორიულად აღვნიშნოთ, რომ ბოლდუინის იმედები ამ მხრივ არაფერზე არ არის დამყარებული. ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირთან სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ სასიკვდილო მახვილს ჩასცემს ინგლის-საბჭოთა ვაჭრობას, რომელიც ასეთი სიძნელით ვითარდებოდა უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეს მახვილი ინგლის-საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობას ჩასცეს იმ მომენტში, როცა თავი იჩინა მისი გამოცოცხლების და განვითარების ნიშნებმა. ამის დამამტკიცებელია ის ფაქტი, რომ ორი დღით ადრე თავდასხმის მოხდენამდე დადებულ იქნა და წერილობითი ფორმით იქნა შედგენილი შეთანხმება მიდლენდ—ბანკთან საბჭოთა კავშირის დაკვეთებისათვის კრედიტების მიწოდების შესახებ 10 მილიონი გირვანქა სტერლინგის რაოდენობით.

აუცილებელია აგრეთვე მხედველობაში ვიქონიოთ, რომ თუმცა სავაჭრო შეთანხმების მე-13 მუხლი ხელშემკრულებს ორივე მხარეს ანიჭებს უფლებას, რომ თუ ერთი მათგანი დაარღვევს შეთანხმების პირობებს, მეორე მხარეს შეუძლია უარი სთქვას შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებაზე, მაგრამ იგივე მუხლი ამბობს, რომ ხელშემკრულება „მაინც სცნობს, რომ შეთანხმებისათვის შეუთავსებელ რომელიმე მოქმედების ჩადენამდე დაზარალებულმა მხარემ მეორე მხარეს უნდა მისცეს ახსნა-განმარტების წარდგენის საშუალება, ან გამოასწოროს ჩადენილი მოქმედება—ხელშეკრულების დარღვევა". ინგლისში ყოფნის დროს ჩემთვის არც ერთი საჩივარი არ გამოცხადებიათ არკოსის და სავაჭრო დელეგაციის ან რომელიმე თანამშრომლის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთან ყოველი ჩემი შეხვედრის დროს ყოველთვის ხაზს ვუსვამდი, რომ თუ რაიმე საკითხები ან საჩივარი არის ჩვენს წინააღმდეგ, მე სიამოვნებით ხელს შევუწყობ ასეთი საკითხების და საჩივრების განხილვას და მოგვარებას. ბუნებრივია, ინგლისის მთავრობას რომ ნდომოდა რაიმე სადავო საკითხის მოგვარება და რომ ქონოდა რაიმე საჩივარი სავაჭრო დელეგაციის ან არკოსის წინააღმდეგ, მას ყოველთვის ქონდა საშუალება მოემართა ჩემთვის და ასეთ მომართვას მე მეტად სერიოზულ ყურადღებას მივაქცევდი. ვიმეორებ, რომ მთელი ჩემ მიერ სამსახურის მოვალეობის აღსრულების დროს ინგლისში ჩემთვის ამის შესახებ არავის არ მოუმართავს. ეს გარემოება საკმაოდ ამტკიცებს, რომ ინგლისის პოლიტიკა არასოდეს არ ისახავდა მიზნად ურთიერთობის გაუმჯობესებას. მისი მიზანი იყო არა შეთანხმების და მშვიდობიანობის მიღწევა, არამედ ის, რომ ურთიერთობა უფრო გაემწვავებია და ბოლოს და ბოლოს გაეწყვიტა.

ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილება სავაჭრო შეთანხმების დაუყოვნებლივ გაუქმების შესახებ, წარმოადგენს ამ შეთანხმების მე-13 მუხლის არა მარტო აშკარა დარღვევას, არამედ საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაში უმაგალითო თვითნებურ აქტს.

ვაჭრობისა და მრეწველობის ინტერესები, ორთავე ქვეყნის შორის მეგობრული ურთიერთობის ინტერესები, ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობიანობის დაცვის ინტერესები—ყოველივე ეს მსხვერპლად მიუტანეს ბრმა მძულვარებას საბჭოთა კავშირისადმი, როგორც ისეთ სახელმწიფოსადმი, რომელსაც მართავს მუშათა კლასი და რომელიც ცდილობს სოციალისტური საზოგადოების აგებას. ყველაფერი მიუტანეს მსხვერპლად პარტიული ბრძოლის ინტერესებს ინგლისში. მომენტის სერიოზულობის სრული შეგნებით საბჭოთა კავშირი, რომელიც უფრო მძიმე საგარეო პირობებშიაც კი მშვიდობიანობის პოლიტიკას ატარებდა, სრულ პასუხისმგებლობას ურთიერთობის შეწყვეტის შედეგებისათვის აკისრებს ინგლისის ეხლანდელ მთავრობას (ადს).

საბჭოთა ნავთი და ინგლისი

მოსკოვი, 26 მაისი. ნავთის სინდიკატის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. სოლოვიოვმა ამ.-კავკ. დეპეშათა სააგენტოს მოსკოველ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა შემდეგი:

„იმ საქონელთა შორის, რომელიც საბჭოთა კავშირიდან გააქვთ ინგლისში, ნავთის პროდუქტებს. ნავთის სინდიკატის სავაჭრო ურთიერთობა ინგლისთან ჯერ კიდევ 1921—22 წელში დაიწყო, ე. ი. საბჭოთა ნავთის ექსპორტის პირველ წელში და ამ ვაჭრობის განვითარება შეუწყვეტლად მიმდინარეობდა. ინგლისში ნავთის პროდუქტების გატანის რაოდენობა წინა წლებში ასეთი იყო: 1921—22 წელში ინგლისში გატანილ იქნა—82.000 ტონა, 1923—24 წელში—184.000 ტონა, 1924—25 წ.—326.000 და 1925—26 წ.—385.000 ტონა. ჩვენი ვაჭრობის ორგანიზაციის ძალა ინგლისში გამოიხატება იმაში, რომ ჩვენ გვაქვს ნავთის ვაჭრობის ორგანიზაციის ძალა ინგლისში გამოიხატება იმაში, რომ ჩვენ გვაქვს ვაჭრობის რიგიანი მეთოდები. პროდუქტების საუკეთესო ხარისხი და უფრო დაბალი ფასები, ვიდრე ჩვენ კონკურენტებს (მსოფლიო კონცერნების გაერთიანება, ეგრედწოდებული კომბინა). ეს გარემოება დიდი ხანია აფრთხობს დიდ კონცერნებს და ისინი ხიკსის მიერ მოწყობილი თავდასხმის ერთგვარი თანამონაწილენი არიან.

ჩვენი საქონლის ხარისხის ილიუსტრაციისათვის აღვნიშნავთ იმას, რომ ინგლისში აპრილში მომხდარ ავტომობილების შეჯიბრებაზე 16 ავტომობილიდან, რომელნიც საბჭოთა ბენზინით მოძრაობდენ, 13 მიიღო ჯილდო. მსოფლიო კონცერნი „როიალ დეჩ შელი" თავისი თავმჯდომარის დეტერდინგის სახით უკვე დიდი ხანია აწარმოებს განუწყვეტელ კამპანიას ჩვენი ნავთის სინდიკატის წინააღმდეგ. უეჭველია, რომ კონცერნი „შელი" შეეცდება ეხლანდელი მდგომარეობა გამოიყენოს ჩვენი ავტორიტეტის შესარყევად და კერძოდ იმ ფირმის მდგომარეობის შესარყევად, რომელიც საბჭოთა ნავთის პროდუქტებისაგან არიან დამოკიდებულნი.

ჩვენ წარმოვადგენთ მწარმოებელ ქვეყანას და საბჭოთა ნავთის ბუდობები არ არის მსოფლიო კონცერნების ხელში, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნების ნავთის პროდუქტების ბუდობები მსოფლიო კონცერნებს ეკუთვნის. ის ზიანი, რომელიც ურთიერთობის შეწყვეტით შეიძლება განიცადოს საბჭოთა ნავთის ექსპორტმა, არა ნაკლებ საგრძნობი იქნება ინგლისის იმ ფირმებისათვის, რომელნიც მსოფლიო კონცერნებთან აწარმოებენ ბრძოლას. ნავთის პროდუქტების განაწილება ჩვენთვის არ არის საძნელო. ჩვენი საქონლის და სავაჭრო მეთოდების დადებითი მხარეები საკმაოდ არის შეფასებული ევროპის, და კერძოდ ინგლისის სპეციალურ და საერთო პრესაში. საუკეთესო რეკლამას ჩვენთვის წარმოადგენს ჩვენი ნავთის ექსპორტის წარმატება და ის კეთილსასურველი განწყობილება, რომლითაც ჩვენ გვხვდებიან კაპიტალისტური ქვეყნების მომხმარებლები, კონკურენტების გამონაკლისით, რომელნიც ბოლოს და ბოლოს აგრეთვე მიდიან იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია მშვიდობიანი თანამშრომლობა ჩვენთან". (ადს).

სამეურნეო მუშაკების აზრი

საფეიქრო მრეწველობაში

მოსკოვი, 26 მაისი. ს. ს. ს. კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრმა ამხ. შლეიფერმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში, შეკითხვაზე, თუ როგორ იმოქმედებს ინგლისთან სავაჭრო ურთიერთობის ჩაშლა ჩვენს საგარეო ვაჭრობაზე, უპასუხა შემდეგი:

„არკოსის გაჩხრეკის შემდეგ ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა ზომები ინგლისში არსებულ გამოუყენებელ ლიცენზიების გადასატანად სხვა ქვეყნებში, კერძოთ—იტალიაში, გერმანიაში, ავსტრიაში და საფრანგეთში. ამჟამად, ჩვენ სავაჭრო წარმომადგენლობისაგან მიღებულ ცნობების თანახმად, **დაკვეთების განაწილება სხვა ქვეყნებში სავსებით უზრუნველყოფილია**. კრედიტის პირობები იქნება ისეთივე, როგორ პირობებშიაც ვფიქრობდით დაკვეთების დანაწილებას ინგლისში. კერძოთ, დაკვეთები პროექტით გათვალისწინებულ ახალ საფეიქრო ფაბრიკებისათვის, რომელთა მოწყობილობა უნდა დაემზადებია ინგლისის მანქანების სააღმშენებლო ფირმებს, რის შესახებაც უკვე დადებული იყო ხელშეკრულება მანჩესტერის ფირმებთან, ნაწილობრივ გადატანილია შეერთებულ შტატებში, ხოლო ნაწილობრივ ევროპის სხვა ქვეყნებში. **ამრიგად მოწყობილობის დაკვეთების მხრივ საბჭოთა კავშირის მრეწველობა და ტრანსპორტი არავითარ ზარალს არ ნახავს ინგლისთან სავაჭრო ურთიერთობის ჩაშლით**. ერთად-ერთი შედეგი იქნება ჩვენი დაკვეთების განაწილება სხვა ქვეყნებში და ინგლისის საფეიქრო მანქანების საამშენებლო მრეწველობის მონოპოლიის მოსპობა.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისს პირველი ადგილი უჭირავს ჩვენი საექსპორტო საქონლის მომხმარებელ ქვეყნებს შორის—ჩვენ ვფიქრობთ, ამბობს შლეიფერი—რომ უმტკივნეულოდ შევძლებთ ჩვენი ექსპორტის განაწილებას სხვა ქვეყნებში ისე, რომ არ ვნახოთ კომერციული ზარალი, როგორც ფასების შენარჩუნების, ისე საქონლის გასაღების მხრივ. ვსწყვეტთ რა ყოველგვარ ახალ ოპერაციებს ინგლისის ფირმებთან, ჩვენ ამავე დროს მტკიცედ უზრუნველყოფთ ცალკე ფირმებთან დადებულ ხელშეკრულებების და შეთანხმებების შესრულებას, თუ ინგლისის მთავრობა არ შექმნის დაბრკოლებებს, რომლებიც ჩვენ სამეურნეო ორგანოებს არ მისცემენ ხელშეკრულებათა შესრულების ფიზიკურ შესაძლებლობას.

ინგლისთან სავაჭრო ურთიერთობის ჩაშლამ გამოიწვია მთელ რიგ ფირმების მომართვა, რომელთაც სურთ დაიკავონ ინგლისის ადგილი საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობაში. კერძოთ, ბეწვეულის შესახებ მიღებულია წინადადებები გერმანიის და ამერიკის მსხვილ ფირმებისაგან, რომლებიც აყენებენ ბეწვეულის დამზადებისა და ექსპორტისათვის ფინანსების მიწოდების უფრო ხელსაყრელ პირობებს".

ტყავეულობის მრეწველობაში

საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ტყავეულობის დირექტორატის დირექტორმა ამხ. რავკინდმა განაცხადა შემდეგი: „აქამდის თრიმლის ექსტრაქტს ჩვენ უმთავრესად ვყიდულობდით ინგლისის მსხვილ ფირმებისაგან, რომელთა ქარხნებში ამუშავებენ სამხრეთ ამერიკის ექსტრაქტს, მაგალითად, ექსტრაქტის მსოფლიო მწარმოებელთან, ინგლისის ფირმა „ფორესკალ"-თან. ინგლისში მომხდარმა ამბებმა გვაიძულა უშუალო კავშირი დაგვეჭირა ექსტრაქტის სამხრეთ ამერიკელ მწარმოებლებთან. მათგან ჩვენ ამ დღეებში შევისყიდეთ 800.000 ფუთი ისეთივე ექსტრაქტი, როგორსაც ვყიდულობდით ინგლისში, მაგრამ უფრო იაფად".

ბეწვეულის დამზადების საქმეში

— ინგლისის ბაზარი, განუცხადეს საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს ბეწვეულთა დირექტორატში, საბჭოთა ბეწვეულისათვის უმთავრესად წარმოადგენს საშუამავლო ბაზარს, მისი მომხმარებლობითი მნიშვნელობა კი მეტად მცირეა. ამჟამად ინგლისის ბაზრის დაკარგვასთან დაკავშირებით, ჩვენ შეგვიძლია ეს საშუამავლო და საკომისიო ოპერაციები ბეწვეულის გაყიდვის დარგში გადავიტანოთ ჩვენ მთავარ მომხმარებელთან შეერთებულ შტატებში და აგრეთვე სხვა ქვეყნებში და, გარდა ამისა გავაძლიეროთ ბეწვეულის გაყიდვა უცხოეთის ფირმების წარმომადგენლებზე უშუალოდ მოსკოვში.

მანქანების შემოზიდვა

როგორც საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს აცნობეს ს. ს. რ. კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო საქონლების დირექტორატში და ელექტრო-საქონლების დირექტორატში, ყველა ჩვენი ოპერაციები ინგლისიდან სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემოტანის სფეროში, ოპერაციები, რომელთა შესახებ დადებული იყო ხელშეკრულებანი, უკვე შესრულებულია და შესყიდული საქონელი გადმოტანილია საბჭოთა კავშირში. რაც შეეხება ელექტრო-მოწყობილობის იმპორტს, ამჟამად ინგლისის წარმოება ამზადებს ჩვენს დაკვეთებს რაიონულ ელექტრო-სადგურების ელექტრო-მოწყობილობისათვის. გარდა ამისა ურთიერთობის ჩაშლის წინ ინგლისში განაწილებულ იქნა დაკვეთები ერთი მილიონი მანეთის ღირებულების. **ამჟამად ჩვენ შეგვიძლია თავისუფლად გადავიტანოთ დაკვეთები სხვა ქვეყნებში, რითაც არაფერს არ წავაგებთ არც მოწყობილობის საგნების ღირებულების მხრივ და, არც სხვა პირობების მხრივ, რომლებიც დაკავშირებული არიან ამ საიმპორტო ოპერაციებთან.**

ხე-ტყის ექსპორტი

„მიმდინარე წელს, განუცხადა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს „ექსპორტლეს"-ის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. იაკოვლევმა, ჩვენი ხე-ტყე დიდი წარმატებით სარგებლობდა ინგლისში და ჩვენ უკვე გავყიდეთ ინგლისში ხე-ტყის მთელი რაოდენობა, რომელიც მიმდინარე წელს უნდა გაგვეტანა ამ ქვეყანაში. **ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილება ჩვენთან სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ პირველ რიგში ზიანს მიაყენებს ინგლისის ვაჭრობას და კერძოთ იმ ორგანიზაციებს და პირებს, რომელთაც საბჭოთა კავშირიდან გაჰქონდათ ტყე"** (ადს).

ჩვენი მარგანეცის ექსპორტი ინგლისში

მოსკოვი, 26 მაისი. საბჭოთა კავშირის სახ. კომისარიატის სამთომადნო დირექტორიაში ამ.-კავკ. დეპეშათა სააგენტოს მოსკოველ კორესპონდენტს განუცხადეს, რომ მარგანეცის მადანის გატანა, რომელ დარგშიაც საბჭოთა კავშირი პირველი ექსპორტიორია მსოფლიოში, არ არის დამოკიდებული ინგლისთან სავაჭრო ურთიერთობისაგან. მარგანეცის გატანის ექსპორტს აწარმოებენ ჩვენში მომუშავე ამერიკელი კონცესიონერები. გარდა ამისა, გერმანია არის ჩვენი ნიკოპოლის მარგანეცის მყიდველი.

საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებანი ნახშირის იმპორტის დარგში, რომლებსაც დღემდე ვაკმაყოფილებდით ინგლისიდან შემოტანით, წარმატებით შეიძლება იქნას დაკმაყოფილებული გერმანიიდან და პოლონეთიდან იმპორტით. ეს არ იქნება სასარგებლო ინგლისისათვის, რომელიც შემდეგ იძულებული იქნება ამ ქვეყნებს ისევ წაართვას ნახშირის გასაღების დაკარგული ბაზარი.

ამასთანავე სამთომადნო დირექტორიატი არ ხედავს რაიმე დაბრკოლებებს ჩვენი ნავთის ექსპორტისათვის არა მარტო მიმდინარე საოპერაციო წელში, არამედ მომავალშიაც. ეხლა ჩვენ დაკავშირებული ვართ არა მარტო ყველა ევროპიულ ქვეყნებთან, არამედ აღმოსავლეთთან და სამხრეთ აფრიკასთანაც. თუ მხედველობაში მივიღებთ ნავთის შედარებით მცირე იმპორტს ამ ქვეყნებში, ჩვენ შეგვიძლია, თუ იმპორტი შესწყდა ინგლისში, სხვა ქვეყნებში გავაძლიეროთ ნავთის პროდუქტების გატანა.

ჩან-კაი-შის შეტევა პეკინზე

პეკინისაკენ.

პეკინი, 25 მაისი. ნაჩ-ბაოს სააგენტოს ცნობით, ჩან-კაი-შის ჯარებმა მიაღწიეს პუნქტს, რომელიც 50 კილომეტრით დაშორებულია ნიუ-ჩუოუსაგან (ადს).

შანხაი, 25 მაისი. იუწყებიან, რომ ჩან-კაი-შის ჯარებმა დაიკავეს ძიან-სუს. პროვინციის სამრეწველო ცენტრი ტუნჩჟოუ (ადს).

შანხაი, 25 მაისი. გომინდანის მემარჯვენე ფრთის ორგანო „ჩაინა კურიერ"-ი ამტკიცებს, რომ სუნა-ჩუან-ფანი ბაი-ბაო-შანის მახლობლად ტყვედ ჩაუვარდა ჩან-კაი-შის მხარეზე გადასულ შანდუნელ გენერალს, რომელიც დანიშნულია მე-36-ე არმიის სარდლად.

სუნ-ჩუან-ფანის ტყვედ ჩაგდება ნიშნავს ჩრდილოელების სრულ დამარცხებას ძიან-სუს პროვინციაში. ნანკინის ჯარების წინსვლა პეკინისაკენ დაჩქარებულ იქნება (ადს).

ფინ-იუი-სიანი წინ მიიწევს

ხანკოუ, 25 მაისი. სამხრეთის ფრონტზე სიაო-დუ-ინი იხევს დასავლეთისკენ. ხანკოუსა და ჩანშის შორის მიმოსვლა აღდგენილია.

ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ფინ-იუი-სიანის არმია მიიწევს დუნასა და ინშისაკენ.

ტან-შენ-ჩის გამარჯვება

შანხაი, 20 მაისი. ტოხოს სააგენტოს ცნობები ადასტურებენ ტან-შენ-ჩის გამარჯვებას ხენანის პროვინციაში. სააგენტო იუწყება, რომ შანდუნის ჯარები მთელი ფრონტით ემზადებიან სუ-ჩჟოუსკენ დასახევად თავდაცვის მესამე ხაზზე.

რევოლიუციონერების დევნა ტიან-ძინში

პეკინი, 25 მაისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ტიან-ძინში სწარმოებს კომუნისტ—გომინდანელების სასტიკი დევნა. სიკვდილით დასჯილია მრავალი კომუნისტი და გომინდანელი.

გამარჯვების სესხი

ხანკოუ, 25 მაისი. დაინიშნა კომისია, რომელიც უხელმძღვანელებს უხანის მთავრობის საფინანსო საქმეებს.

ნაციონალური მთავრობა უშვებს „ჩრდილო ექსპედიციის გამარჯვების" მომგებიან სესხს 5 მილ. დოლარის რაოდენობით.

(ადს.)

დამოკიდებულია შანხაის თათბირისაგან

შანხაი, 25 მაისი. სატრანსპორტო გემით ჰონკონგში ჩავიდა საჰაერო ჯარების ესკადრა, საქმიო პერსონალი და ჯარები. დარჩებიან თუ არა ისინი ჰონკონგში, თუ გადაგზავნილი იქნებიან სხვა ადგილას, დამოკიდებულია ლემპსონის თათბირისაგან ინგლისის სარდლობასთან შანხაიში.

(ადს.)

საბჭოთა მოქალაქეების გასამართლება გადაიდვა

პეკინი, 25 მაისი. „ნორდ ჩაინა სტანდარტი" ამტკიცებს, რომ ბოროდინისა და სხვა საბჭოთა მოქალაქეების გასამართლება, ალბად გადაიდება 2-3 თვით რადგან უზენაესმა სასამართლომ მოითხოვა თითქმის ყველა დოკუმენტები, გატაცებული საბჭოთა სამხედრო ატაშეს კანცელარიიდან..

(ადს.)

იაპონიის გარნიზონების გაძლიერება

ტოკიო, 25 მაისი. სამხრეთელების შეუჩერებელ წინსვლასთან დაკავშირებით, იაპონიის მთავრობამ მიიღო პრინციპიალური გადაწყვეტილება ჩრდილოეთ ჩინეთში იაპონიის გარნიზონების გაძლიერების შესახებ. გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ახლო მომავალში მოსალოდნელია ჩან-ძო-ლინის დაცემა. (ადს).

პილსუდსკის რესპუბლიკაში

ყოველკვირეული გაფიცვა

ვარშავა, 25 მაისი. ვინაიდან მრეწველებმა უარი განაცხადეს სამუშაო დღის 2 საათით შემცირებაზე შაბათობით, ფეიქრებმა დაადგინეს, —ყოველ შაბათობით მოაწყონ საპროტესტო გაფიცვა. პირველი გაფიცვა გაიმართა 20 მაისს. მრეწველები ლოკაუტით იმუქრებიან.

(ადს).

მელითონეების გაფიცვა

ვარშავა, 25 მაისი. დომბროვის რაიონში ეკონომიურ ნიადაგზე დაიწყო მელითონეთა გაფიცვა. გაფიცვა მოედო ლითონის წარმოებათა უმრავლესობას. გაფიცულთა რიცხვი 10.000 კაცს აღწევს. გაზეთები იუწყებიან რეპრესიული ზომების შესახებ კომუნისტების წინააღმდეგ, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ საგაფიცვო მოძრაობაში." (ადს).

უკანასკნელი ცნობები

პესიმიზმისათვის არ არის არავითარი საფუძველი

მოსკოვი, 26 მაისი. მუშა-ქიმიკოსთა სრ. საკავშირო კონფერენციაზე, რომელიც 26 მაისს გაიხსნა, უკანასკნელი ამბების შესახებ სიტყვები წარმოსთქვეს ინგლისის კომპარტიის ცეკას წევრმა ტომასმა და გერმანიის კომპარტიის ცეკას წევრმა გეკერტმა. „არავითარი საფუძველი პესიმიზმისათვის არ არსებობს"—განაცხადა ტომასმა. კაპიტალისტებს უნდა ახსოვდეთ, რომ ეხლა 1914 წელი არ არის, როცა მუშათა კლასი იყო სუსტი და შეუკავშირებელი. მუშათა კლასს აქვს უკანასკნელი მსოფლიო ომის გამოცდილება. 1927 წელში მუშათა კლასი საკმაოდ ძლიერია, რომ ძირშივე მოსპოს ბურჟუაზიის ცდები სისხლის მღვრელი ომის განახლებისათვის. ამ დღეებში ინგლისის და საბჭოთა კავშირის მუშები უფრო ახლოს დგანან ერთმანეთთან, ვიდრე ოდესმე. მთლიანი ფრონტით მოვაგონებთ კაპიტალისტებს, რომ ომი საშინელ საფრთხეს უმზადებს თვითონ მათ. გეკერტმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მთლიანი ფრონტის შექმნის ცდას სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს ყველა ქვეყნის შეკავშირებულმა მუშათა კლასმა. ყოველივე ზომები უნდა მივიღოთ, რომ 1914 წლის ამბები არ განმეორდეს (ადს).

ჩვენი ვაჭრობა არ შეფერხდება

მოსკოვი, 26 მაისი. სახვაჭრობის საბჭოს თავმჯდომარემ და რ. ს. ფ. ს. რ. სახვაჭრობის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ტროიანოვსკიმ საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა, რომ შედეგად იმ გართულებულ პირობებისა, რომელშიაც უკანასკნელ წელში გვიხდებოდა მუშაობა ინგლისში, რ. ს. ფ. ს. რ. სახვაჭრობამ 1924-25 წ. ინგლისში იყიდა 21 მილ. მან. მეტი საქონელი, ხოლო 1925-26 წელში კი მხოლოდ 15 მილიონი მანეთის საქონელი. ამ ჟამად სახვაჭრობას ადვილად შეუძლია თავისი შეკვეთები ინგლისიდან სხვა ქვეყნებში გადაიტანოს, რომლებშიაც მას ჩვეულებრივ უკეთესი პირობები ქონდა, ვიდრე ინგლისში. სახვაჭრობის საიმპორტო მუშაობა სრულიად არ დაზარალდება ინგლისში სავაჭრო ოპერაციების ლიკვიდაციით, მაგრამ უეჭველია, რომ ამით დაზარალდება ინგლისის მრეწველობა და ინგლისელი ვაჭრები. ურთიერთობის შეწყვეტა სახვაჭრობის საექსპორტო მუშაობაშიაც არ გამოიწვევს არავითარ დაბრკოლებას (ადს).

„თეთრი წიგნი"

—**ლონდონი**, 25 მაისი. ინგლისის მთავრობამ გამოაქვეყნა „თეთრი წიგნი", რომელიც 31 გვერდს შეიცავს და სათაურად აქვს „დოკუმენტები, რომელნიც ახასიათებენ რუსეთის მთავრობის და მე-3 ინტერნაციონალის მტრულ მოქმედებას ინგლისის წინააღმდეგ". „თეთრი წიგნი" შესდგება ორი ნაწილისაგან: დოკუმენტებისაგან, რომელნიც თითქოს იპოვნეს არკოსზე თავდასხმის დროს, და დოკუმენტებისაგან, რომელნიც გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა; ამ დოკუმენტებს შორის არის როზენგოლცის „დეპეშა", საიდანაც ციტატები მოჰყავს ბოლდუინს. (ადს).

კანადა და ინგლის-საბჭ. ურთიერთობა

—**ლონდონი**, 25 მაისი. ლონდონის გაზეთის ცნობით ოტავიდან, კანადის პრემიერ-მინისტრმა კინგმა განაცხადა, რომ კანადა იწონებს ინგლისის მთავრობის მოქმედებას და დაუყოვნებლივ შესწყვეტს სავაჭრო ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან (კანადას ცალკე ხელშეკრულება არ დაუდევს საბჭოთა კავშირთან, იგი მხოლოდ შეუერთდა ინგლის-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულებას).

მოსკოვის პროლეტარიატის ხმა

მოსკოვი, 26 მაისი. მოსკოვის მთელ რიგ წარმოებებში მუშებმა მიიღეს რეზოლიუციები, რომლებშიაც საბჭოთა მთავრობას სთხოვენ შესწყვიტოს ურთიერთობა ინგლისის იმპერიალიზმთან და სავაჭრო შეკვეთები სხვა ქვეყნებს გადასცეს. რეზოლიუციაში ნათქვამია:

„ჩვენ არ გვსურს ომი, მაგრამ სასტიკ პასუხს გავსცემთ, თუ ინგლისის ბანდიტები განიზრახავენ თავს დაესხან საბჭოთა კავშირს" (ადს).

„სენდეი უორკერი"-ს რედაქტორის გასამართლება

—**ლონდონი**, 25 მაისი. გუშინ შესდგა გაზ. „სენდეი უორკერი"-ს (უმცირესობის მოძრაობის ორგანო) რედაქტორის გასამართლება. მას ბრალს სდებენ პოლიციისათვის ცილის წამებაში იმის გამო, რომ გაზ. „სენდეი უორკერ"-ში მოთავსებულ იქნა პოლიციის მოქმედება საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაზე თავდასხმის დროს. რედაქტორს მიუსაჯეს 100 გირვ. სტერლინგით დაჯარიმება. ასეთივე ჯარიმა მიუსაჯეს გაზეთს (ადს).

ბოროდინას საქმე

პეკინი, 25 მაისი. ბოროდინას დართეს თავის დამცველის ნახვის ნება. ბოროდინას და აგრეთვე დიპლომატიურ შიკრიკებს ბრალი ედებათ იმ მუხლით, რომელიც სასჯელად სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს (ადს).

გლეხი—მწერლის ლებედევის 50 წლის იუბილე

მოსკოვი, 25 მაისი. მოსკოვის გლეხმა და პროლეტარულმა მწერლებმა ჰერცენის სახლში იუბილე გაუმართეს გლეხ მწერალს ლებედევს, ლიტერატურულ ასპარეზზე 50 წლის მოღვაწეობის შესრულების გამო. იუბილიარს მიესალმა მრავალ ლიტერატურულ ორგანიზაციების წარმომადგენელი (ადს).

ახალი სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლიტვაში

მოსკოვი, 25 მაისი. ახალ სრულუფლებიან წარმომადგენლად ლიტვაში დაინიშნა ამხ. აროსევი. ამხ. აროსევი მონაწილეობას ღებულობდა რევოლიუციაში, დაწყებული 1905 წლიდან. ის ციმბირში იყო გადასახლებული. მონაწილეობას ღებულობდა ოქტომბრის გადატრიალებაში როგორც ერთ-ერთი მისი ორგანიზატორი. (ადს)

ბილის განთავისუფლება

ვარშავა, 26 მაისი. ტარნოპოლის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გაამართლა უკრაინელი ბილი, რომელსაც პირველი ინსტანციის სასამართლომ კომუნისტური ლიტერატურის გავრცელებისათვის გადაუწყვიტა სიკვდილით დასჯა. ბილი განთავისუფლებულ იქნა ციხიდან

სრულიად საქართველოს პროფკავშირების მე-6 ყრილობა

მეექვსე სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. ათოევი.

გუშინ დილით შესდგა ყრილობის მეექვსე სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა ამხ. მორჩილაძის მოხსენება რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის სამმართველოს მუშაობის შესახებ.

სოციალური დაზღვევა

(ამხ. მორჩილაძის მოხსენება)

ამხანაგებო, ჩემს მოხსენებაში მე შევეხები საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ დაზღვევის სამმართველოს მუშაობას 1925—26 წლის განმავლობაში.

საქართველოში 1925—26 წელში არსებობდა 14 დამზღვევის სალარო, 23 დაზღვევის პუნქტი და 27 რწმუნებული. მათგან სოცდაზღვევის რესპუბლიკანურ სამმართველოსთან უშუალოდ დაკავშირებული იყო 14 დამზღვევი სალარო და 7 დამზღვევი პუნქტი. დანარჩენ დამზღვევ ერთეულებს კავშირი ჰქონდათ დამზღვევ სალაროებთან.

1923-24 წელში დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი უდრიდა 71.552 კაცს, 1925-26 წელში კი დაზღვეულთა რიცხვი გაიზარდა 97.860-ამდე, ანუ 1923-24 წელთან შედარებით 36,7 პროცენტით.

დაზღვეულთა რაოდენობის ასეთი ჩქარი ზრდა აიხსნება ერთის მხრით როგორც მეურნეობისა და მასში ჩაბმულ მუშა-ხელის ზრდით, ისე სოციალურ დაზღვევის კანონმდებლობის შრომის ზოგიერთ ახალ კატეგორიებზე გავრცელებით, როგორიცაა მწყემსები და სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა დაქირავებული მუშა-ხელი, და აგრეთვე დაზღვეულთა აღრიცხვის საქმის მოწესრიგებით.

1924 წელში სოციალური დაზღვევის საშუალო ტარიფი უდრიდა შრომის ხელფასის ფონდის 13,4 პროც., 25 წელში 13,2 პროც., მაგრამ 1926 წელში დაიწია 12,4 პროცენტამდე. ეს შემცირება აიხსნება ნორმალური ტარიფის დაწევით 6 პროცენტიდან 10-მდე ზოგიერთ დარგებში, როგორიცაა შავი-ქვის მრეწველობა, ქვა-ნახშირის მრეწველობა და სხვ.

წარმოებათა რიცხვი, რომლებზედაც გავრცელებულია შეღავათიანი ტარიფი, სხვადასხვა მიზეზების გამო თანდათან იზრდება და უფრო მაღალ ტარიფიან წარმოებათა რაოდენობა მცირდება. გარდა ამისა, გაიზარდა მუშების ნაწილობრივი დაზღვევის რიცხვი. საქართველოს საშუალო ტარიფი უდრის 12,4 პროც., იმ დროს, როდესაც მთელ საბჭოთა კავშირში საშუალო ტარიფი 13,4 პროც. შეადგენს.

გასულ 1925-26 საოპერაციო წელში დახმარების მიმღებ ინვალიდთა რაოდენობა საშუალოდ გაიზარდა 23 პროცენტით და ამჟამად მათი რიცხვი უდრის 2,107 კაცს.

დაზღვეულ ინვალიდთა ასეთი დიდი ზრდა აიხსნება ინვალიდობის არა ბუნებრივი გადიდებით, არამედ იმით, რომ გამოცემულ კანონმდებლობით გაფართოვდა იმ პირთა წრე, რომელიც შეიძლება დაზღვეულ იქნენ ინვალიდობის მიხედვით. მათ რიცხვში მოყვენ სოციალურ უზრუნველყოფის ორგანოებიდან გადმოსული 150 კაცი, სამოქალაქო ომის 7 პენსიონერი, 159 დამსახურებული განათლების მუშაკი და სხვ. ინვალიდების საერთო რიცხვიდან 76,6 პროც. მამაკაცებია და 23,4 პრ. ქალებია.

ზრდის ტენდენცია ემჩნევა აგრეთვე ქვრივობისა და ობლობის გამო დაზღვეულთა რიცხვს. მათი რიცხვი გასული წლის მეოთხე კვარტალში უდრიდა 1481 კაცს. მათი ზრდა აიხსნება საკანონმდებლო ფარგლების გაფართოვებითაც.

გასული წლის განმავლობაში დაზღვეულ პენსიონერთა რიცხვი გაიზარდა 3.308 კაცით, 1923-24 წელთან შედარებით კი 1.673 კაცით, ე. ი. 97,7 პროც. 1923-24 წელში თვითეულ 1000 დაზღვეულზე მოდიოდა 23,4 პენსიონერი, 25-26 წელში კი 33,8 პენსიონერი. საერთო საკავშირო მაშტაბით თვითეულ 1000 დაზღვეულზე 1926 წელში მოდიოდა 72,4 პროც. პენსიონერი, ჩვენში კი სულ 33,8 პენსიონერი.

საშუამავლო ორგანოებში აღრიცხვაზე აყვანილ უმუშევართა რაოდენობის ზრდამ საშუალოდ მოგვცა 9,6 პროც., იმ დროს, როდესაც უმუშევრობის მიხედვით დაზღვეულთა რიცხვი ერთ წელიწადში საშუალოდ გაიზარდა 5.432 კაცით, ანუ 14,5 პროც.

საშუამავლო ორგანოებთან აღრიცხვაზე მყოფ უმუშევართა საერთო რიცხვთან შედარებით უმუშევრობის მიხედვით დაზღვეულთა რიცხვი საშუალოდ შეადგენს 31,8 პროცენტს.

უმუშევრობის მიხედვით დახმარების მიმღებთა საერთო რიცხვიდან პირველი კატეგორიით (15 მან. თვეში) იღებენ 18,5 პროც. და მეორე კატეგორიით (10 მან. თვეში) 81,5 პროც.

1923-24 წელში თვითეულ 100 დაზღვეულზე უმუშევრობის მიხედვით დახმარებას იღებდა 21,9 პროც., 1925-26 წელში კი ეს რიცხვი გაიზარდა 31,9 პროცენტამდე.

დროებითი შრომის უნარიანობის დაკარგვის შემთხვევები იყო 78.666, რის გამო სოციალური დაზღვევის ორგანოების მიერ ანაზღაურებული იყო 1003321 გაცდენილი დღეები. 78.666 შრომის უნარმოკლებულობის შემთხვევებიდან დაავადმყოფებაზე მოდის 72,112 შემთხვევა, ანუ 78,7 პროც., კარანტინზე და ოჯახის წევრის ავადმყოფობაზე—961 შემთხვევა, ანუ ერთი პროცენტი, და პროფესიონალურ დახიჩრებაზე 4528 შემთხვევა, ანუ 4,6 პროც.

შრომის უნარმოკლებულობის მეტი ნაწილი მოდის დაზღვეულ დედაკაცებზე. თუ თვითეულ 100 დაზღვეულ მამაკაცზე საჭირო ხდება 882,7 დღის ანაზღაურება, მაშინ თვითეულ 100 დაზღვეულ დედა-კაცზე მოდის 1645,1 დღის ანაზღაურება.

1923-24 წელში თვითეულ 1000 დაზღვეულზე მოდიოდა 127,9 დაბადების შემთხვევა, 1925-26 წელში კი 121,2, ე. ი. ადგილი აქვს დაბადების შემთხვევების შემცირებას.

1925-26 წელში დაზღვეულთა საერთო რიცხვიდან მოკვდა 5.007 დაზღვეული და მათი ოჯახის წევრები, ამ რიგად, თვითეულ 1000 დაზღვეულზე მოდის 7,8 სიკვდილიანობის შემთხვევა, თვითეულ 1000 ინვალიდზე მოდის 78,3 ინვალიდთა საერთო რიცხვიდან, თვითეულ 1000 დაზღვეულ უმუშევარზე მოდის 7,5 სიკვდილიანობის შემთხვევა უმუშევართა რიცხვიდან.

მუშათა კლასის ჯანმრთელობის განმტკიცებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დასასვენებელმა სახლებმა, სანატორიუმებმა და ტალახის სამკურნალოებმა. დასასვენებელ სახლებში გაგზავნილთა საერთო რიცხვი უდრის 5.328 კაცს, აქედან დაზღვეულები შეადგენენ 5.270 კაცს. მათ შორის ფიზიკური შრომის მუშებია 3.991, ანუ 75,7 პროც., გონებრივი შრომის მუშაკები—24,3 პროც.

1925-26 წელში სანატორიუმებში გაიგზავნა 1.048, ტალახის სამკურნალოებზე გაგზავნილი იყო 1.311 კაცი. ამრიგად, დასასვენებელ სახლებში, სანატორიუმებში და ტალახის სამკურნალოებზე გაგზავნილი იყო სულ 6.729 კაცი.

1925-26 წელში თვითეულ დაზღვეულზე მოდიოდა შემოსავალი 75 მან. 67 კაპ., გასავალი კი უდრიდა 81 მან. 70 კაპ.

კამათი ამხ. მორჩილაძის მოხსენების გარშემო

ამხ. მორჩილაძის მოხსენებს გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 22 კაცმა.

ამხ. კირკაშიძე
(მბეჭდავი)

აღნიშნავს, რომ პოლიგრაფიულ წარმოებაში მუშებს მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა, ამიტომ საჭიროა შემოღებულ იქნეს მათთვის 7 საათის სამუშაო დღე. ეს მორიგ საკითხად უნდა იქნეს დასმული შრომის კომისარიატის და სოციალურ დაზღვევის სამმართველოს მუშაო-

ამხ. ლეჟავა
(ჭიათურა)

აღნიშნავს, რომ შეღავათიანი ტარიფის შემოღებამ გააუარესა ჭიათურის დამზღვევ სალაროს მდგომარეობა, რადგან შემცირდა შემოსავალი და სალაროს საშუალება არა აქვს სამსახური გაუწიოს დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეებს. სალაროს ესაჭიროება ყოველთვიური დახმარება. არის შემთხვევები, როდესაც ჩვენ რამოდენიმე თვეების განმავლობაში ვერ ვაძლევთ მუშებს დახმარებას.

საჭიროა რძის ფულის მიცემა შეუწყვეტოთ იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც 120 მანეთზე მეტს იღებენ თვეში. ამით შეიძლება ჩვენი სალაროს მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესება. ამას გარდა, გადიდებული უნდა იქნეს ადგილების რაოდენობა წყალტუბოში ჭიათურის მუშებისათვის, ვინაიდან მათ წყალში უხდებათ მუშაობა და დაავადებულნი არიან რევმატიზმით.

ამხ. პაატაშვილი
(თელავი)

ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ აუცილებელია წერილების დამტარებლების დაზღვევა, საჭიროა ამას გარდა ტარიფების გადასინჯვა, რადგან ზოგიერთი დაწესებულებები მცირე პროცენტს იხდიან.

შუამთაში არსებობს დასასვენებელი სახლი, მაგრამ რესპუბლიკის სოცდაზღვევის სამმართველო მეტად მცირე თანხას გვაძლევს ამ სახლის შესანახად და მოსავლელად. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე საექიმო დახმარების საქმის გაუმჯობესებას.

ამხ. ცხომარია
(ზუგდიდის მაზრა)

აღნიშნავს, რომ ხშირად ადგილებზე დამზღვევ სალაროებს პენსიებისათვის მიმართავენ ისეთი პირები, რომლებსაც საკმაოდ დიდი თვიური შემოსავალი აქვთ. ასეთ პირებს ჩვენ უარს ვეუბნებით, მაგრამ ისინი მიდიან ცენტრში და აქედან მოდის მოწერილობა, რომ მიეცეს მათ დახმარება. ამას ყურადღება უნდა მიექცეს.

ამხ. გეგეშიძე
(მარელისი)

ეხება მარელისის ფაბრიკის მუშების დაზღვევას და აღნიშნავს, რომ მათ დახმარების მისაღებად უხდებათ სიარული ძირულაში, ეს იწვევს საგზაო ხარჯებს და დროის უნაყოფოდ გაცდენას. ეს გარემოება უკმაყოფილებას ბადებს მუშებში. საჭიროა მარელისში გაიხსნას დამზღვევი პუნქტი.

სატყეო ტრესტს თავის დროზე არ შეაქვს დამზღვევ სალაროში პროცენტები, რაც იწვევს სალაროს ფინანსიური კრიზისს. მარელისის ფაბრიკაში მუშაობენ დღიური მუშები, რომლებიც არ იღებენ საექიმო დახმარებას. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

ამხ. შავლაშვილი
(სიღნაღი) —

აღნიშნავს, რომ რწმუნებულებს დიდ სივრცეზე უხდებათ მუშაობა მოჯამაგირე მეცხვარეებისათვის დახმარების გასაწევად. ისინი ვერ ასწრებენ მუშაობას, ამიტომ საჭიროა რწმუნებულების რიცხვის გადიდება. აღსანიშნავია, რომ მეცხვარეებს ჩვენ ვახდევინებთ 16 პროც., მაშინ, როდესაც მათ ვერ უწევთ საჭირო დახმარებას. ეს პროცენტი უნდა შემცირდეს. საჭიროა აგრეთვე სოც. დაზღვევის კანონების გავრცელება ალაზნის არხის გასაყვანად მომუშავეებზე და სახალხო მამულების დღიურ მუშებზე.

სიღნაღის მაზრას, რომელსაც 2.700 დაზღვეული მუშა-მოსამსახურე ჰყავს, არც ერთი ადგილი არ მიეცა ცენტრალურ კურორტებზე. ამას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

ამხ. მარგულისი
(აფხაზეთი)

აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ადგილი აქვს დაზღვეულთა შორის სიმულიაციას და ავადმყოფობის განზრახ გახანგრძლივებას. ამას უნდა მიექცეს ყურადღება. დამზღვევი სალაროები დიდ თანხებს ხარჯავენ ჩამოსულ მუშა-მოსამსახურეებზე. ეს საკითხიც მოგვარებული უნდა იქნეს. უნდა მოისპოს დახმარების მიცემა იმ მუშა-მოსამსახურეებისათვის, რომლებიც სიმთვრალის დროს დაავადმყოფდებიან ვენერიულ სენით.

ამხ. გოგორიშვილი
(ლეჩხუმი)

სოცდაზღვევის სამმართველო სუსტ ხელმძღვანელობას უწევს ლეჩხუმის დამზღვევ სალაროს. ეს ხელმძღვანელობა გამოიხატება მხოლოდ ცირკულიარების დაგზავნაში. საჭიროა მეტი ცოცხალი კავშირი ადგილებთან. ჩვენი სალარო დეფიციტიანია. ეს გამოწვეულია იმით,

როსადმი. მეტი ადგილი უნდა მიეცეს ლეჩხუმის მაზრას დასასვენებელ სახლებში და კურორტებზე. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ადგილობრივ კურორტების გამოყენებას.

სალაროს დიდი თანხების გაღება უხდება მუშების ქუთაისის საექსპერტო კომისიაში გაგზავნაზე. ეს საკითხიც მოგვარებული უნდა იქნეს.

ამხ. მატინიანი
(ახალციხე)

ახალციხის დამზღვევი სალარო დეფიციტიანია, მას მრავალი ვალები აქვს. სოცდაზღვევის სამმართველო კი დახმარებას არ გვიწევს, ამიტომ ავათმყოფები ხშირად ორი-სამი თვის განმავლობაში ვერ იღებენ დახმარებას.

საჭიროა მოჯამაგირეების დაზღვევა. ხშირად კურორტებზე მუშა-მოსამსახურეებს გზავნიან ნაცნობობით. ნამდვილი ავათმყოფები რჩებიან, იგზავნებიან ისეთები, რომლებსაც არ ესაჭიროებათ საკურორტო ექიმობა.

ამხ. ივანიძე
(აბასთუმანი)

აღნიშნავს, რომ აბასთუმანის დამზღვევ სალაროს დავალიანება უდრის 8.000 მანეთს. დაწესებულებებს არ შემოაქვთ ანარიცხები. ეს კი ხელს უშლის სალაროს მუშაობას. მიღებული უნდა იქნეს სასტიკი ზომები დავალიანების წინააღმდეგ.

ამხ. ჯიბლაძე
(სენაკი)

აღნიშნავს, რომ სალაროები დავალიანების 25 პროც. აძლევენ შრომის ინსპექტორებს, რომ მათ შესძლონ დავალიანების აკრეფა. 25 პროც. გადადებულია შრომის ინსპექტორების შესანახად, 10 პროც. კი მათ ეძლევათ პრემიების სახით. მიუხედავად ამისა, დავალიანება მაინც ვერ იკრიფება სათანადოდ. საჭიროა ინსტრუქტორების ხშირად მივლინება ადგილებზე.

ამხ. მგელაძე
(ოზურგეთი)

დავალიანების წინააღმდეგ ჩვენ ვიღებთ რეპრესიულ ზომებს, მაგრამ დაწესებულებების უფროსები მიდიან თბილისში და აქედან იგზავნება მოწერილობა, რომ შევაჩეროთ დავალიანების აკრეფა. საჭიროა ამ დაწესებულებებს დავალიანება დაუკავოთ საბიუჯეტო თანხებიდან. აუცილებელია აგრეთვე გადამჭრელი ზომების მიღება სიმულიანტების წინააღმდეგ. უნდა მოეწყოს მათი საჯარო გასამართლება.

ამხ. ურბანიანი
(აფხაზეთი)

ეხება ერთეულების დაზღვევას და აღნიშნავს, რომ საჭიროა გატარებულ იქნეს მათი დაზღვევა. ინვალიდებს დაგვიანებით ეძლევათ დახმარება. სუსტად არის დაყენებული სოციალური დაზღვევის იდეის პოპულიარიზაციის საქმე. დიდი ტარიფია შემოღებული საამშენებლო მუშაობაზე, რაც აფერხებს საბინაო აღმშენებლობას.

ამხ. ლაზარევი
(ბორჯომი)

აღნიშნავს, რომ ბორჯომის სალაროს შემოსავალი საკმარისია მისი მუშაობის სათანადო დონეზე დასაყენებლად, მაგრამ სოც. დაზღვევის სამმართველოს მიაქვს იმდენი ანარიცხები, რომ ადგილობრივ სალაროს არ შეუძლია გააფართოვოს მუშაობა. მაგალითად, 1925-26 წელში ცენტრალურმა სამმართველომ ბორჯომის სალაროდან წაიღო 27.000 მანეთი.

ამხ. სხირელი
(ქუთაისი)

აღნიშნავს, რომ მაზრებს მეტი ადგილი უნდა მიეცეს კურორტებზე და უნდა გაადვილდეს შეგირდების დაზღვევა, რისთვისაც უნდა შემცირდეს ანარიცხები შინა-მრეწველებზე.

ამხ. უგულავა
(ზუგდიდი)

ეხება მასწავლებლების შრომას და აღნიშნავს, რომ დაზღვევა უნდა გავრცელდეს ყველა ჯგუფების მასწავლებლებზე და უნდა გადიდდეს მათი პენსიები.

ამასთანავე საჭიროა მიღებული იქნეს ზომები, რომ პროვინციიდან ჩამოსულ ავადმყოფებს გაუადვილდეს წამლობა თბილისში.

ამხ. ელბაქიანი
(პროფსაბჭო)

აღნიშნავს, რომ სალაროების მუშაობის ძირითადი ნაკლია დავალიანება და თანხების არასწორად გაცემა. დავალიანება აღმოიფხვრება, თუ ჩვენ სწორ ხელმძღვანელობას გაუწევთ ადგილობრივ სალაროების მუშაობას. მეორე ნაკლის გამოსასწორებლად კი საჭიროა გაძლიერებული იქნეს მუშათა კონტროლი. არის განზრახვა დაარსებული იქნეს რესპუბლიკის ცენტრალური დამზღვევი სალარო. ეს არ არის საჭირო, რადგან გამოიწვევს ადგილების მუშაობის შესუსტებას. რეორგანიზაცია ისე უნდა იქნეს გატარებული, რომ გაძლიერდეს ადგილების ინიციატივა.

ამხ. გაფრინდაშვილი
(ჭიათურა)

ჭიათურის სალაროს დავალიანება ამჟამად უდრის 97.000 მან. ამიტომ სალარო საჭირო დახმარებას ვერ უწევს უმუშევარ მუშებს. აუცილებელია დახმარება გაეწიოს ჭიათურის დამზღვევ სალაროს, რომ მას საშუალება ექნეს [illegible]ზე აღმოუჩინოს მუშებს საჭირო დახმარე-

ამხ. მუსერიძე
(რაჭა)

სოციალური დაზღვევის სამმართველომ უნდა გააძლიეროს კავშირი ადგილებთან. უნდა გაუმჯობესდეს დამზღვევ პუნქტების მუშაობა, რისთვისაც საჭიროა შტატის გადიდება. მიღებული უნდა იქნეს ზომები საექიმო დახმარების გასაუმჯობესებლად.

ამხ. გ. ყურულაშვილი
(პროფსაბჭო)

სოცდაზღვევის მცირე პროცენტების გამო სოცდაზღვევის სამმართველო მძიმე კრიზისს განიცდის. შარშან დეფიციტი იყო 800.000 მანეთი. მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვით კი დეფიციტი ნავარაუდევია 500.000 მან. საჭიროა მთლიანი რესპუბლიკანური კასის შექმნა, რომელიც შესძლებს მოაწესრიგოს ადგილობრივი კასების მუშაობა, როგორც ორგანიზაციული, ისე ფინანსიური მხრივ. საჭიროა არჩეული იქნეს რესპუბლიკანური კასის კომიტეტი და მაშინ საჭირო არ იქნება თბილისის კასის გამგეობის არსებობა პარალელურად.

ამხ. გუსეინ-მამედ-ოღლი
(მოჯამაგირე)

ესალმება ყრილობას მოჯამაგირეების სახელით და აღნიშნავს, რომ ამ შვიდი წლის განმავლობაში მოჯამაგირეებს ნაკლები ყურადღება ექცევა. მოჯამაგირეებში სამუშაო დღე ფაქტიურად—შეუზღუდავია. მათთვის თითქმის არ არსებობს დასვენების დღე. არ არის მოგვარებული საექიმო დახმარების საქმე და სხვა. საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს ყრილობამ.

ამხ. თუშიშვილი
(სოც. დაზღვევის სამმართველო)

ჯერ უპასუხებს წერილობით შეკითხვაზე და შემდეგ ეხება კამათში გამოსულ ორატორების შენიშვნებს.

ამხ. თუშიშვილი აღნიშნავს, რომ სამმართველოს ფონდი შესდგება სალაროების ნაშთებისაგან. ამ ფონდიდან ეძლევათ დახმარება დეფიციტიან კასებს. 21 კასიდან 11 დეფიციტიანია, მათ შორის თბილისის კასაც. აქ აღნიშნული იყო, რომ ჭიათურის სალაროს ჩვენ არ უწევთ სათანადო დახმარებას, მაგრამ მე უნდა აღვნიშნო, რომ ჭიათურის სალაროს ჩვენ დახმარებათ მივეცით 106.000 მანეთი. ვეხმარებოდით სხვა კასებსაც. ყველა კასებს დახმარების სახით მიეცათ 177.000 მან. საკავშირო ფონდიდან და 93.000 მანეთი სამმართველოს ფონდიდან.

აქ აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ სამმართველო არ იღებს ზომებს დავალიანების ასაკრებად; ეს არ არის მართალი. მე უნდა აღვნიშნო, რომ თვითონ ადგილები არ იღებენ სათანადო მონაწილეობას დავალიანების აკრეფაში.

ამხ. მორჩილაძის საბოლოო სიტყვა

ამხანაგებო, კამათში გამოსული ორატორები აქ აღნიშნავდენ, რომ ჩვენ დახმარებას არ უწევთ ადგილობრივ კასებს, კერძოთ ჭიათურას. ეს არ არის მართალი. ჩვენ შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდით ყველა კასებს და კერძოდ ჭიათურას, როგორც აქ ამხ. თუშიშვილმა აღნიშნა, მიეცა 106.000 მან. რაც შეეხება დასასვენებელ სახლებს და სანატორიუმებს, უნდა ითქვას, რომ ჩვენ ადგილები მიღებული გვაქვს ნორმით. ამიტომ შეუძლებელია ლაპარაკი მათ გადიდებაზე. ადგილების განაწილება სამართლიანად ხდება. განაწილებას აწარმოებს პროფსაბჭო.

ადგილობრივ დასასვენებელ სახლების შესახებ მე უნდა აღვნიშნო, რომ შეუძლებელია ყველა მაზრებში დასასვენებელი სახლების მოწყობა, რადგან არა გვაქვს სათანადო თანხები. ამას გარდა ყველგან არც არის საჭირო ასეთი სახლების გახსნა.

აქ აღნიშნული იყო, რომ ვერ არის მოგვარებული მწყემსებისათვის საექიმო დახმარების მიწოდების საქმე. შეუძლებელია, ამხანაგებო, მწყემსებისათვის სპეციალური სამკურნალოების მოწყობა, რადგან ისინი ფართო ტერიტორიაზე არიან გაფანტული და ამას გარდა მხოლოდ ზაფხულობით მუშაობენ.

დელეგატმა მარელისიდან აღნიშნა, რომ სოც. დაზღვევის სამმართველომ არ გაგვიხსნა დამზღვევი პუნქტიო. ამხანაგებო, ქარხანა მხოლოდ რამოდენიმე თვეა რაც მუშაობს და როგორ შეიძლება, რომ ასე ჩქარა მოვაწყოთ იქ ყველაფერი.

რეზოლიუცია

ამხ. მორჩილაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა მეექვსე ყრილობა, იღებს რა მხედველობაში იმ მძიმე მატერიალურ მდგომარეობას, რომელშიაც უხდებოდა მუშაობა რესპუბლიკის სოციალურ დაზღვევის სამმართველოს, მის მუშაობას დამაკმაყოფილებლად სთვლის".

კომისიის არჩევა

მოხსენების გამო პრაქტიკულ წინადადებების შესამუშავებლად ყრილობამ გამოყო კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. მორჩილაძე, შალიგინი, ყურულაშვილი, აბზიანიძე, ელბაქიანი, გარდავა, თუშიშვილი, ბუაძე, ფრუიძე, ცარეკიძე, შავლუტაშვილი, კომახიძე, მგელაძე, ჯიბლაძე, ჯიჯაძე, ბელიძე, ფირალოვი და ბენია.

მეშვიდე სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. მაჩაიძე

საღამოს სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ცე კავშირის წარმომადგენლის ამხ. ცაგარელის მოხსენება ცეკავშირის მუშაობის შესახებ.

ცეკავშირის მუშაობა

(ამხ. ცაგარელის მოხსენება)

ამხ. ცაგარელმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ ცეკავშირის სისტემაში ამჟამად შედის 148 ორგანიზაცია. 1.007 სავაჭრო წერტილით კოოპერაციის წევრთა რიცხვი პირველი აპრილისათვის უდრიდა 224.000 აქედან ქალებია 15.800 აღსანიშნავია, რომ ქალები სუსტადაა ჩაბმული კოოპერაციის მუშაობაში.

1925 წლიდან ცეკავშირმა დაიწყო კამპანია თანხების უძრავ ქონებაში დაბანდების წინააღმდეგ. ამან ნაწილობრივ გამოასწორა მისი ფინანსიური მდგომარეობა. პირველი აპრილისათვის საკუთარი თანხები უდრიდა 2.400.000 მანეთს. რაც შეეხება საკუთარ და ნასესხებ თანხების შეფარდებას, უნდა აღინიშნოს, რომ ერთ მანეთ საკუთარ თანხაზე მოდის სამი მანეთი და 20 კაპეიკი ნასესხები თანხა. ეს ნორმალური შეფარდებაა. გასულ წლებში კი გაცილებით უარესი მდგომარეობა იყო. ცეკავშირის ბრუნვა მიმდინარე საოპერაციო წლის პირველ კვარტალში უდრიდა 6.878.000 მანეთს. ამჟამად ცეკავშირი ქვედა საფეხურის ქსელის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს 48 პროცენტით. მიღებულია ზომები, რომ ეს სამსახურის გაწევა გადიდებული იქნეს ას პროცენტამდე. ამ მიზნით ტარდება ცხოვრებაში საქონლის უშუალოდ მიწოდება ძირითად ორგანიზაციებისათვის, რაც შეამცირებს ზედნადებ ხარჯებს.

ცეკავშირის საქონლის ბრუნვაში 47 პროცენტი უჭირავს ფართალს, ათი პროცენტი ფქვილს, ექვსი პროცენტი შაქარს და დანარჩენი სხვა საქონელს.

დასასრულ ორატორი ეხება ფასების შემცირებას სამომხმარებლო კოოპერაციაში და აღნიშნავს, რომ თბილისში ფასები დაკლებულია საშუალოდ რვა პროცენტამდე, პროვინციაში კი უფრო ნაკლები პროც.

ფასების დაკლება ტარდება ჩვენში მხოლოდ კოოპერაციის ხაზით. მრეწველობას ჯერ-ჯერობით ამ მხრივ არ გადაუდგამს საგრძნობი ნაბიჯები.

კამათი ამხ. ცაგარელის მოხსენების გარშემო

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც საღამოს სხდომაზე მონაწილეობა მიიღო ათმა ამხანაგმა.

ამხ. ა. ათაბეკოვი
(ა. კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებული საქართველოში)

აღნიშნავს რომ ფასების დაკლების კამპანიის წარმატებით ჩატარებაში უმთავრესად დაინტერესებული უნდა იყვენ პროფკავშირები, რადგან ამ კამპანიას დიდი მნიშვნელობა აქვს მუშა მოსამსახურეთა რეალური ხელფასის გადიდების საქმეში.

ამას გარდა ფასების დაკლების მიზანია იმ განსხვავების მოსპობა, რომელიც არსებობს ერთის მხრივ მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ფასებს შორის და მეორეს მხრივ საგასაცემო და გასასყიდ ფასებს შორის. კამპანია დამთავრებული უნდა იქნეს პირველი ივლისისათვის. მაშასადამე ჩვენ დაგვრჩენია სულ ხუთი დღე. რა შედეგებს მივაღწევთ ჩვენ აქამდი. თბილისში ფასები დაკლებულია რვა პროცენტით (მუშკოოპში), მაზრებში კი ფასების დაკლება ამ აღემატება ოთხ-ხუთ პროცენტს. აშკარაა, რომ პროვინციაში ჩვენ ვერ მოვახერხებთ შევასრულოთ ცენტრალური ორგანოების დირექტივა ფასების ათი პროცენტით დაკლების შესახებ.

დასასრულ მე უნდა აღვნიშნო, რომ ფასების დაკლების კამპანიის წარმატებით ჩატარებაში უდიდესი მნიშვნელობა ექნება მუშათა ფართო მასების კონტროლს. კალკულიაცია მუშების კონტროლის ქვეშ უნდა იქნეს დაყენებული. ეს არც ისეთი ძნელი საქმეა, რადგან ყოველმა მუშამ იცის თუ რისგან შესდგება ფასი და მას საშუალება აქვს თვალყური ადევნოს ფასების მოძრაობას.

ამხ. გ. ყურულაშვილი
(პროფსაბჭო)

აღნიშნავს რომ ფასები პირველ იანვართან შედარებით შემცირდა რვა პროცენტით. კერძო ბაზარზე კი გაიზარდა ორი პროცენტით. პროვინციაში ფასები შემცირებულია მხოლოდ ხუთი პროცენტით. ეს იმას ნიშნავს, რომ დირექტივა არ იქნება შესრულებული.

ყოვლად დაუშვებელია, რომ ჩვენი მუშაობა ჩვენ განვსაზღვროთ მხოლოდ კოოპერაციით. მუშა მარტო კოოპერაციაში კი არ ყიდულობს საქონელს, არამედ იგი თავის მოთხოვნილების 66 პროცენტს კერძო ბაზარზე იკმაყოფილებს, ამიტომ ეს უკანასკნელი უნდა იქნეს მოწესრიგებული.

კოოპერაციის გაძლიერება შეუძლებელია, თუ მან რეალურ ნიადაგზე არ დააყენა წვრილი ნისიის საკითხი. მარტო საპაიო კაპიტალის გაძლიერება და სავაჭრო პუნქტების რიცხვის გადიდება ვერ უშველის საქმეს. კოოპერაციამ უნდა მოაწყოს მუშებისათვის ნისია კვირიდან-კვირამდე ან ორკვირამდე. ფართალით ვაჭრობა კარგია, მაგრამ მარტო ეს არ კმარა, მუშას უფრო ესაჭიროება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, კოოპერაციამ ამ მხრივ უნდა გააძლიეროს მუშაობა.

ამხ. გველესიანი
(ფოთი)

აღნიშნავს რომ ადგილებზე ხშირად შემცირების მაგივრად ადგილი აქვს საქონლის გაძვირებას. შემჩნეულია აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო საქონელზე ფასების გადიდება. ეს გამოწვეულია იმით, რომ კოოპერაცია არ ამზადებს მას. საჭიროა კოოპერატიული აპარატის გამარტივება.

ამხ. ათოევი
(პროფსაბჭო)

ეხება კოოპერაციის ვაჭრობის სისტემის შესწავლის და მოწესრიგების საკითხს და ამბობს, რომ ხარჯების შემცირების მიზნით აუცილებელია წარმომადგენლობების გაუქმება და სავაჭრო აპარატის რაციონალიზაცია. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საქონლის შერჩევას. სოფლის კოოპერატივებში არ იშოვება პირველი მოთხოვნილების საქონელი. უნივერსალურმა მაღაზიებმა ვერ გაამართლეს თავისთავი, რადგან იქ აპარატი ვერ არის სათანადოთ დაყენებული და დიდია ხარჯები.

ამხ. მიკირტუმოვი
(საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირი)

აღნიშნავს რომ საჭიროა გაუმჯობესებულ იქნეს ცეკავშირის დამოკიდებულება ადგილებთან. საქონლის მიწოდება პროვინციისათვის ჩქარი ტემპით უნდა სწარმოებდეს. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მაზრებისათვის საჭირო საქონლის შერჩევას. მიღებული უნდა იქნეს ზომები, რომ ბანკებმა შეღავათიან პირობებში მისცენ კოოპერაციაში.

ყრილობის მისალმება

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს

საქართველოს პროფესიონალურ კავშირების მეექვსე ყრილობა მხურვალე პროლეტარულ სალამს უძღვნის საბჭოთა კავშირის პროფკავშირების უმაღლეს ხელმძღვანელს და დარწმუნებულია, რომ როგორც აქამდი, ისე მომავალშიაც საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის დახმარებით ჩვენი პროფმოძრაობა თქვენი ხელმძღვანელობით კიდევ უფრო გაიზრდება ჩვენი ქვეყნის მთავრობის ფართო მონაწილეობით და ამით ხელს შეუწყობს პროლეტარიატის დიქტატურის გაძლიერებას და ჩვენი შინაური და საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებას.

—:—

ყრილობის პრეზიდიუმი.

მისალმება ყრილობას

ყრილობის სახელზე მიღებულია დეპეშები: აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოსა, სომხეთის პროფკავშირთა საბჭოსა და ლენინაკანის პროფკავშირების მეხუთე კონფერენციის პრეზიდიუმისაგან.

ყრილობის დღიური

— კამათი ამხ. ცაგარელის მოხსენების გარშემო დამთავრდება დღეს დილის სხდომაზე, რის შემდეგაც მოსმენილ იქნება ამხ. ცაგარელის საბოლოო სიტყვა. შემდეგ ყრილობა მოისმენს მოხსენებებს მორიგ ამოცანებზე პროფმუშაობის სოორგანიზაციო, სატარიფო და კულტურულ დარგებში.

— დღეს საღამოს ყრილობის სხდომა არ შესდგება. საღამოს 6 ნახევარ საათზე რუსთაველის თეატრში ყრილობა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტებთან და კავშირების ცენტრალურ გამგეობებთან ერთად მოისმენს ამხ. მ. კახიანი მოხსენებას საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო მდგომარეობაზე.

— ყრილობის დასრულება განზრახულია შაბათს. კვირას დელეგატები გაემგზავრებიან ზაჰესის ჰიდრო-ელექტრო სადგურის დასათვალიერებლად.

ყველა კავშირების ცენტრალურ გამგეობებს და ფაბ.-ქარხ.-ადგილკომებს

დღეს, 27 მაისს, საღამოს ზუსტ 6 ნახ. საათზე
რუსთაველის თეატრში შესდგება
სრულიად საქართვ. პროფესიონალურ კავშირთა
მე-6-ე ყრილობის მორიგი სხდომა
ყველა ცენტრალურ გამგეობათა, ფაბქარხადგილკომების და მსურველ მუშა-მოსამსახურეთა თანდასწრებით, რომელზედაც
ამხ. მიხა კახიანი
გააკეთებს მოხსენებას **საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ**

ყველა ცენტრალურ გამგეობებს ევალებათ აცნობონ ადგილკომებს და ქარხკომებს დაესწრონ აღნიშნულ მოხსენებას.

ყრილობის პრეზიდიუმი

პარტიული ცხოვრება

მთავარი, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება

თბილისის კომიტეტის მიმართვაში, რომელსაც ის უგზავნის ქვედა საფეხურის პარტიულ ორგანიზაციებს, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ უჯრედების ბიუროების საანგარიშო მოხსენებების დროს განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს იმას, თუ რა გააკეთა ბიურომ მასიური მუშაობის დარგში.

შეიძლება აქედანვე ითქვას, რომ ბევრი უჯრედი ვერ იამაყებს თავისი მიღწევებით ამ დარგში. რატომ ხდება ეს? ჩვენს ძირითად ორგანიზაციებს ზოგჯერ არა აქვთ ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ რა არის მასიური მუშაობა. პირველყოვლისა ზოგგან კიდევ უდგა არაა ის მოსაზრება, რომ მასიური მუშაობის სათანადოთ გაშლა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უჯრედი თავის გარშემო მჭიდროთ შემოიკრებს უპარტიო მასას. გარდა ამისა მასიური მუშაობა ხშირად წარმოდგენილი არის როგორც მუშაობა მხოლოდ ნებაყოფლობითი საზოგადოებების გასაძლიერებლათ.

ამავე დროს მასიური მუშაობის ფორმები მრავალზე უმრავლესია, ფასების დაკლება, ეკონომიის რეჟიმის გატარება, ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, ბრძოლა წარმოებას რაციონალიზაციისათვის და სხვა იგივე მასიური მუშაობის ფორმებია. ყველა ამ სამუშაოთ უჯრედი, როგორც უკვე ვთქვით, წარმატებით შეასრულებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან გვერდში ამოიყენა უპარტიო მასის ფართო ფენები. ეს კი ყველგან ასე ადვილათ არ ეხერხება უჯრედებს, რადგან უპარტიოთა მიზიდვა მოითხოვს ერთგვარ ფაქტს და გამოცდილებას მუშაობაში.

უპარტიოებთან მჭიდრო კავშირის გაბმას ხელს უშლის უჯრედების ხშირი დახურული კრებები, დღის წესრიგის შედგენის უცოდინარობა, უგეგმობა უჯრედის მუშაობაში, ღია კრებების ისეთ დროს დანიშვნა, როცა წარმოების თუ დაწესებულების მასის უმრავლესობა მოუცლელია, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში აქტიურად მომუშავე უპარტიოების წაუხალისებლობა და სხვა.

ამიტომ სანამ უჯრედები თავიანთ მომავალ საქმიანობაში გადავლენ მასიური მუშაობის გაღრმავებაზე, საჭიროა მათ დასვან საკითხი უპარტიო მასასთან კავშირის გაბმის შესახებ და აგრეთვე გაარკვიონ თვით მასიურ მუშაობის ცალკე ამოცანები და მიზნები.

რ. შ—ლ.

თათბირი პარტინფორმაციის შესახებ

გუშინ საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტში გაიხსნა ა.-კ. ინფორმაციულ დარგში მომუშავეთა თათბირი, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. რუბენი. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. მოხსენებები ადგილებიდან და 2. მორიგი ამოცანები პარტ-ინფორმაციის დარგში.

პირველი მოხსენება თბილისის კომიტეტის საინფორმაციო განყოფილების მუშაობის შესახებ გააკეთა ამხ. რუხაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელ ხანებში თბილისის კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს პარტ-ინფორმაციის საქმეს. აქამდე რაიონებში მუშაობდა ერთი მომუშავე, ამის გამო ინფორმაციის საქმე მოისუსტებდა. ეხლა კი ადგილებზე არის ორი მომუშავე. [illegible] მასალების დამუშავების საკითხებზე, ამხ. რუხაძე აღნიშნავს, რომ ხშირად ადგილი აქვს მასალების დაგვიანებით გამოგზავნას რაიონებიდან. უმთავრესად იგვიანებენ ოქმები. ეს მდგომარეობა საგრძნობლად აფერხებს მუშაობას. საანგარიშო პერიოდში დამუშავებულია 68 ცნობა. ინფორმაციის საქმე სუსტადაა თბილისის მაზრაში, რადგანაც თემკომებს მოუხსნეს ტეხნიკური მომუშავეები. თბილისის კომიტეტთან ადგილებზე იგზავნება სანიმუშო მოხსენებები, რაიც უადვილებს საინფორმაციო მუშაობას თემკომებს. ინფორმაციულ წერილების დაგზავნამ პარტიულ მასაში საკმაო ინფორმაციული ინტერესი გამოიწვია. მომავალში თბილისის კომიტეტი უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს ამ საკითხს. ამხ. კალიშანი ([illegible]) აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანებამდე ინფორმაციულ დარგში მომუშავეებს არ იწვევდნენ კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომებზე. ცხადია რომ ჩვენი მომუშავენი ისე ვერ გაეცნობოდენ ხელმძღვანელ ორგანოს და პარტიის ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებს. სომხეთში პარტ-ინფორმაციის სწორად წარმართვის საქმეს აბრკოლებს მაზრის მომუშავეთა დატვირთვა სხვა პარტიული საქმეებით და სისტემატიური ხშირი შეცვლა. აღებულია კურსი, რათა შექმნილი იქნას უფასო ინფ. აქტივი.

ამხ. გუხევი (ბაქოს რაიკომი) საკ. კ. პ. (ბ) ცეკასთან მოწვეული ინფ. მომუშავეთა თათბირის გადაწყვეტილებანი თანდათანობით ტარდება ცხოვრებაში. უჯრედებში ხდება მუშაობის აღნუსხვა. ბაქოს კომიტეტის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ საგრძნობი შედეგები გამოიღო. ინფორმაციულმა წერილებმა დიდი ინტერესი გამოიწვია რაიონებში.

ამხ. გრიგორიანი (ყარაბაღიდან) მას შემდეგ, რაც კომიტეტმა შესაფერისი ყურადღება მიაქცია ინფ. დარგში მუშაობას, ამ მუშაობას გამოცოცხლება დაეტყო. ჩვენ რთულ პირობებში გვიხდება მუშაობა, ადგილები ძალიან ცუდ მასალას გზავნიან, რომლის დამუშავებას დიდ დრო მოითხოვს. სასურველი შედეგები მოგვცა უჯრედის ინფორმატორების მუშაობამ.

ელიაშვილი (თბილისის საფუძი) ინფორმაციული მუშაობა ჩვენს კოლექტივში მიმდინარეობს პარტ-ორგებისა და პარტ-აქტივის საშუალებით. უჯრედებში მუშაობის აღნუსხვას სათანადო ყურადღება ექცევა, მუშათა ფართო მასის განწყობილების შესასწავლად ჩვენ ყოველ კრების დროს ვადგენთ კითხვარს, რომელიც შემოსულია ამა თუ იმ მოხსენების ირგვლივ და ვაგზავნით რაიკომში. ეხება რა ინფორმ. წერილის სისტემას ორატორი აღნიშნავს, რომ ვრცელი წერილები ზოგჯერ ინტერესს უკარგავს მუშებს. საჭიროა ამ წერილების გაშინაარსიანება და შემოკლება.

ჩაკაბერია (ს. ა. ლ. კ. კ. ცეკა) ინფორმაც. დარგში მუშაობამ ჩვენი კავშირის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა. განყოფილება უშუალოდ ამუშავებს მაზრებიდან შემოსულ მასალებს. განყოფილება თვითეულ საკითხზე ცალკე აგროვებს ყველა მაზრებიდან მიღებულ მასალებს. ორატორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ყოველ კომიტეტს თავისებური სისტემა აქვს მუშაობაში, რაც უნდა შეიცვალოს. ამხ. ჩაკაბერიას მოხსენების შემდეგ დაიხურა დილის სხდომა.

ვ. დ.

თათბირი თბილისის კომიტეტში

გუშინ თბილისის კომიტეტში შესდგა თათბირი მუშათა ფართო რაიონული კონფერენციების მოწვევის საკითხზე. თათბირს თბ. კ. მუშაკთა გარდა დაესწრნენ რაიკომების მდივნები, საორგ. განყ-ბის გამგეები და კავშირების ც. გამგეობათა თავმჯდომარეები და მდივნები. თათბირმა დაადგინა: მუშათა ფართო რაიონული კონფერენციები მოწვეულ იქნას 10-დან 16 ივნისამდე, დელეგატების არჩევა კი უნდა დაიწყოს 1 ივნისს და დასრულდეს 10 ივნისისათვის.

კონფერენციების დღის წესრიგში დაისვას შემდეგი საკითხები: 1) ს. ს. რ. კ. საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა, 2) შინა ვაჭრობის სახკომის მოხსენება ფასების დაკლების შესახებ (მუშათა კომისიების თანამოხსენებით).

დელეგატების შემადგენლობაში 70 პროც-ს აუცილებლად უნდა შეადგენდნენ უპარტიო მუშები. კონფერენცია გაგრძელდება 2—3 დღეს. დელეგატები წარმოებაში მუშაობიდან არ განთავისუფლდებიან, რის გამოც კონფერენციის სხდომები უნდა გაიმართოს საღამოობით.

კონფერენცია ტარდება პროფ-ხაზით.

კონფერენციის მოწვევისა და ჩატარებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად უნდა გამოიყოს კომისიები რაიკომის მდივნის თავმჯდომარეობით და პროფკავშირების წარმომადგენლების მონაწილეობით.

საერთო ხელმძღვანელობისათვის დაახლოვებით ამავე შემადგენლობის კომისიები იქნება რაიკომებთან.

პირველ რაიონში კონფერენცია არ იქნება მოწვეული, ამიტომაც თათბირი ავალებს ლენრაიკომს, ფასების დაკლების საკითხზე გამოყოფილ მუშურ კომისიების მუშაობის დასრულებისას ჩაატაროს წარმოებებში სათანადო მოხსენებები.

კონფერენციებისათვის საჭირო მომხსენებელთა კადრს შეარჩევს თბ. კომიტეტის სამდივნო.

კ. ს—ლი.

კომკავშირში

აქტიური უჯრედი

ს. მარხეულში არსებობს ახ. ლ. კ. კავშირის უჯრედი, რომელშიაც ირიცხება 38 წევრი. წევრების უმეტესობა ღარიბ-ღატაკი გლეხობაა. ენერგიულად ასრულებენ უჯრედის ყოველივე დავალებებს. ჩაბმულნი არიან საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მუშაობაში. კრებები სისტემატიურად იმართება.

უჯრედი შესდგება 3 ეროვნების წარმომადგენლებისაგან: სომხების, რუსების და ქართველებისაგან. ეს ეროვნული სხვადასხვაობა არავითარ დაბრკოლებას არ წარმოადგენს. ამ უჯრედმა მჭიდროთ დაიახლოვა უპარტიო გლეხი ახალგაზრდობა.

ასეთი უჯრედი მაგალითის მაჩვენებელია სხვა უჯრედებისათვის.

ნ. ბალაჩურია.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

მუშაობის განახლება

ქუთაისი, 26 მაისი. ჭიათურის მარგანეცის ზოგიერთ მაღაროებში მუშაობის განახლების გამო დიდი გაცხოველება ემჩნევა. მომუშავე მემაღაროეთა 4.000-მდე გაიზარდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა მარგანეცის გადამტან მეურმეთა რიცხვი (ადს).

კოოპერაცია

ქუთაისი, 26 მაისი. გამოკვლეულ იქნა კოოპერაციის 6 თვის მუშაობის შედეგები ქალაქ ქუთაისში და მაზრაში. სულ ქალაქში და მაზრაში არის 18 კოოპერატიული ორგანიზაცია. 1926 წ. 1 ოქტომბრისათვის კოოპერაცია აერთიანებდა 28.126 წევრს, 1 აპრილისათვის კოოპერაციის წევრთა რიცხვი გაიზარდა 30.737-მდე, რაიც მთელი მოსახლეობის 47,5 პროცენტს შეადგენს. სოციალური მდგომარეობის მიხედვით 83 პროც. გლეხია, 6,2 პროც. მუშა, 9,21 პროც. მოსამსახურე, 1,59 პროც. დანარჩენი. კოოპერაციის წევრთა რიცხვი თანდათანობით იზრდება. (ადს).

რწმუნებულთა ყრილობა

ქუთაისი, 26 მაისი. შესდგა ქუთაისის მუშკოოპის რწმუნებულთა ყრილობა 86 დელეგატის მონაწილეობით. ყრილობაზე ქუთაისის მუშკოოპის გამგეობამ გააკეთა საინფორმაციო მოხსენება თავისი ექვსი თვის მუშაობის შესახებ. გამგეობის მუშაობა ყრილობამ მოიწონა. შემდეგ განხილულ და მიღებულ იქნა მუშკოოპის წესდება ახალი რედაქციით, და აგრეთვე გამომუშავებულ იქნა სადუქნე და კოოპერატიული კომისიების ინსტრუქცია (ადს).

სამინდვრო სამუშაოები

ქუთაისი, 26 მაისი. კარგი ამინდების დადგომის გამო უკანასკნელ დღეებში ყველგან დაიწყო ხვნა და თესვა. უკანასკნელი ცნობებით, ხვნა თითქმის ყველგან დამთავრდა, თესვა 60 პროც-ით. ამავე დროს უმჯობესდება ვენახების მდგომარეობა: ბრძოლა მავნებლებთან და ფილოქსერასთან წარმატებით მიმდინარეობს (ადს).

ფასების დაკლება

ხონი, 26 მაისი. 1 მარტისათვის ქალაქ ხონის და მისი რაიონის სამომხმარებლო საზოგადოებებში ფასების დაკლება გატარებულია 13,6 პროცენტით, ხოლო აპრილში 5 პროცენტით. (ადს).

იურიდიული დახმარება სოფელს

ოზურგეთი, 26 მაისი. სამაზრო პროკურატურის მუშაკები გურიის ყველა თემებში ქოხ-სამკითხველოებთან აწყობენ სოფლის მოსახლეობისათვის უფასო იურიდიული დახმარების ბიუროებს. ბიუროები ჯერ - ჯერობით გახსნილია და მოქმედობს 6 თემში: ნაგომარის, ჩოხატაურის, სირაჩულის, საჭამიასერის, კახნარის და ლანჩხუთის თემებში (ადს).

ნიაღვრის შედეგები

თელავი, 26 მაისი. წინანდალის რაიონში მდ. შაშიანმა ალაზნის ხეობაში წალეკა 200 დეს. ნათესი, ხოლო წინანდალის სახალხო მამულში დაანგრია წყალსადენი, რაიც აბრკოლებს მუშაობას ამ მამულში (ადს).

თოვლი მთებში

თელავი, 26 მაისი. მეცხვარე თუშები, რომელნიც საზაფხულო საძოვრებზე გაემგზავრენ მთიან თუშეთში, იუწყებიან, რომ გზა საძოვრებისაკენ თოვლით არის დაფარული. ცხენების გამოყენება შეუძლებელი ხდება და სურსათის ზიდვა მწყემსებს ზურგით უხდებათ (ადს).

კოოპერატიული დუქანი თუშეთში

თელავი, 26 მაისი. საზ. „მწყემსი"-ს თელავის განყოფილებამ მთიანი თუშეთის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მოაწყო მოძრავი კოოპერატიული დუქანი. დუქანი ამ დღეებში გატანილ იქნება მთებში (ადს).

სამხრეთ ოსეთში

ტარიფის გაიაფება

სოხუმი, 26 მაისი. „ზაკავტოპრომტორგმა" სამგზავრო ფასი სოხუმიდან გუდაუთამდე შეამცირა 25 პროც-ით, სოხუმიდან გაგრამდე—10 პროც-ით, სოხუმიდან სხვადასხვა სადგურებამდე 15—25 პროც-ით (ადს).

აფხაზეთი

მიწადმოწყობის სამუშაოები

ცხინვალი, 26 მაისი. მიწადმოწყობის სამუშაოები სამხრეთ - ოსეთში ნელი ტემპით მიმდინარეობს, ვინაიდან მიწის მზომელთა და მიწადმომწყობთა კადრის დიდი ნაკლებობაა. დღემდე მიწადმოწყობის სამუშაოები დამთავრდა წონის, წუნარის, წინაგარის და სხვ. რაიონებში, სულ 900 დეს. მიწის სივრცეზე (ადს).

წერილები

მივიწყებული საქმე

(წერილი ლანჩხუთიდან)

არის ისეთი სოფლები, სადაც ეს ერთი ხანია საზოგადოებრივ-კულტურული მუშაობა მიძინებულია და მივიწყებულია უთაობისა და უხელმძღვანელობის გამო.

აქ ჩვენ ლაპარაკი გვაქვს ლანჩხუთის თემზე, რომელიც ერთ-ერთი მოზრდილი თემია გურიაში. აქაური მცხოვრებლები გვარიანი შეძლებული ხალხია და არც საზოგადოებრივ საქმის კეთებაში ჩამორჩებიან სხვას. მაგრამ დღეს თუ მუშაობა სუსტია, ეს უნდა მივაწეროთ უხელმძღვანელობის გამო.

ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის დროიდანვე ხალხის ერთ საზრუნავ საგანს შეადგენდა სახალხო სახლის აგება. ეს წადილი მათ გასაბჭოების მეორე დღიდანვე გაუმართლდათ. ხელისუფლების მიერ ამორჩეული იქნა კარგი ადგილი, მიწვეული ინჟინერები და ხელოსნები და დაიწყო სახლის შენება. გლეხობა დიდი აღფრთოვანებით შეეგება ამ საქმეს, მოქონდათ ქვები, სილა, კირი; აგური და სხვა. მთელი კვირაობით და თვეობით მუშაობდა თითოეული კომლი უსასყიდლოთ. ამოყვანილი იქნა ფუნდამენტი, აშენებულია 2.3 კედელი. ეს მოხდა 22-23 წლებში, ცოტა ხნით მუშაობა შეწყდა, მაგრამ 24 წელში კვლავ განახლდა, დროებით ისევ შეწყდა. და დარჩენილი მასალა აგური და სხვა გაიფლანგა და დაიკარგა. ამის შემდეგ კი აგერ 3 წელი გადის და არავის არ უცდია მუშაობის განახლება. გლეხის შეკითხვაზე—თუ რატომ არ ვიწყებთ მუშაობას, ასეთი პასუხია: „მის აგებას დიდი თანხა სჭირდება, თემის ბიუჯეტი პატარა გვაქვს, ვერ შევძლებთ, მის აგებაზე ფიქრი ეს ფანტაზია არისო.

გლეხობა დიდათ უკმაყოფილოა ამ შემთხვევით, მათ სირცხვილათ მიაჩნიათ ამ საქმის მივიწყება, მთელი მასა მოწადინებულია მუშაობის განახლებით და ამბობენ, იქ სადაც 20-25 დღე მიმუშავნია, ეხლა კიდევ 30 დღეს ვიმუშავებთ თითოეული, რომ ეს საქმე მოვაგვაროთ".

გლეხობის მოთხოვნილებას ანგარიში უნდა გაეწიოს.

მართალია, ადგილობრივ ხელისუფლებას არა აქვს საჭირო თანხა, თემის 4-5 წლის ბიუჯეტიმას ვერას უზამს, მაგრამ თუ კი მოინდომებენ და ხელმძღვანელობა კარგი იქნება, ხალხი ყველაფერს შესძლებს. ამას გარდა ქვეყანა დიდია, უმაღლესი ხელისუფლებაც ყურადღებას მოგვაქცევს, წვლილს გაიღებს და საქმეც შეგვარიდება.

ვ. წ—ლი.

თვითმშრომელთა გაერთიანება

(დ. აბაშა)

მე მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო დ. აბაშაში ხელოსნების მდგომარეობას. აქ მუშაობენ: პარიკმახერები, ხარაზები, მეჩექმეები, დურგლები, მჭედლები, ქესტის მოხელენი, მეფურნეები; მკერავები ევროპიული და აზიური ფეხსაცმელების და ტანისამოსის და სხვ. აი ამ მშრომელ ხალხს შეკავშირების გზა ვერ გამოენახათ. — ყველამ იცის, რომ ეს ხალხი თვითონ მუშაობენ და თავიანთ ნაწარმოებს საქონელს თვითონ ასაღებენ, მაშასადამე ისინი ვაჭრები არ არიან, ისინი მუქთახორათა წრეს არ ეკუთვნიან. მაგრამ მათ ამდენ ხანს კავშირი არ ჰქონდათ. მაგრამ ა. წ. „5" მაისს სენაკიდან ჩამოვიდნენ ამხ. ს. თურქია და კ. ბიბინეიშვილი—მოიწვიეს ზემოხსენებულ პირთა კრება.—აუხსნეს მათ კავშირების მნიშვნელობა და მოუწოდეს კრებას „თვითმშრომელ—ხელოსანთა კავშირის" მოწყობისაკენ. კრებამ მოხსენების შემდეგ დაადგინა: დ. აბაშაში დაარსეს ხელოსანთა თვითმშრომელთა კავშირი, რომელშიც გაერთიანდებიან ყველა თვითმშრომელები. არჩეულ იქნა გამგეობა და სარევიზიო კომისია.

ა. ლ-ვა.

კარგ საქმეს გვერდს უხვევენ

(სოფ. ყაზბეგი, დუშეთის მ.).

სოფელი ყაზბეგი შარშან არსებობდა სულ 7-4 წლედი შრომის სკოლა, წელს კი სულ 9 ოთხწლედი არსებობს და გაგვიხსნეს აგრეთვე სოფლის ახალგაზრდობის ერთი სკოლა.

ამ მოკლე ხანშივე სკოლამ იმდენი შესძლო, რომ სკოლასთან დაარსდა მოზრდილთათვის კურსები. მსურველები ძალიან ბევრნი აღმოჩნდენ, 42 კაცი ჩაეწერა. სწავლა კვირაში ორჯელ იყო.

პირველ ხანებში სწავლა კარგად მიმდინარეობდა, მაგრამ მოსწავლეთა უმრავლესობა მეცადინეობაზე არ ესწრებოდენ, ხშირად სამეცადინოდ დანიშნულ დღეს აღარ მიდიოდენ და მეცადინეობა სწყდებოდა. ამიტომ ბოლოს კურსები დაიხურა.

ეს არის გლეხების შეუგნებლობის ბრალი; მუქთათ იყო სწავლა, მუქთათ იყო სასწავლო ნივთები, მაგრამ ასეთ კარგ საქმეს გვერდი აუხვიეს.

შადური.

სოფლის ქრონიკა

— **დიდი წვიმები.** საგარეჯოს და მანავის თემში დიდი წვიმების გამო ადიდდა პატარა მდინარეები და გაანადგურეს ახლო - მახლო მდებარე ყანები.

— **სეტყვის წინააღმდეგ.** ხაშმის თემაღმასკომმა გადასწყვიტა თავისი ხარჯით შეიძინოს და გლეხებს შორის გაანაწილოს სეტყვის წინააღმდეგ მებრძოლი შუშხუნები.

— **ვენახების დაზარალება.** ქვედა ზეგანში (ბაღდადის რაიონი) სეტყვამ დააზარალა ვენახები.

— **მეფუტკრეობის კურსები.** გორში გაიხსნა მეფუტკრეობის კურსები, რომელზედაც ირიცხება 23 მსმენელი.

— **ახალ ქალაქში გაიხსნა გლეხთა სახლი.**

— **ტყეების დაცვა.** სოფ. ნახულევის თემის გლეხკომმა (ქუთაისის მაზრა) გადასწყვიტა სასტიკად დაიცვას განადგურებისაგან საფონდო ტყეები.

— **სახალხო სახლი.** სოფ. ამაღლების თემში (ოზურგ. მაზრა) დასრულდა სახალხო სახლის აგება.

სეზონურ მუშათა შორის მუშაობის შესახებ

(საქ. კომ. ა.-კ. საოლქო კომ. სამდივნოს დადგენილება)

ცირკულიარულად

მე-14 ყრილობის მიერ პარტიის წინაშე დასმულ ერთ-ერთ სერიოზულ ამოცანას წარმოადგენს სოფელში მცხოვრებ, სოფელთან დაკავშირებულ და სოფლებიდან ქალაქად გასულ (როგორც დროებით, ისე მუდმივ) ახალ მუშებს შორის მუშაობის საკითხი. ამ მუშების რიცხვს ეკუთვნიან სეზონური მშენებელი მუშები, სატყეო მუშები შპალების დასამზადებელ ადგილებში და მიწის მუშები საირიგაციო და სხ. სამუშაოებზე.

პარტიის ცეკამ არა ერთხელ აღნიშნა სეზონურ მუშებს შორის მუშაობის საჭიროება, მათი ჩაბმის მიზნით საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, და რეგულიარული, სწორად დაყენებული პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის წარმოების აუცილებლობა მათ შორის. მიუხედავათ იმისა, რომ დაიწყო სეზონური მუშაობა, ა.-კ. საოლქო კომიტეტმა შეამჩნია, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ამ საკითხს დღემდე არ აქცევენ სერიოზულ ყურადღებას. ყოფილა შემთხვევები, რომ პარტორგანიზაციებს სრულიად არ მიუქცევიათ ყურადღება ისეთი დაუშვებელი მოვლენებისათვის, როგორიც არის სეზონური მუშა-ხელის დაქირავება არტელებისა და კერძო შუამავლების საშუალებით, მუშებისათვის სურსათ-სანოვაგის მიწოდების საქმის სუსტი დაყენება, მუშების დაუკმაყოფილებლობა სამკურნალო დახმარებით და სოციალური დაზღვევა.

ხშირად პარტიული ორგანიზაციები სეზონურ მუშებს შორის სამუშაოდ, პარტიულ, პროფესიონალურ და სხ. სამეურნეო საქმეზე, საკმაოდ მომზადებულ და გამოცდილ ამხანაგების მაგიერ, მექანიკურად გზავნიან ისეთ მოუმზადებელ ამხანაგებს, რომლებიც პარტორგანიზაციების აღრიცხვაზე იმყოფებიან.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგენ ზემოაღნიშნულ ნაკლულევანებათა აღმოფხვრას. და მთელი თავისი ყურადღება მიაქციონ სეზონურ მუშებს შორის მუშაობის უკეთ მოწყობასა და დაყენებაზე.

ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს წინადადება ეძლევათ, რომ რაც შეიძლება მოკლე ხანში შეამოწმონ, თუ როგორ არის გატარებული ცხოვრებაში ცეკას დადგენილება 1926 წ. 2 მაისის თარიღითა და № 13-ით და, აგრეთვე, 1927 წ. 28 მაისის თარიღითა და № 51-ით. გარდა ამისა, პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა შეამოწმონ ის, თუ რა გაკეთებულა მიმდინარე საზეზონო მუშაობისათვის მომზადების მხრივ; ამასთან გამოიყენონ შარშანდელი გამოცდილება და გაითვალისწინონ ამიერ-კავკასიის ნაციონალური თავისებურება.

სეზონურ მუშებს შორის პრაქტიკული მუშაობის წარმოების დროს, საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. პარტიისა ან კომკავშირის უჯრედის დაარსება ყველა დროებით სეზონურ სამუშაოებზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება წესდებით გათვალისწინებული პირობები,—პარტიისა და კომკავშირის წევრთა მიმაგრება მახლობელ უჯრედებზე. ხელმძღვანელმა ორგანოებმა თვალყური უნდა ადევნონ და მოაწესრიგონ ამ უჯრედების მუშაობა. იგივე უნდა შეასრულონ პროფესიონალურმა კავშირებმა მათი ხაზით.

2. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მასიური მუშაობის დაყენებას, პროფესიონალური და საზოგადო ორგანიზაციების (რემედასი, ავიაქიმი) მუშაობის რეგულიარულ მოწესრიგებას, პროფესიონალური დისციპლინის, მასიური ორგანიზაციების სარგებლიანობის და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის აუცილებლობის შთანერგვას მუშების შეგნებაში. გამოყენებულ იქნას უპარტიო აქტივთან მუშაობის არსებული ფორმები, ამ უპარტიო აქტივის საშუალებით დაპყრობილ იქნას მუშათა მასა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ყველა ეროვნების მუშებს და ყოველმხრივ ჩაბმულ იქნან სეზონური მუშაქალები.

3. წითელ კუთხეების მუშაობა უნდა გამოიხატოს შემდეგში: გაზეთების და, აგრეთვე, როგორც საზოგადოებრივი, ისე სპეციალური ხასიათის, მასიური ლიტერატურის მიწოდება; ხმა მაღალი კითხვის მოწყობა; მიმდინარე ამბების გაშუქება, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის, სადგ.-მამული კოდექსის, ეროვნული პოლიტიკის, ინტერნაციონალური სოლიდარობის ნიადაგზე მუშების დაახლოების საკითხების განმარტება, აგრო-პროპაგანდის წარმოება, კულტურულ გასართობების გამართვა რადიოსა და მოძრავ კინოების გამოყენებით, ცნობების მიწოდება და იურიდიული დახმარების აღმოჩენაც წარმოადგენს, აგრეთვე, მუშაობის აუცილებელ პირობას.

4. უნდა მოწესრიგდეს კოოპერატიულ ორგანიზაციების მიერ მუშა და მუშა-ქალთა მომარაგების საქმე. მოეწყოს დუქნები, ჩაბმულ იქნან მუშები კოოპერაციაში, შერჩეულ იქნან ისინი მომარაგებას კოოპერაციის საშუალებით, მუშებისათვის შეღავათიან ფასებში სურსათ-სანოვაგისა და საქონლის მიწოდებით და ამ მიწოდების სწორი დაყენების გზით აღმოფხვრილ იქნას კერძო ვაჭრების შუამავლობა. საჭიროა დამუშავებულ იქნას სეზონურ მუშებისათვის კრედიტის გახსნის შესაძლებლობის საკითხი, რასაკვირველია ამ საკითხის შეთანხმებით სათანადო სამეურნეო ორგანიზაციებთან.

5. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ორგანოებმა უნდა მოაწესრიგონ სეზონურ მუშებისათვის სამკურნალო დახმარების გაწევის საქმე, ხოლო შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებმა და პროფკავშირებმა შეამოწმონ ეს მუშაობა.

6. სოციალური დაზღვევის ორგანოები უნდა შეეცადონ სეზონურ მუშების სოციალურ დაზღვევას და განუმარტონ მათ სოციალურ დაზღვევის ამოცანები. იქ, სადაც უკვე ტარდება სოციალური დაზღვევა, დახმარების გამცემი აპარატი მოეწყოს იმ ადგილებში, სადაც უფრო მეტია სეზონურ მუშების რიცხვი. სეზონურ მუშათა მასებთან სოციალური დაზღვევის ორგანოების დაახლოების დროს, პროფკავშირებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ მუშაობის მსვლელობას.

7. კატეგორიულად აკრძალულ იქნას მუშახელის დაქირავება მოიჯარადრეებისა ანდა ე. წ. „ორგანიზატორების" საშუალებით. ამასთან სასტიკი ყურადღება მიექცეს და აღმოფხვრილ იქნას შრომის კანონების დარღვევა ადგილობრივ ორგანიზაციების მიერ.

8. კოლექტიურ ხელშეკრულებათა თავის დროზე დადება წარმოადგენს მუშაობის აუცილებელ პირობას. კოლექტიური ხელშეკრულებები დადებულ უნდა იქნას მიმდინარე წლის არა უგვიანეს პირველ ივლისისა. პროფორგანიზაციების კომფრაქციებმა თვალყური უნდა ადევნონ ამას და თუ ის შესრულებული არ იქნება, აცნობონ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს.

მასალები სეზონურ მუშებს შორის მუშაობის შესახებ საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის ცენტრალურმა კომიტეტებმა უნდა წარმოადგინონ საოლქო კომიტეტში ორი თვის განმავლობაში.

ა. კ. კომ. უნივერსიტეტში მიღების პირობები

„26" სახელობის ა. კ. კომ. უნივერსიტეტში 1927—28 სასწავლო წელში მიღების წესი

(დამტკიცებულია საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკას ხა-მდივნოს და საკ. კომ. პარ. (ბ) ა. კ. საოლქო კომიტეტის სამდივნოს მიერ)

„26" სახელობის ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი წარმოადგენს უმაღლეს პარტიულ სკოლას და თავის ამოცანად ისახავს კვალიფიციურ პარტმუშაკთა მომზადებას.

„26" სახელობის უნივერსიტეტში მიიღებიან კომპარტიის (ბ) და ა. ლ. ლ. კ. წევრი მუშები და გლეხები. გამონაკლისი არა ფიზიკური შრომის პირთათვის შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აწარმოებენ აქტიურ პარტიულ და კომკავშირულ მუშაობას.

მიიღებიან ის ამხანაგები, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

ა) მრეწველობაში ან სასოფლო მეურნეობაში ფიზიკური შრომის საწარმოო სტაჟი არ უნდა იყოს ორ წელზე ნაკლები;

ბ) პარტიის წევრები ორი წლის სტაჟით და კომკავშირის წევრები სამი წლის სტაჟით.

შენიშვნა: კომკავშირის წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 20 პროცენტს.

გ) პარტიულ, კომკავშირის, საბჭოთა, პროფესიონალურ ორგანიზაციებში აქტიურად მომუშავენი არა ნაკლები ორი წლის სტაჟით.

დ) 20—30 წლის ჰასაკამდე

უნივერსიტეტში შესვლის მსურველებმა კარგი წერა-კითხვა უნდა იცოდენ, როგორც სამშობლო, ისე რუსულ ენაზე; საკუთარი აზრის წერილობით დალაგება, ოთხი არითმეტიკული მოქმედება როგორც მთელ, ისე ნაწევარ რიცხვებზე, გაცნობილი უნდა იყონ ელემენტარულ ფიზიკურ გეოგრაფიასთან, კარგად უნდა ერკვეოდენ გეოგრაფიულ რუქაში და მომზადებული უნდა იყონ მეორე საფეხურის (ორ წლედი) საბჭოთა პარტსკოლის კურსით პოლიტეკონომიაში, ისტორიაში და პარტიის ისტორიაში.

უნივერსიტეტში შესვლის მსურველებს მოეთხოვებათ მიმდინარე მომენტის პოლიტიკურ ამბებში გარკვევა, პარტიის პოლიტიკისა და ამოცანების სწორი გაგება, პარტიულ ყრილობების, განსაკუთრებით მე-14 პარტიული ყრილობის, მე-14 კონფერენციის და საკ. კომ. პარ. (ბ) უკანასკნელი პლენუმის გადაწყვეტილებათა ცოდნა.

საბჭოთა პარტსკოლის კურს დამთავრებულნი შეიძლება მიღებულ იქნან მხოლოდ ერთი წლის პრაქტიკული მუშაობის შემდეგ.

უნივერსიტეტში არ იქნებიან მიღებულნი ის პირნი, რომლებიც დაავადმყოფებული აღმოჩნდებიან გადამდები სნეულებებით, მათ რიცხვში—ვენერიული ავადმყოფობით, კლინიკური ფორმის ნევრასტენიით, ტუბერკულიოზით და, აგრეთვე, ფიზიკურად დაუძლურებულნი და სუსტნი.

ინვალიდობა თავის თავად არ ეღობება უნივერსიტეტში შესვლას.

მიმვლინებელი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან:

ა) იკისრონ საგზაო ხარჯები;

ბ) მისცენ მივლინებულს პირადი საქმე და ამომრჩევი კომისიის დადგენილება;

გ) მისცენ მივლინებულს მოკლე ცნობები: ჰასაკის, განათლების, ეროვნული კუთვნილების, სოციალური მდგომარეობის, პროფესიის, პარტიაში ან კომკავშირში შესვლის დროის, დაკავებული თანამდებობის, პარტიული და საბჭოთა მუშაობის შესახებ. მივლინებულის მოკლე დახასიათება, როგორც პარტიული მუშაკის, და მივლინებულის ხელწერილი იმის შესახებ, რომ ის გაცნობილია უნივერსიტეტში შესვლის პირობებთან.

მივლინებულ პირებს თან უნდა ჰქონდეთ დოკუმენტები, რომლებიც ამოწმებდენ მათ დამოკიდებულებას სამხედრო ბეგარისადმი.

მივლინებული ამხანაგები ა. კ. უნივერსიტეტში გატარდებიან საექიმო კომისიაში, სამანდატო კომისიაში, და გაივლიან მისაღებ გამოცდებს.

ის ამხანაგები, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებენ ზემოჩამოთვლილ მოთხოვნილებებს, უნივერსიტეტის მიერ უკანვე იქნებიან გაგზავნილი მიმვლინებელ ორგანიზაციების ხარჯზე.

ყველა პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებიც გზავნიან სტუდენტებს, ევალებათ, რომ უდიდესი ყურადღება მიაქციონ უნივერსიტეტში მისავლინებელთა შერჩევას.

ამ ამხანაგებს, რომლებსაც დანიშნავენ ადგილობრივი ორგანიზაციები უნივერსიტეტში გამოსაგზავნად, უნდა მიეცეთ ერთი თვის შვებულება, ჯამაგირის შენახვით იმ დაწესებულებისა ან წარმოების ხარჯზე, სადაც კანდიდატი მუშაობდა მის მივლინებამდე ა. კ. კომ. უნივერსიტეტში.

მივლინებულს შვებულება ეძლევა დასვენებისა და უნივერსიტეტში შესასვლელად მომზადებისათვის; შვებულება წესდება 5 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე.

მიღება და გამოცდა ა. კ. კომ. უნივერსიტეტში იწარმოებს 5—15 სექტემბრამდე.

მიმვლინებელმა ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ ა. კ. კომ. უნივერსიტეტში მივლინებული ამხანაგის თავის დროზე გამოგზავნისთვის.

ვინც დაიგვიანებს, აღარ იქნება მიღებული.

ა. კ. კომუნ. უნივერსიტეტში სტუდენტებს ეძლევათ ბინა, საჭმელ-სასმელი, ტანისამოსი; სასწავლო ნივთები და ფული ათი მანეთის რაოდენობით თვეში.

საერთო საცხოვრებელ ბინებში იღებიან მხოლოდ მარტოხელა სტუდენტები.

უნივერსიტეტი არ კისრულობს სტუდენტის ოჯახის მატერიალურ უზრუნველყოფას და, აგრეთვე, უზრუნველყოფას საცხოვრებელი ბინითა და სამსახურით.

ყველა მივლინებული ამხანაგები ცხადდებიან ა. კ. კომ. უნივერსიტეტის სამდივნოში (თბილისი, ერმოლოვის ქუჩა 6, დილის 9—დღის სამ საათამდე).

ადგილების განაწილება

1) საქ. კომ. პარტ. ცეკა—25 კაცი:
2) სომხ. კომ. პარტ. ცეკა—15 „
3) აზერბ. კომ. პარტ. ცეკა—25 „
4) საკ. კომ. პარტ. (ბ) ა. კ. საოლ. კომ. 4 „
5) ჩრდ.-ოსეთის საოლქო კომ.—3 „
6) დაღესტნის საოლქო კომ.—3 „
7) კავკ. წ.-დრ. არმ. პოლიტ. სამმარ.—5 „

სამრეწველო აღმშენებლობის გეგმის ფაქტიური შესრულების შემოწმება

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიკვლია სამრეწველ. აღმშენებლობის 1925—26 წლის გეგმის ფაქტიური შესრულება.

გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ რესპუბლიკების ს. მ. უ. საბჭოებმა დაუშვეს მთელი რიგი დეფექტები, როგორც სამრეწველო აღმშენებლობის გეგმის დამუშავების, ისე მისი შესრულების დროს. არადამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი აგრეთვე პროექტების და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების წესი, რომელიც არ უზრუნველყოფს მათ ტეხნიკურ და ეკონომიურ მიზანშეწონილობას. ამასთანავე გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ადგილი ჰქონდა საბიუჯეტო დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს, რაც გამოიხატა თანხების არადანიშნულებისამებრ ხარჯვაში.

სამრეწველო აღმშენებლობის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს აღმშენებლობის ხელმძღვანელობის მოწესრიგებას, რაც უდიდეს ყურადღებას მოითხოვს. მიიღო რა ეს მხედველობაში, გამოკვლევამ აღნიშნა აღმშენებლობის ხელმძღვანელობის ერთ ორგანოში გაერთიანების მიზანშეწონილობა, როგორც ეს განხორციელებულია საქართველოს ს. მ. უ. საბჭოში.

ამასთან ერთად აღნიშნული იქნა, რომ გაერთიანებული ხელმძღვანელობა განხორციელებული უნდა იქნეს დაინტერესებულ ტრესტებთან მჭიდრო კონტაქტში, ამავე დროს სისწორით გამორკვეული უნდა იქნეს ახალშენებათა კომიტეტის უფლებები და მოვალეობანი; ეს კომიტეტი უნდა შეეცადოს გააერთიანოს თავის გარშემო ყველაზე უფრო კვალიფიციური ინჟენერ-ტეხნიკოსები, იმ მიზნით, რომ მოწესრიგებული იქნეს აღმშენებლობის ტეხნიკური პროექტების დამუშავების საკითხები.

თავის სააღმშენებლო პოლიტიკაში ახლად მოწყობილი ახალშენებათა კომიტეტები უნდა ხელმძღვანელობდენ იმ ამოცანით, რომ თვით ხელში ჩაიგდონ ყველა სააღმშენებლო სამუშაოები. მათ უნდა აწარმოონ სისტემატიური მუშაობა ამისათვის საჭირო პირობების მოსამზადებლად და მხედველობაში უნდა იქონიონ საბოლოო მიზანი—მძლავრი სააღმშენებლო ორგანოს—სააღმშენებლო ტრესტის შექმნა.

შემდეგ გამოკვლევამ აღნიშნა ერთნაირი ნორმების უქონლობა ტარიფიკაციის, ხელფასზე და რიცხვის და სხვ. შესახებ, რაც აუცილებელია სახელმძღვანელოდ ხარჯთაღრიცხვების შედგენის დროს; ეს გარემოება უარყოფით გავლენას ახდენდა უპირველეს ყოვლისა, მუშაობის დროს მომჭირნეობის დაცვაზე. ამიტომ საჭიროდ არის ცნობილი დაევალოს რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებს დაამუშაონ საკითხი ერთნაირი ფორმების შემუშავებისა, ხარჯთაღრიცხვების შედგენის დროს სახელმძღვანელოდ; ეს ფორმები საბოლოო დასამტკიცებლად წარდგენილი უნდა იქნეს ა. კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში.

რაც შეეხება ანგარიშწარმოების მდგომარეობას, გამოკვლევამ საჭიროდ სცნო რესპუბლიკების ს. მ. უ. საბჭოების ყურადღება მიაქციოს მათი მოწესრიგების და გაძლიერების საჭიროებაზე.

ამის და დამოუკიდებლად, გამოითქვა აზრი, რომ საჭიროა დაევალოს რესპუბლიკების ს. მ. უ. საბჭოების მთავარ ბუხჰალტერიას სათანადო რესპუბლიკანურ მუშათა და გლეხთა ინსპექციებთან ერთად გადასინჯონ ანგარიშწარმოების არსებული ფორმები იმ მიზნით, რომ შემოღებული იქნეს ერთიანი ფორმა, რომელშიაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სააღმშენებლო ანგარიშწარმოების ყველა თავისებურებანი. ეს მუშაობა ჩატარებული უნდა იქნეს ა. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ანგარიშწარმოების ჯგუფის ხელმძღვანელობით.

დასასრულ, სამრეწველო აღმშენებლობის გეგმაშეწონილად წარმოების და შენიშნული დეფ. აღმოფხვ. მიზნით, გამოკვლევამ საჭიროდ სცნო მოუთითოს რესპუბლიკანურ ს. მ. უ. ს., რომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სამრეწველო აღმშენებლობისათვის ფაქტიური კონტროლის გაწევის გაძლიერებას.

ამასთანავე, იმის გამო, რომ ზოგიერთ სახლებში აღნიშნულია სასარგებლო სივრცის მცირე პროცენტი, გამოკვლევამ საჭიროდ სცნო წინადადება მისცეს ს. მ. უ. ს. შეიმუშაონ სახლების პროექტების ყველაზე უფრო რაციონალური ტიპები, რომელთა მიხედვითაც უნდა იქნეს წარმოებული შემდეგში საბინაო აღმშენებლობა.

გამოკვლევის მიერ წამოყენებული ღონისძიებები და დასკვნები დამტკიცებულია ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის მიერ.

ბალანსების შემოწმება

საქართველოს ფინსახკომის სახელმწიფო შემოსავალთა განყოფილება , ამჟამად აწარმოებს სახელმწიფო სავაჭრო - სამრეწველო წარმოებების 1925—26 წლის ბალანსების განხილვას ამ წარმოებების მოგების გამორკვევის მიზნით.

წელს იმ სავაჭრო - სამრეწველო წარმოებათა რიცხვი, რომლებმაც ფინსახკომში უნდა წარმოადგინონ ბალანსი, უდრის 22, აქედან 13 ს. მ. უ. საბჭოს ქვემდებარე წარმოებაა; მათ შორის 4 სავაჭრო კანტორა წელს არდგენს თავიანთ პირველ ბალანსებს. მათი საერთო მოგება უდრის — 179.299 მანეთს, პირველად ადგენს ბალანსს აგრეთვე სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი" 88.270 მანეთის მოგებით. საერთო მოგება ს. მ. უ. საბჭოს ქვემდებარე სამრეწველო წარმოებებისა (სავაჭრო კანტორების გამოკლებით) უდრის, 1.073.495 მანეთს. ბალანსების განხილვის დროს გამოირკვა, რომ ეს მოგება გადამეტებულია, საბოლოოთ დამტკიცებული იქნება ამაზე ნაკლები თანხა. -

დანარჩენ წარმოებებიდან, „სახელმწიფო ვაჭრობის სამაიო ამხანაგობის" მოგება უდრის 42.157 მანეთს, „სახმრეწვაჭრობის" — 54.422 მანეთს და „სახკინმრეწვის" მოგება — 100.450 მანეთს.

„სახალხო მამულების ტრესტმა" წარმოადგინა მხოლოდ თავისი 1925 წლის ბალანსი 28.772 მანეთის მოგებით. წინასწარი განხილვის შემდეგ ფინსახკომს გამოჰყავს ტრესტისთვის არა მოგება, არამედ წაგება 73.622 მანეთი. იგივე მდგომარეობაა „ცეკავშირში": ცეკავშირი უჩვენებს მოგებას 5.616 მანეთს, ფინსახკომს კი გამოჰყავს წაგება 352.828 მანეთი.

ბალანსების განხილვა და მოგების გამოანგარიშება ხდება იმ მიზნით, რომ გამორკვეული იქნეს იმ ანარიცხების რაოდენობა, რომელიც უნ-

სახკომსაბჭოში

აფხაზეთის სახკომსაბჭოს შუამდგომლობა

სახკომსაბჭომ დააკმაყოფილა აფხაზეთის სახკომსაბჭოს შუამდგომლობა საქართველოს ყოფ. საიპოტეკო ბანკებში დაგირავებულ აფხაზეთის ქალაქებში მდებარე შენობებზე დარიცხული ვალის თავის დროზე შეუტანლობისათვის დაწესებული საურავის გადახდევინების 1923 წ. ივნისის 1-ს ნაცვლად 1926 წ. იანვრის 1-დან დაწესების შესახებ.

აჭარისტანის სახკომსაბჭოს შუამდგომლობა

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის დასკვნის თანახმად სახკომსაბჭომ დააკმაყოფილა აჭარისტანის სახკომსაბჭოს შუამდგომლობა ქობულეთის მაზრის ჩაქვის თემის სოფ. ხალას მცხოვრებთათვის საქართველოს მიწსახკომის გამგებლობაში მყოფი 18 დეს. მიწის ნაკვეთის გადაცემის შესახებ.

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის გამომცემლობა

—სახკომსაბჭომ დაამტკიცა პროექტი დებულებისა, საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის გამომცემლობის შესახებ.

შტატის დამტკიცება

საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების შტატი დამტკიცებულ იქნა 13 თანამშრომლის რაოდენობით.

ზემო-სვანეთის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობა

ფინსახკომის დასკვნის თანახმად, სახკომსაბჭომ დააკმაყოფილა ზემო-სვანეთის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობა 1923-24 საბიუჯეტო წლის განმავლობაში ფინანსების გაღება-გაცემის საკითხებთან დაკავშირებულ საქმეთა გაუქმების შესახებ.

ავტო-მიმოსვლის განახლება საქ. სამხედრო გზაზე

თბილისში დაბრუნდა ინჟ. ჯაში, რომელმაც დაათვალიერა საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილი.

ინჟ. ჯაშმა აცნობა ჩვენს თანამშრომელს, რომ მიმოსვლა უკვე შესაძლებელია.

გზაზე თოვლი სრულიად აღებულია,—განაცხადა ინჟ. ჯაშმა,—გზის მახლობელ ფერდობებზეც აღარ არის თოვლი და ამგვარად ნამქერების მხრივ საშიშროებას სრულიად აღარ აქვს ადგილი.

ზოგიერთ ადგილებში საჭიროა გზის შეკეთება, მაგრამ ეს მოძრაობას ხელს არ შეუშლის. ამ ადგილების შესაკეთებლად მუშაობა უკვე სწარმოებს.

რამოდენიმე დღეა, რაც კერძო მანქანები უკვე მუშაობენ გზაზე და გადაჰყავთ მგზავრები. თუ აქამდე შეჩერებული იყო „ზაკავტოპრომტორგი"-ს მანქანების მიმოსვლა, ეს აიხსნება იმით, რომ გზის კავკავის დისტანციაზე სწარმოებს ხიდების შეკეთება და „ზაკავტოპრომტორგს" არ ჰქონდა ცნობა, ხიდებზე შეიძლებოდა მანქანების გატარება თუ არა.

გზაზე ყოფნის დროს ანანურის მიდამოებში ადგილი ჰქონდა ძლიერ წვიმას და სეტყვას, რამაც გამოიწვია მახლობელი მთის ღელეების ადიდება. ადიდებული წყალი გადმოვიდა გზატკეცილზე, წარეცხა იგი და დასტოვა დიდძალი ნალექი. წვიმის გადაღებისთანავე მიღებულ იქნა ზომები გზის გასაწმენდად და ეხლა იგი კარგ მდგომარეობაშია.

ავტო-მიმოსვლა განახლდება 28 მაისს

სამხედრო გზა-ტკეცილის გახსნის შესახებ მიღებული ცნობის გამო, „ზაკავტოპრომტორგი" ხსნის ავტო-მიმოსვლის სეზონს.

პირველი ავტობუსი თბილისიდან გაიგზავნება 28 მაისს.

პირველ ხანებში გზაზე იმუშავებს 15 ავტობუსი, შემდეგ კი, მოთხოვნილებისამებრ, მათი რაოდენობა გადიდებული იქნება.

მიმოსვლის ტარიფი წელს ისეთივეა, როგორც შარშან.

წითელ ჯარში

ჩვენი სამხედრო კუთხე

(ს. ლიხაური)

სოფ. ლიხაურის სამხედრო კუთხე დაარსებულია № ქართ. ლეგიონის მე-3-ე ათასეულის მიერ. მიუხედავათ იმისა, რომ ათასეული დაშორებულია კუთხიდან კარგა მანძილით, იგი უწევს კუთხეს სათანადო ხელმძღვანელობას და აწვდის. მას მასალებს მუშაობისათვის.

სამხედრო კუთხე მოთავსებულია ქოხ-სამკითხველოში და მოწყობილია სათანადოთ: არის სამხედრო მასალა, ლიტერატურა, გაზეთები; პლაკატები და სხვა.

კუთხესთან გამოდის კედლის გაზეთი სახელწოდებით „ჩვენი სიმართლე".

კუთხეში ხშირად იმართება გაზეთის ხმა-მაღალი კითხვა, ლექციები, გასამართლებები და სხვა. ადგილობრივი გლეხობა, მეტადრე ახალგაზრდობა დიდი ხალისით დაიარება კუთხეში და იღებს მონაწილეობას მის მუშაობაში.

კარგათ არის დაყენებული კუთხესთან ცნობების მიწოდების საქმე. იმისათვის არის გამოყენებული კითხვა-პასუხის რვეული და ყუთი.

კუთხეს მუშაობას განაგებს საბჭო, რომელშიაც შედიან ადგილობრივ თემ-აღმასკომის თავმჯდომარე, პარტუჯრედის და კომკავშირის თემ-კომის მდივნები, კუთხის გამგე და ორი ცვალებადი წითელარმიელი.

მუშაობაში ჩაბმული არიან სოფლის მასწავლებლები და მთელი ადგილობრივი კულტურული ძალები.

ახალი წვეულნი ყაზარმაში

ქართული ჯარის ტერიტორიალურ ნაწილებში დაიწყო 1904 წელში დაბადებულ ახალგაზრდების მომზადება.

ახალგ. პირველად უხდებათ ყაზარმაში ყოფნა, მიუხედავად ამისა; ყველანი ჩინებულად გრძნობენ თავს და მხიარულად გამოიყურებიან.

მათ უნდა დაჰყონ ყაზარმაში მხოლოდ სამი თვე, რის შემდეგაც დაუბრუნდებიან თავიანთ ჩვეულებრივ სამუშაოს, სანამ საბჭოთა მთავრობა არ გამოიძახებს ახალი ცოდნის შესაძენად.

წითელი ყაზარმა სავსებით მომზადებული შეხვდა ახალწვეულების მოსვლას. შემუშავებულია პროგრამა სამხედრო და პოლიტიკურ დარგში. სამეცადინო საათები ისეა განაწილებული, რომ ახალგაზრდებს დარჩეთ საკმაო დრო სკოლის გარეშე მუშაობისათვისაც.

დილიდან მოყოლებული ყაზარმებში სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა. მეთაურნი და პოლიტხელმძღვანელნი სცდილობენ არ დაჰკარგონ არც ერთი წუთი უბრალოდ. დრო მომზადებისათვის ძალიან მცირეა; გასაკეთებელი კი ბევრი. სამი თვის განმავლობაში ახალწვეულმა უნდა შეითვისოს არა მარტო სამხედრო ცოდნა; რომ შეეძლოს იარაღის კარგათ ხმარება, არამედ იგი უნდა გაიწვრთნას პოლიტიკურადაც და აღიჭურვოს სოფლისათვის გამოსადეგი ცოდნით.

ამას კარგად გრძნობენ მეთაურნი. გრძნობენ აგრეთვე წითელი არმიელნიც. ვინც არ იცის წერა-კითხვა, მოუთმენლად მოელის სალიკვიდაციო სკოლაში მეცადინეობის დაწყებას; წერა კითხვის მცოდნენი უკვე დგანან რიგში ბიბლიოთეკიდან წიგნების მისაღებად.

ახალგაზრდათა შორის მრავლად არიან ეროვნულ უმცირესობანი: რუსები, სომხები, ბერძნები, გერმანელები, ოსები, აფხაზები და სხვა მათ და ქართველთა შორის უკვე დამყარდა მეგობრული ურთიერთობა, დასვენების დროს იყრიან თავს ერთად და ბაასობენ ამხანაგურად, უზიარებენ ერთმანეთს შთაბეჭდილებას და ეცნობიან ერთი მეორეს.

=ლი.

სას.-სამ. გადასახადი

ა. კ. ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა გააუქმოს ა. კ. სახკომსაბჭოს მიერ 1926 წლის ივლისის თარიღით გამოცემული დადგენილება დაღესტნის რესპუბლიკის მთიანი ნაწილის მომთაბარე მცხოვრებლებზე სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეწერის შესახებ. დადგენილება გაუქმებულია იმ მოსაზრებით, რომ ლეკები, რომელნიც თელავის მაზრაში დაღესტნის საზღვრებს ახლო მდებარე სოფლებში სცხოვრობენ, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო გადასახადს იხდიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელებს მიწის ნაჭრები აქვთ მხოლოდ თელავის მაზრაში, ან იმ შემთხვევაში, თუ მათი მიწის სივრცის რაოდენობა აღემატება იმ მიწებს, რომელიც ამავე პირებს აქვთ დაღესტანში.

კალია

ამ რამოდენიმე ხნის წინად კახეთში წნორის რაიონში 10 ათასი დესეტინის სივრცეზე აღმოჩენილ იქნა კალიის დიდი ძალი ბუდეები. ცნობის მიღებისთანავე საქ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ ამ რაიონში გაგზავნილ იქნენ სპეციალისტი ინსტრუქტორები, რომელთა ხელმძღვანელობით ამჟამად სწარმოებს ბრძოლა ამ მავნებლებთან. რომ დროზე არ ყოფილიყო სათანადო ზომები მიღებული ამ მავნებლებიდან წელს კახეთში დაიღუპებოდა 120 დესეტინამდე დათესილი ყანები.

კალია აღმოჩნდა აგრეთვე თბილისის და ბორჩალოს მაზრებში, სადაც ამჟამად სამუშაოდ მივლინებული არიან სპეციალისტები სათანადო მოწყობილობით.

სასოფლო სამეურნეო კრედიტი.

აჭარისტანის ელსადგური

ამჟამად აჭარისტანის ჰიდროელსადგურზე სამუშაოების მდებარეობა ასეთია: დამთავრებულია გაყვანა მთავარი გვირაბისა, რომლის სიგრძე უდრის 280 მეტრს. ამ ერთს თვეში დამთავრდება მუშაობა საფსკრე წყლის მოსაშვები გვირაბის გასაყვანად. ივნისის დამლევს მდინარე გადაშვებული იქნება საფსკრე გვირაბში. ამ ერთს თვეში დამთავრდება აგრეთვე მდინარის მარჯვენა ნაპირზე სათავის წყლის გადასაშვები ნაგებობათა შენება. დაწყებულია მუშაობა გვირაბის წყალშესართავთან წყლის მისაშვები არხის გასაყვანად. საბოლოოდ დამთავრებულია, დატინობებულია და წყლით დაფარულია საგუბარის კბილის მარცხენა ნაწილი, რომელიც შეადგენს მთელი საგუბარის ერთს მესამედს. სწარმოებს მუშაობა აგრეთვე საგენერატორო სადგურის შენობის ასაგებად.

ტყვარჩელის მინერალური წყლები

აფხაზეთის საკურორტო სამმართველო ამჟამად ამუშავებს საკითხს ტყვარჩელის მინერალური წყლების კეთილმოწყობის შესახებ. ეს მინერალური წყლები მდებარეობს მდინარე გალიზგის ხეობაში,—ოჩემჩირიდან 37 ვერსის დაშორებით. ამ წყლების მიდამოებში განზრახულია საგლეხო კურორტის მოწყობა. ტყვარჩელის მინერალური წყლები წარმოადგენენ სამ გოგირდოვან ცხელ წყაროს, რომელიც ამოქუხს მდინარე გალიზგის ნაპირზე მდებარე კლდიდან. წყაროების დებეტი დღე ღამეში უდრის 25—35 ათას ვედროს, ტემპერატურა—30 გრადუსს.

ყოველ წყაროსთან მოწყობილია აუზი, სადაც ერთდროულად ვანის მიღება შეუძლია სამ-ოთხ კაცს ამ წყაროებზე სამკურნალოდ მიდიან მრავალი ავადმყოფები არა მარტო აფხაზეთიდან, არამედ საქართველოს სხვა მაზრებიდან. ყოველ ზაფხულს აქ მკურნალობს ათას კაცზე მეტი, უმთავრესად რევმატიზმით შეპყრობილი. ამ წყაროების სარგებლობას ძალიან აბრკოლებს უგზოობა. მისასვლელი გზის უქონლობის გამო, მინერალ-წყლებზე ძალიან სჭირს საკვებ პროდუქტის მიწოდება. ამ წყაროებზე სამკურნალოდ მიმავალ ავადმყოფებს თვითონვე მიაქვთ მთელი სეზონისათვის სამყოფი პროდუქტები. მწვავედ სდგას აგრეთვე საცხოვრებელი ბინის საკითხი.

აფხაზეთის საკურორტო სამმართველოს განზრახვა აქვს ამ წყაროებთან ააგოს 25 ოთახიანი სასტუმრო და გაიყვანოს რვა ვერსიანი საურმე გზა.

მუშათა ცხოვრება

მეტი ყურადღება [illegible]

მშრომელ გლეხობას ხშირად უხდება დაბებსა და ქალაქებში გამგზავრება სხვადასხვაგვარ საჭიროებისათვის. ღარიბესი გლეხობა განსაკუთრებით ავადმყოფობის გულისათვის მიდის ქალაქებში, რადგან ამ მხრივ სოფლის მდგომარეობა ჯერ კიდევ ვერ არის ჩაყენებული სასურველ კალაპოტში.

გლეხმა არ იცის რკინის-გზით სარგებლობის ყველა წესები, არ იცის მატარებლების განრიგები და ამიტომ თავის მძიმე ავადმყოფობით რამოდენიმე საათი ელოდება სადგურში ამა თუ იმ სახალხო მატარებელს.

მატარებლები კი, მიუხედავად მათი რიცხვის საგრძნობლად გადიდებისა, უმეტეს შემთხვევაში მაინც ძალზე დატვირთულნი არიან მგზავრებით, რის მიზეზითაც სადგური არ ჰყიდის სამგზავრო ბილეთებს, რაც კიდევ უფრო ართულებს და აუარესებს, როგორც ავადმყოფ გლეხის, ისე მის ჭირისუფლის ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობას.

დაბოლოს დიდის ვაი-ვაგლახით გლეხი იძენს რკინის-გზის სამგზავრო ბილეთს, მოდის სათანადო მატარებელიც, მგზავრი მიდის ერთ-ერთ რონოდამდის, მაგრამ მემუხრუჭე ამაყად ჩამდგარა კარებში და არ უშვებს მას შიგნით. თანაც ეუბნება: „უკან მიბრძანდით, უკან"-ო.

უკანა რონოდის მემუხრუჭეც თავის მხრივ უკან იგზავნის მგზავრს. ამასობაში მატარებელი იძვრის ადგილიდან და ამრიგად სულ „უკან და უკან" [illegible] მგზავრების საქმე.

[illegible] აღნიშნოს ის სამწუხარო გარემოება, რომ ბევრი მემუხრუჭეთაგანი სათანადო ყურადღებით არ ეპყრობა მგზავრ გლეხებს და „უკან" ისტუმრებს მაშინაც, როდესაც ამ მემუხრუჭეზე მინდობილ რონოდაში საკმაო თავისუფალი ადგილები მოიპოვება.

ასეთი მაგალითი ერთობ ბევრი და ხშირია ჩვენს რკინის-გზაზე. მათი აქ ჩამოთვლა ყოვლად შეუძლებელია, ხოლო მატყუარა მემუხრუჭეების შესახებ ძალიან ბლომად იწერება გაზეთების ფურცლებზე.

რკინის-გზელები უეჭველად პირველ რიგში უნდა იდგენ მეტად საგულისხმო ლოზუნგ „პირი სოფლისაკენ"-ის განხორციელების საქმეში. გლეხებისადამი კი უგულო მოპყრობა სრულიად საწინააღმდეგოს მომასწავებელია, რაც არ ეპატიება არც მემუხრუჭეებსა და არც რკ. გზის სხვა თანამშრომლებს.

რკინის-გზის მმართველობის მიერ გამოცემული ბრძანება მგზავრ გლეხებისადმი ზრდილობიან და ყოველ მხრივ დახმარებით მოპყრობის შესახებ უეჭველად უნდა გავატაროთ ცხოვრებაში.

ამას მოითხოვს, როგორც რკინის-გზის მეურნეობის, ისე მშრომელ გლეხობის ინტერესები.

კოლოლი.

ფოთიდან ზაჰესში

რკინის-გზის ადგილკომის ინიციატივით მოეწყო მუშა-მოსამსახურეთა ექსკურსია ზაჰესში.

ხუთშაბათს, 12 მაისს სახალხო მატარებელს მიაბეს ჩვენი საექსკურსიო რონოდა, რომელიც გაჭედილი იყო ექსკურსანტი მუშა-მოსამსახურეებით და მათი ოჯახის წევრებით.

13 მაისს დილით ჩავედით მცხეთაში სადაც მოხსნილი იქნა ჩვენი რონოდა. გავემგზავრეთ ზაჰესისაკენ. ექსკურსიას ახსნა-განმარტებებს აძლევდა გიდრ.-[illegible] ბარსეგოვი, რომელმაც დეტალურად დაათვალიერებინა ექსკურსანტებს მთავარი საგუბარი, მცირე საგუბარის განათხარი, თევზების ასავალი, ფარი, ყინულის გასაშვები, სათავე არაბი, გამრეცხავი რაბი და სხვა. შემდეგ მემანქანე გეჯაძემ დაათვალიერებინა ექსკურსანტებს საწნეო აუზი, ტურბინები და გენერატორები. დათვალიერების შემდეგ გაიმართა საუბარი.

საღამოს მატარებლით ექსკურსია გაემგზავრა ფოთისაკენ. ექსკურსანტები ფრიად კმაყოფილნი დარჩენ იმით, რომ საშუალება მიეცა საკუთარი თვალით ენახათ ჩვენი ხელისუფლების უდიდესი მიღწევა სამეურნეო ფრონტზე.

ა. ჭანტურია.

მოსაგვარებელი საკითხი

გაეროვნების საკითხი რკინის-გზაზე ვერ არის სავსებით მოგვარებული ეს უმთავრესად ითქმის რკინის-გზის სამმართველოზე. ბრძანებები ხშირად არ ითარგმნება ადგილობრივ ენებზე, ან თუ ითარგმნება ვერაფერს გაიგებს ადამიანი. ხშირია შემთხვევა, როდესაც სამმართველოს მიერ გამოცემულ ბრძანებების ხაზის ადგილკომს არაფერი არ ესმის. იგი დაწერილია გაუგებარ ენაზე, რაც რასაკვირველია, იწვევს საქმის არევ-დარევას. ამით მუშაობა ბრკოლდება.

აი, მაგალითი: ბრძანებას № 23/212 15 მარტის თარიღით სათაურად აწერია: „**წესი სადგურთა შეტყობინებისა შემკრებ და საექსკურსიო მატარებლებით განზრახვა მუშაობის შესახებ**". მოდით და გაიგეთ რამე. შინაარსზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ტრანსპორტის და მუშა-მოსამსახურეების ინტერესები მოითხოვს, რათა სამმართველომ გამოსცეს ბრძანებები 4 ადგილობრივ ენაზე. სახელდობრ ქართულზე, რუსულზე, სომხურზე და თათრულზე. ენა რა თქმა უნდა გასაგები უნდა იყოს.

მართალია, ეს მოითხოვს მცირეოდენ ხარჯებს, მაგრამ სამაგიეროდ რკინის-გზის მუშაობას მეტ ნაყოფს მოუტანს.

მუშკორი რადიუმი.

მიზანშეწონილია თუ არა პარიკმახერების კოლექტივის დაარსება?

უმუშევრობასთან ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებათ ითვლება უმუშევრებისათვის შრომის კოლექტივების დაარსება. თბილისში არიან უმუშევარი პარიკმახერები. პარიკმახერების სადელეგატო კრებამ დაადგინა სთხოვოს ც-გამგეობას, რომ მან თავის მხრივ აღძრას შუამდგომლობა სადაც ჯერ არს პარიკმახერებისათვის შრომის კოლექტივის დაარსების შესახებ. პრინციპიალურათ ამის საწინააღმდეგოთ არაა ვინ რას იტყვის!

მაგრამ ამჟამად ჩვენ წინააღმდეგი ვართ პარიკმახერებისათვის შრომის კოლექტივის გახსნის და აი რატომ: 1. ზაფხულში საპარიკმახეროების შემოსავალი საერთოდ კლებულობს—ნაკლები იქნება ის კოლექტივშიც. 2. უმუშევარ პარიკმახერების უმრავლესობა არ არიან დახელოვნებული ხელოსნები—ამიტომ შრ. კოლექტივი ვერ გაუწევს კონკურენციას კერძო პარიკმახერებს. 3. იწყება შვებულებაში წასვლის დრო და თითქმის ყველა უმუშევარი პარიკმახერი მოეწყობა დროებით სამუშაოზე. ამის გამო ვფიქრობთ, რომ არ არის საჭირო შრ. კოლექტივის დაარსება.—მასზე დახარჯული თანხა უმიზნო იქნება.

რი—ვაია.

საყურადღებო წვრილმანი

— **გამოასახლეთ.** ზოგიერთი მილიციელები უბინაობით იტანჯებიან, ხოლო მილიციის სახლებში კერძო პირები სცხოვრობენ. განა არ შეიძლება ზოგიერთების შემჭიდროვება, ზოგიერთა გადასახლება სხვაგან და უბინაო მილიციელთათვის ბინის მიჩენა?

გარდა ამისა, თითქმის ყველა წარმოება დაწესებულებების თანამშრომლები არიან ჩაბმულნი საბინაო აღმშენებლობაში. მილიცია კი რატომღაც არ მონაწილეობს ამ საქმეში. ადმინისტრაციასა და ადგილკომს უნდა შეხებოდა ეს საკითხი.

მილიციელი.

— **ვისთვის ეწყობა წარმოდგენა?** 8 მაისს ჭიათურის სამთა-მადნო მუშათა ცენტრალურ კლუბში დაიდგა წარმოდგენა. წარმოდგენა 9 საათზე დაიწყო და 2 საათზე დამთავრდა. განა მუშებს შეუძლიათ 2 საათამდე თეატრში დარჩენა? საინტერესოა ვისთვის სდგამენ ისეთ წარმოდგენას, რომელიც ღამის ორ საათამდე არ თავდება.

ტიტიკო გუმილი.

— **დამნაშავეს მიაქციეთ ყურადღება.** უბნის მექანიკებს (საკავშირო დარგისას) უხდებათ დღე და ღამე მატარებელზე მიმოსვლა, რისთვისაც მათ აქვთ წლიური ბილეთი. ამ ბილეთებით მათ უფლება აქვთ სბარგო მატარებელზე იმგზავრონ, მაგრამ მემუხრუჭეები აღარ უშვებენ.

რაშია საქმე?

მართაშვილი.

— **ქორიძის „სანიტარია".** საბჭოთა ქუჩაზე № 181 სახლი ეკუთვნის ვინმე ქორიძეს, რომელიც სანიტარულ წესრიგს ისე იცავს, რომ ეზოში ადამიანს არ გაევლება. ქორიძის „სანიტარიას" შეუძლია ხელი შეუწყოს სნეულებათა გავრცელებას.

ისევ ქალაქის სანიტარული კომისია თუ შეიხედავს ამ ეზოში, თორემ ქორიძის „სანიტარია" არ გამოდგება.

ძია-ლევან.

— **რას შვებს ეს?** 17 მაისს სადგ. ხაშურიდან გამოვიდა მატარებელი № 21. მას მობმული ჰქონდა რონოდა № 2150. ამ რონოდაში იყვნენ დამრიგებელი მემუხრუჭენი, რომელთაც მოჰყავდათ მეძავი ქალი. ასეთი შემთხვევა ხშირია, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს.

მუშკორი შავსოფლელი.

— **ეგეც საქმის გაჭიანურებაა.** ქალაქის მილიციის სამმართველოში იყო საგანგებო თანამშრომელი, რომელიც ყიდდა სამისამართო ბარათებს, საბინაო დავთრებს და სხვ. ბარათების და დავთრების გაყიდვის საქმე შემდეგ სახელმწიფო ბანკში გადაიტანეს. ერთხანს აქაც ცალკე თანამშრომელი აკეთებდა ამ საქმეს, მაგრამ ამ ბოლო დროს ბარათების და დავთრების შესაძენად ათ თანამშრომელს უნდა მიმართო.

ამ რიგათ საქმე ისე „გაამარტივეს", რომ უბრალო საქმეს თითქმის მთელი დღე უნდა მოანდომო კაცმა.

მახვილი.

— **ქუჩა ინგრევა.** მესამე უბანში მეორე შინდისის ჩიხი № 3 სახლის წინ გაფუჭებულია ქუჩა, ისე რომ მასზე მოძრაობა შეუძლებელია. ამ ქუჩის ჩამოზვავება ახლო მდებარე სახლებსაც ემუქრება. მოსალოდნელია უბედური შემთხვევა. ჯერ კიდევ ერთი წლის წინად იყო შეტანილი აღმასკომში განცხადება, რომ მიექციათ ამ ქუჩისთვის ყურადღება. წელსაც განმეორებულ იქნა განცხადება, მაგრამ შედეგი ჯერ არ სჩანს, ქუჩა კი სადაც არის ჩამოწვება.

ი. ჩაგუნავა.

— **„მუშკოოპ"-ი უნდა დაგვეხმაროს.** რკინის გზის ლიანდაგის გადაღმა არ არის კოოპერატიული დუქანი. აგურის ქარხნის და არსენალის ახლო მომუშავე მუშები ჩარჩების ხელში არიან ჩავარდნილი. მუშკოოპი რომ გახსნიდეს განყოფილებას, გადაურჩებით ამ ჩარჩებს.

წითელი მეთვალყურე

ექიმთა გადამზადება

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სანიტარულ ეპიდემიურმა განყოფილებამ სახ. უნივერსიტეტის სოციალური ჰიგიენის კათედრასთან შეთანხმებით—გადასწყვიტა მომავალი სამოსწავლო წლიდან თბილისში გახსნას ექიმების გადასამზადებელი კურსები. კურსები მოეწყობა სოციალური ჰიგიენის კათედრასთან და იქნება 4 თვიანი.

კურსებზე ლექციების საკითხავად მოწვეულ იქნებიან სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები. კურსებზე სამეცადინოთ წარმოდგენილია ორი პროგრამა—ერთი მოსკოვის სანიტარული კურსების და მეორე—შარლოტენბურგის (გერმანია) სოციალური ჰიგიენის აკადემიისა.

კურსების პროგრამას და მსმენელთა მიღების წესს ჯანსახკომი შეიმუშავებს ახლო ხანში.

გვირაბების გამოკვლევა

ამ დღეებში თბილისში მოელიან ტომსკის ტეხნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორს მ. ევდოკიმოვ-როკოტოვსკის, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს საქართველოში გაკეთებული ყველა გვირაბები. პირველ რიგში გამოკვლეულ იქნება აჭარისწყალის ჰიდრო-ელსადგურის გვირაბი.

საქართველოში გაყვანილი გვირაბები, სპეციალისტების აზრის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენენ, ვინაიდან ჩვენში გვირაბების გაყვანა უხდებათ მრავალნაირი გეოლოგიური შემადგენლობის მთებში.

პროფ. ევდოკიმოვ-როკოტოვსკი მთელ საბჭოთა კავშირში გვირაბების საქმის საუკეთესო სპეციალისტათ ითვლება.

საზაფხულო საძოვრები

მიმდინარე საზაფხულო სეზონისათვის ახალქალაქის მაზრის (ჯავახეთის) საძოვრებზე მეცხვარეთა საზოგადოება „მწყემსი"-ს წევრებს დაეთმოთ 5000 დესეტინა საძოვარი ადგილები იმ საძოვრებს, გარდა, რომელნიც საზ. „მწყემსი"-ს წევრებს მიცემული აქვთ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ფონდიდან. ცხვრის ფარის გასანაწილებლად საძოვრებზე დანიშნულია საგანგებო კომისია, რომელსაც მინდობილი აქვთ აგრეთვე ხელმძღვანელობა გაუწიოს ცხვრის ფარის გარეკას ოსმალეთის ფარგლებში მდებარე საძოვრებზე.

დასავლეთ საქართველოს მეცხვარეებმა ზეკარის უღელტეხილის გადავლით უკვე მირეკეს ცხვარი ჯავახეთის საძოვრებზე. ცხვრის გარეკას ძალიან აბრკოლებს ცუდი ამინდები და სიცივეები.

მუშკორთა კონფერენცია

კვირას, 29 მაისს ქუთაისში, პროფკავშირთა ცენტრალურ კლუბში **გაიმართება მუშკორთა, სამკორთა და ახკორთა საერთო საქალაქო კონფერენცია.**

დღის წესრიგშია:

1. მუშკორთა მოძრაობის ამოცანები,
2. გაზეთ „კომუნისტი"-სა და „მუშა"-ს რედაქციის მოხსენებანი,
3. მიმდინარე საკითხები.

კონფერენციის დასასრულ მოხდება შეჯიბრი საუკეთესო კედლის გაზეთზე.

კონფერენციას ესწრებიან: ცენტრალურ ორგანოთა კორესპონდენტები, კედლის გაზეთთა სარედაქციო კოლეგიათა წევრები და კორესპონდენტები.

კონფერენცია გაიხსნება დღის 5 საათზე.

რკინის გზებზე

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობა გარდა იმისა, რომ თვით ეწევა ბინების აღმშენებლობას, ამასთანავე ხელს უწყობს აგრეთვე ბინების ინდივიდუალურ მშენებლობასაც. ამ მიზნით ცალკე საუბნო კავშირის პასუხის მგებლობის ქვეშ იცემა გრძელ ვადიანი უპროცენტო სესხი.

სესხის მისაღებად საუბნო კავშირები აწყობენ საბინაო - სააღმშენებლო ამხანაგობებს და ადევნებენ თვალ - ყურს, რათა ამხანაგობებმა მიღებული კრედიტები გამოიყენონ დანიშნულებისამებრ.

თითოეული რკინისგზელი, რომელიც მოისურვებს ბინის შენებას — მიიღებს სესხად 500 მანეთს, რომელიც უნდა გადაიხადოს 5 წლის განმავლობაში.

უპირატესობა სესხის მიცემაში ეძლევათ რონოდებში მობინადრე რკინისგზელებს.

შრომის ნაყოფიერება და ხელფასი

მიმდინარე წლის პირველ მეოთხედში გადაზიდვა (ტონებში) და მატარებლების გარბენა (კილომეტრებში) თითოეულ მუშაკზე გაიზარდა 86-დე, რაც შეადგენს 101 პროც. 1913 წ. შედარებით. 1925—26 წ. შედარებით შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 7 პროცენტით.

შრომის ნაყოფიერებასთან ერთად გაიზარდა ხელფასიც. თუ 1913 წ. თითოეული რკინისგზელის საშუალო ხელფასი უდრიდა 43 მან., 59 კაპ., ეხლა იგი გადიდებულია 76 მან. და 90 კაპ.

1925—26 წ. შედარებით, წელს ხელფასი გადიდებულია 12 პროცენტით.

1913 წ. შედარებით შტატმაც მოიმატა. თუ მაშინ ა.-კ. რკ გზაზე ირიცხებოდა 27384 მუშა - მოსამსახურე, ეხლა ირიცხება 34.427 მუშა - მოსამსახურე.

მილიონი შავი ზღვის რკ. გზის ასაშენებლად

წელს შავი ზღვის რკინისგზის აშენებაზე დაიხარჯება ერთი მილიონი მანეთი.

შავი ზღვის რკ. გზ. ექსპლოატაცია

შავი ზღვის რკ. გზაზე ამჟამად სწარმოებს მუშაობა გზის ზუგდიდში შესაყვანად.

საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილებით ექსპლოატაცია შავი ზღვის რკინის გზისა ახალ - სენაკიდან ზუგდიდამდე უნდა დაიწყოს მიმდინარე საბიუჯეტო წლის დამლევს (ოქტომბერი).

ქრონიკა

ამიერ-კავკასიის საგზაო კულტთათბირი

გუშინ საღამოს ა. კ. საგზაო კომიტეტის შენობაში ა. კ. რკ. გზ. პროფკავშირის კულტგანყოფილების თავმჯდომარის ამხ. **აბდულაევის** თავმჯდომარეობით გაიხსნა ა. კ. მეორე საგზაო კულტთათბირი.

კულტმუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა **ამხ. ლ. გვარამაძემ.**

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, ორატორების სიტყვებიდან გამოირკვა, რომ ძირითადი კულტმუშაობა ა. კ. რკინის გზებზე ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ, პირველი სხდომა დაიხურა.

ფასების დაკლების შედეგები

ა. კ. კოოპერატივთა კავშირის ცნობებით ა. კ. სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებაში პირველ იანვართან შედარებით პირველი აპრილისათვის ფასები შემდეგი სახით არის დაკლებული. საქართველოში 6.7 პროცენტით, სომხეთში 6,3 პროცენტით, აზერბეიჯანში 1,6 პროცენტით ყველა საქონელზე. კერძოთ სამრეწველო საქონელზე ფასები დაკლებულია: საქართველოში 6.8 პროცენტით, სომხეთში 7,2 პროცენტით, აზერბეიჯანში 1,6 პროც.

ინსტრუქტორები რაიონებში

ძირითად სამომხმარებლო საზოგადოებებში ფასების დაკლების შედეგების გამოსაკვლევად ცეკავშირის საორგანიზაციო განყოფილებამ სხვადასხვა რაიონებში გაგზავნა თავის ინსტრუქტორები.

ყვავილის ჭამია ჭიები

გორის მაზრის აგრონომიულმა ორგანიზაციამ მცენარეთა დამცველ ბიუროსთან ერთად სოფლებში: ბროწლეთში, ტირძნისში, ტყვიავში, მარანაში, შერთულში და მეჯვერაში ჩაატარა ბაღების მეორეთ წამლობა 400 ჰექტარის სივრცეზე. ბაღებს წამლობდნენ ძალათი და კირწყალით.

ყურძნის ჯიშების შესწავლა

სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს საცდელ-სამეცნიერო განყოფილება კახეთის და საქარის მევენახეობა-მეღვინეობის საცდელ სადგურების სპეციალისტებისა და პროფესორ **დ. სოსნოვსკის** მონაწილეობით, წელს შეუდგება საქართველოს ყურძნის ჯიშების შესწავლას.

საძოვრების განაწილება

ამიერ - კავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა წინადადება მისცა ცალკე რესპუბლიკების ცაკებს სასწრაფო წესით ჩაატარონ საძოვრების გამოკვლევა და დაყონ ეს საძოვრები სახელმწიფო და ადგილობრივ მნიშვნელობის მიხედვით. საძოვრები იმნაირად უნდა დაიყოს, რომ გადიდებული იქნას ადგილობრივ მნიშვნელობის საძოვრების სივრცე და რაოდენობა.

პორტვეინის ტიპის ღვინო

სახალხო მამულების ტრესტის ღვინის სარდაფი უკანასკნელ ხანებში აწარმოებდა ცდებს კარდანახის ყურძნის ჯიშებიდან პორტვეინის ტიპის ღვინის დასამზადებლად. ცდებმა სასურველი შედეგები გამოიღო.

ამ დღეებში გამოშვებული იქნება ეს ღვინო, როგორც ადგილობრივ, ისე საბჭოთა კავშირის სხვა ბაზრებზე.

კვერცხების ექსპორტი

ამიერ - კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს განზრახული აქვს წელს კოოპერატიულ ამხ-ბა „ფრინველი"-ს საშუალებით დასავლეთ საქართველოში დაამზადოს დიდძალი საექსპორტო კვერცხი.

მასწავლებლის იუბილე

ქალაქ ქუთაისში 4 ივნისს აკადემიურ თეატრში გაიმართება დამსახურებულ პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის **მარ. ოტიას ასულის ვარდოსანიძის** 42 წლის მოღვაწეობის იუბილე.

შტატების შემცირება

საქართველოს სამთო მრეწველობის ტრესტის სამმართველომ დაადგინა შეამციროს სავაჭრო განყოფილების შტატი.

შემნახველი სალაროები

1 მაისისათვის მთელ ა.-კავკასიაში ითვლებოდა 454 შემნახველი სალარო 25.838 წევრით. ამავე რიცხვისათვის სალაროებში ითვლებოდა ანაბარი თანხები 2.425 ათასი მანეთის რაოდენობით.

თბილისის ალმასკომში

◆ **ნატახტარის და ბუზუჩაურის** წყაროებიდან წინასწარი ანგარიშით ქალაქს შეუძლია მიიღოს 6—7 მილიონი ვედრო წყალი.

◆ **ბალნეოლოგიური სადგური.** ალმასკომის კომუნალური განყოფილება ამჟამად იმუშავებს გეგმას თბილისში ბალნეოლოგიური სადგურის ასაგებათ.

◆ **ტრამვაის ახალი ხაზების** გაყვანის მიზნით საჭირო რელსების შესაძენათ ალმასკომმა გადასდო 400.000 მანეთი.

◆ **გარე უბნებში** მაღლობ ადგილებზე წყლის გადამქაჩავ სადგურების მოსაწყობათ გადადებულია 18.000 მანეთი.

განათლების კომისარიატში

◆ **სახ. უნივერსიტეტის 10 წლის თავის** აღსანიშნავ დღესასწაულის მოსაწყობად განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა დაარსოს ცალკე კომისია.

◆ **სწავლის ფული.** 1927 — 28 წლისათვის სასწავლო გადასახადის გეგმის შემმუშავებელ კომისიაში დამატებით წევრებათ შეყვანილი იქნენ პროფ. კეკელიძე და კ. ქაცარავა.

◆ **ხელოვნების განყოფილებაში** გაუქმდა სამუსიკო ქვე-განყოფილება.

სხვა და სხვა

◆ **აბაშის ჰიდრო ელსადგურის** სააღმშენებლო კომიტეტს ა.-კ. სას.-სამ. ბანკმა სესხად მისცა 250000 მანეთი.

სახელგამის ახალი გამოცემანი

გამოვიდა და იყიდება სახელგამის ყველა მაღაზიებში შემდეგი ახალი წიგნები:

მოსე გოგიბერიძე — „ისტორიულ მატერიალიზმი" — შედგენილი მარქსის, ენგელსის, პლეხანოვის, ლენინის, კაუტსკისა და მერინგის შრომების მიხედვით, შემდგენელის წინასიტყვაობითა და ბიბლიოგრაფიით. წიგნი შეიცავს 306 გვერდს და ღირს 2 მან. 60 კაპ. **კონსტანტინე ლორთქიფანიძე** — „ღიმილი" (ლექსები). წიგნში მოთავსებულია 46 რჩეული ლექსი, შეიცავს 116 გვერდს და ღირს 1 მან. 20 კ. **ს. ტრეტიაკოვი** — „იღრიალე ჩინეთო" დრამატიული ამბავი, თარგმანი ა. კოლხისა, მთარგმნელის წინასიტყვაობით 57 გვ. ფასი 40 კ.

სასამართლო

მცხეთაში საქონლის დახოცვის საქმე

28 მაისს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში დაიწყება მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის ლაბორატორიის ყოფილი გამგის **ალექსანდრე რედკოს** და ბეითალი ექიმის **რაჟდენ სანიკიძის** საქმის გარჩევა.

სანიკიძეს და რედკოს სამსახურისადმი გულგრილობით მოპყრობით გასულ წელს, მცხეთაში დაიხოცა 150-მდე სული საქონელი.

ელექტრონის მომწესრიგებელ სამმართველოს თანამშრომელთა პროცესი

ექსპერტების დასკვნა

გუშინდელ სხდომაზე მოსმენილი იქნა ბუჰგალტერ - ექსპერტების დასკვნა.

ექსპერტების დასკვნით, „ემსის" ბუჰგალტერიაში ქაოსი არსებობდა. გარდა ამისა, სწარმოებდა ყოველდღიური ოპერაციების არა სწორი წარმოება, შინაურულად ავანსების მიღება და სხვა.

ექსპერტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ბუჰგალტერიის არა სწორი წარმოებისათვის ბრალი მიუძღვით: მთავარ მოლარე **ბაქრაძეს,** მთავარ ბუჰგალტერ **ქავთარაძეს** და ბუჰგალტერის თანაშემწეს **გრიმაშვილს.** ბუჰგალტერიის თანამშრომლებმა იცოდენ სალაროში შემოსული ფულის რაოდენობა.

ექსპერტების დასკვნით, ბრალდებულ **ბაქრაძეს** სალაროში აკლია 11.283 მან.91 კაპ.

ბრალდებულ **ქავთარაძეზე** ანგარიში ქვეშ თანხები არ ირიცხება.

ბრალდებულ **მელიავას** მიერ გაუმართლებელია სულ 8.532 მანეთის საბუთები.

დღევანდელ სხდომაზე გაიმართება მხარეთა კამათი.

შემთხვევები

— **დიდი ქურდობა.** გუშინ ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე გაქურდეს რესპუბლიკის საპატიმრო ადგილების ინსპექტორის ამხ. დანელიას ბინა (რუსთაველის გამზირი № 41). წაღებულია დაახლოებით ორი ათასი მანეთის ნივთები. საბჭოთა საქართველო.

◆ **რუსთაველის გამზირზე** ვაპახ დავითიანცს ჯიბიდან ამოაცალეს საფულე. ჯიბგირი კაველოღლი იქვე დააპატიმრეს.

◆ **მუშკოოპის სასმელების** ფარდულიდან (თავისუფლების მოედანი 2) მორგებული გასაღების საშუალებით მოიპარეს სხვადასხვა სასმელები და ნივთები.

◆ **ბავშვის გვამი.** სოლომონოვის ქ. 32 ეზოს საპირფარეშოში მეეზოვემ აღმოაჩინა ახლად დაბადებული ბავშვის გვამი. კვლევა-ძიება სწარმოებს.

◆ **ზურაბ ორჯონიკიძის და სიმონ წერეთლის** ბინიდან მოიპარეს სხვადასხვა ნივთები 150 მანეთის.

◆ **თავის მოწამვლა.** სოფ. პრიუტის საექიმო პუნქტის ყოფ. დარაჯმა ეფიმე ალექსის ძე პატრინმა რომანიულ ნიადაგზე მოიწამლა თავი.

◆ **თავის ჩამოღრჩობა.** მანგლისის სამილიციო რაიონში სოფ. საფუძრეს მცხოვრებმა ანნა ბედოიძემ ჩამოიღრჩო თავი.

◆ **სოფ. ბაშკოვში** (წალკის სამილ. რაიონი) ქურდობისთვის დააპატიმრეს მიხეილ ჯანოევი და კლიმენტი კარაკოზოვი.

ხელოვნება

მსახიობ ვენაძის და ქუმსიაშვილის გამოსათხოვარი კონცერტი

სახელმწიფო ოპერის მსახიობებმა **ვენაძემ** და **ქუმსიაშვილმა** თავისი გამოსათხოვარი კონცერტი გამართეს სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში. ორივე მომღერალი მიემგზავრება რუსეთში და თავის არტისტულ მოღვაწეობას განაგრძობენ (დროებით) საბჭოთა კავშირის სხვა საოპერო თეატრებში.

უდავოა, რომ მათი გამგზავრება დიდი დანაკლისი იქნება თბილისის საოპერო დასისთვის, განსაკუთრებით ქართულ ოპერების დადგმისთვის, სადაც ორივე მომღერალი აუცილებელია.

ორივე კონცერტანტმა ვოკალური განათლება დაასრულეს თბილისის კონსერვატორიაში დამსახურებული პროფესორის რიადნოვის კლასით, თითქმის ორივემ ერთ დროს დაიწყო სასცენო მოღვაწეობა და რამდენიმე სეზონის განმავლობაში გაამართლეს მათზე დამყარებული იმედები და დაიმსახურეს პატივისცემა არა მარტო მსმენელთა ფართე მასებისაგან, არამედ საოპერო ხელოვნების უფრო მკაცრ შემფასებლებისაგანაც. ლამაზი ხმა, მუსიკალობა, არტისტული ალღო და მუდმივი ლტოლვა დახელოვნებისადმი — აი ახალგაზრდა მომღერლების სცენიური მოღვაწეობის დამახასიათებელი მხარე.

კონცერტის პროგრამამ გამოამჟღავნა მსახიობთა ნიჭის ახალი მხარე — საოპერო არიებთან ერთად საკონცერტო ლიტერატურის, განსაკუთრებით რუსული რომანსების შესრულება, რაც დიდ სიძნელეს წარმოადგენს.

ორივე მსახიობმა მშვენივრად შეასრულეს მთელი რიგი არია ქართული ოპერებიდან (დუეტი აბესალომ და ეთერიდან), არია ფალიაშვილის ოპერა „ლატავრადან", დუეტი და ტრიო მელივინეთ - უხუცესის ახალ ოპერიდან „ამირანიდან", არია ოპერა „დაისიდან", აგრეთვე, მშვენიერი და ძნელი დუეტი ვერდის ოპერიდან „ბედის ძალა" და უძნელესი მონოლოგი ვაგნერის ოპერიდან „ნიურენბერგელი მეისტერზინგერები" (ქუმსიაშვილი).

ვენაძემ თავი იჩინა, როგორც რომანსების და ხელოვნებულმა შემსრულებელმა (ჩაიკოვსკი, იაკობსონი).

კონცერტში მონაწილეობა მიიღო ნიჭიერმა მომღერალ - ქალმა დანიელიანმა (მრავალი არია რუსულ და გერმანულ რეპერტუარიდან) და ნიჭიერმა ვიოლონჩელისტმა ვახტანგ ნეიმანმა. ახალგაზრდა შემსრულებელს ემჩნევა დიდი პროგრესი,მაგრამ აკლია მხატვრული ალღო. ღრმა სასიამოვნო ტონი, არტისტულობა—აი მისი დამახასიათებელი მხარე. კარგი იყო გრიქუროვას აკომპანიმენტი.

ვ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

ნ. ა. რიადნოვის საღამო

ხუთშაბათს, 2 ივნისს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება ნ. ა. რიადნოვის საღამო. პროგრამა შეიცავს ძველ ხელოვანთა მელოდიებს.

მონაწილეობენ მომღერლები: ა. ბ. დახიელიანი, ო. ა. კეპინოვა და მუსიკალური წრე ნ. ა. რიადნოვას ხელმძღვანელობით, როიალთან ბ. ს. ზარატოვა, რ. ი. რეიმანი-შტენგელი. ფისგარმონიასთან — ს. პანიევი, ჰიანური — ლიუბლინსკაია, ვიოლონჩელი —კოზმინსკაია.

მოგზაური დასი

შესდგა მსახიობთა მოგზაური დასი იუზა ზარდალიშვილის მეთაურობით. დასი ივნისის პირველ რიცხვებში გაემგზავრება კახეთში წარმოდგენების გასამართავად. დასი წარმოდგენებს გამართავს: თელავში, გურჯაანში, ველისციხეში, ანაგაში, სიღნაღში და ქვემო მაჩხაანში.

დისპუტი მეიერჰოლდის თეატრზე

კვირას, 29 მაისს, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართება დისპუტი მეიერჰოლდის თეატრზე. გაკეთებული იქნება მოხსენება „რევიზორის" დადგმის შესახებ.

დისპუტზე მონაწილეობის მისაღებათ მოწვეული არიან ლიტერატორები, კრიტიკოსები და სხვ.

— **თათბირი ხელოვნების შესახებ.** 27 მაისს მოწვეულია სათეატრო თათბირი, რომელზედაც მოხსენებებს წაიკითხავენ შ. დუდუჩავა და ა. ახმეტელი.

— **ს. ინაშვილი** გაემგზავრა პროვინციაში კონცერტების გასამართავად.

— **სახელმწიფო დრამის გასული სეზონის** შესახებ ამ დღეებში მოხსენებას წაიკითხავს ს. ამაღლობელი.

— **წითელარმიელთა და ფლოტის კლუბში** 28 მაისს გაიმართება საბავშვო მუსიკალური დილა.

— **სამხატვრო გამოფენა.** მუშათა სასახლეში გაიხსნა მხატვარ ბროდსკის სურათების გამოფენა.

— **რ. ქორქიას წიგნი.** გამოვიდა ბელეტრისტ როდიონ ქორქიას მოთხრობების წიგნი. წიგნი სუფთადაა გამოცემული და ღირს 80 კაპ.

ნარევი

ნარკოტიული ტყვიები

ზოოლოგიური ბაღებისათვის ცხოველების დასაჭერად შეერთებულ შტატებში ამ რამდენიმე ხნის წინად დაამზადეს სპეციალური ტყვიები, რომელთა წინა-თავები წარმოადგენენ მოკლე და მაგარ, შიგნიდან ცარიელ ნემს, ტანქვეშ წამლის შესაშხაპუნებელი შპრიცის მსგავსს. ტყვია, არსებითად რომ ვსთქვათ, მართლა წააგავს ასეთ გამარტივებულ შპრიცს და შიგნიდან სავსეა დამაძინებელი ხსნარით. თოფიდან გასროლილი ტყვია ესობა ცხოველს ტანში, ხსნარი თავისით გადადის სისხლში, და ცხოველი იძინებს. მონადირეებს სრული შესაძლებლობა ეძლევათ დაათვალიერონ ცხოველი, გამოარკვიონ, თუ რამდენად გამოსადეგია იგი ზოოლოგიური ბაღისათვის. გამოღვიძების შემდეგ ცხოველი ვერ გრძნობს ვერავითარ უარყოფითი შედეგებს.

რუკა—რამოდენიმე დესეტინის სივრცეზე

ერთ-ერთი შკოლის მოწაფეები პარიზის შიდამოებში რამოდენიმე დესეტინის სივრცეზე დამოუკიდებლად ამზადებენ დედამიწის რელიეფის რუკას. მასალათ ხმარობენ კირსა და ცემენტს, მდინარეებში გამოყვანილია ნამდვილი წყალი, ცეცხლისმფრქვეველი მთებიდან ამოდის კვამლი. ზღვები იმდენად ღრმაა, რომ მოსწავლეები ერთი ნავთსადგურიდან მეორემდე ნავით მოგზაურობენ. სისწორით არის აღდგენილი მთაგრეხილები, მთავარ სარკინიგზო ხაზებზე გაყვანილია რელსები, რომლებზეც მოძრაობენ მატარებლები, პატარა ორთქლმავლებით.

იურიდიული დახმარება

კერძო სარგებლობის მიმღებ რადიო-სადგურების მოწყობის შესახებ

კავშირის წევრს (წიგნ. № 14.503) რკინის გზელს ჩახუნაშვილს

პასუხი

არც ერთ მუშა - მოსამსახურეს და სხვა მოქალაქეთაც არ ეკრძალებათ მოაწყონ კერძო მიმღები რადიო - სადგურები იმ სახლებში, სადაც ისინი ცხოვრობენ, მხოლოდ კერძო მიმღებ რადიო - სადგურების აგების მოწესრიგებისა და აგრეთვე საზოგადოებრივი უშიშროების დაცვისათვის, გამოცემულია ქალ. ალმასკომის მიერ დადგენილება № 114 - 1927 წ. 14 აპრილიდან (იხ. თბილისის ქალაქის საბჭოს „მოამბე" № 4. 1927 წ. აპრილი გვ. № 96), რომლის ძალით ყველა ისინი (მიუხედავად იმისა, კერძო პირია იგი, თუ სახელმწიფო ანდა საზოგადო ორგანიზაცია) ვალდებული არიან მიიღონ წინასწარ რადიო-სადგურის მოწყობის და სარგებლობის შესახებ სათანადო ნებართვა ოლქის კავშირის სამმართველოდან. თვით მიმღები სადგური უნდა იქნეს აგებული იმ ტექნიკური წესების მიხედვით, რაც უკვე გამომუშავებულია (და დართულია აღნიშნულ სავალდებულო დადგენილებასთან).იხ.საბჭოს „მოამბე" № 4 — გვ. 98-99). სადგურის აგების მსურველმა უნდა მიიღოს აგრეთვე ამის შესახებ დასტური ალმასკომის კომუნ. მეურნეობის კეთილმომწყობ განყოფილებიდან.

ყველა ისინი, ვისაც უკვე აქვთ მოწყობილი ასეთი სადგურები, ვალდებული არიან აცნობონ ამის შესახებ ოლქის კავშირის სამმართველოს და კეთილმომწყობ განყოფილებას.

ვინც ამ წესებს არ შეასრულებს ანდა დაარღვევს, იგი დაჯარიმებული იქნება ადმინისტრატიული წესით ას მანეთამდე (100 მან.) ანდა დაპატიმრებული იქნება ორ თვემდის. (იხ. იქვე მუხ. 12).

ასეთივე წესები არსებობს თბილისის მაზრაში მცხოვრებლებისათვის.

კავშირის წევრს, (წიგნი № 6299) მე-12 შრ. სკოლის მასწავლებელს.

პასუხი

სახლის პატრონს არა აქვს არავითარი უფლება თქვენ მიერ დაქირავებული ბინა სხვას გადასცეს, მით უმეტეს, რომ ბინის ქირა ოცი თუმნის რაოდენობით თქვენ წინდაწინ გადაგიხდიათ. სახლის პატრონი რემონტის დამთავრებისას ვალდებულია ჩაგაბაროს ბინა (იხ. სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხ. № 157, 158, 120 და 171).

გაზეთის დამტარებელს თეიმურაზ მეგრელიშვილს (კავშ. წიგნ. № 14.494)

პასუხი

როგორც კავშირის წევრს, თვიურად 33 მან. მიმღებს საცხოვრებელ მოედნის თითოეულ კვად. მეტრზე გადაგხდებათ არა უმეტეს რვა კაპიკისა.

სახლის კიბე და სახურავი თავის ხარჯით უნდა შეაკეთოს სახლის პატრონმა (იხ. სამოქალაქო სამართლის კოდ. მუხ. 159). თუ კი იგი ამას არ შეასრულებს, თქვენ გაქვთ უფლება, შეაკეთოთ კიბეც და სახურავიც თქვენ ხარჯზე და ხარჯები კი აინაზღაუროთ ბინის ქირიდან (იხ. მუხ. 159 და 171).

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 1, 2, 3, 4; 7; 8; 9; 10, 11, 12 მუხ. მე-13 მუხ. მე-2 შენიშვნისა, 13; 14; 15; 16; 19; 20; 21 და 23 მუხ. რედაქციის შეცვლისა, 17 და 18 მუხ. ამოშლისა და ამ დებულებისათვის 8^1 და 10^1 მუხ. დამატების შესახებ.

რათა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ნოტარიატის დებულება (საქართველოს სსრ კან. და განკ. კრებ. 1924 წ. პირველი №-რი, მუხ. 21) შეთანხმებულ იქნეს სსრკ ცენ. აღმ. კ-ტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. მაისის 14-ს დადგენილებით (სსრკ კან. კრ. 1926 წლ. 35 №-რი, მუხ. 251—252) გათვალისწინებულ სახელმწიფო ნოტარიატის ორგანიზაციის ძირითა პრინციპებთან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ნოტარიატის 1, 2, 3, 4, 7; 8; 9; 10; 11; და 12 მუხ.; მე-13 მუხ. მე-2 შენიშვნას, 13, 14; 15; 16; 19, 20, 21 და 23 მუხ. მიეცეს შემდეგი რედაქცია:

მუხ. 1. სანოტარო კანტორას დაეკისრება: ა) სანოტარო დამოწმება ყოველგვარი გარიგებისა, რომლის დამოწმებისათვისაც სამოქალაქო სამართლის კოდექსით და სხვა მომქმედი კანონით სანოტარო წესია შემოღებული და აგრეთვე, მხარეთა სურვილით, ყველა სხვა სამოქალაქო ხასიათის გარიგება; ბ) კანონით გათვალისწინებული პროტესტი ქმნა; გ) შემოწმება ყოველგვარი დოკუმენტის ასლისა და სავაჭრო დავთრისა ან სხვა დავთრის თუ დოკუმენტის ამონაწერისა, აგრეთვე ხელმონაწერის სინამდვილისა; დ) დადასტურება, თანამდებობის პირისა და დაწესებულების, აგრეთვე კერძო პირის მოთხოვნით, უდავო გარემოებისა, როგორიც არის; დოკუმენტის წარდგენის დრო, ამა თუ იმ პირის განსაზღვრულ ადგილას ყოფნა, ერთი პირისაგან მეორესათვის ახსნა-განმარტების თუ მოთხოვნის წარდგენა და სხვ.; ე) ასლებისა, რეესტრის ამონაწერის და სხვ. გაცემა; ვ) სხვადასხვა პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესანახად მიღება.

მუხ. 2. ხელშეკრულება არამუნიციპალიზაციაქმნილი შენობის განსხვისებისა და დაგირავებისა, აღნაგობის უფლების დამყარებისა, განსხვისებისა და დაგირავებისა დამოწმებულ უნდა იქნეს იმ ადგილის სანოტარო კანტორაში, სადაც შენობა ან შენობის ასაგებად გაცემული მიწის ნაკვეთი მდებარეობს. აქტი შენობისა და აღნაგობის უფლების გადაგირავებისა და ამ გირავნობით უზრუნველყოფითი მოთხოვნის გადაცემისა, აგრეთვე აქტი გირავნობის მოსპობისა, დამოწმებულ იქნება იმავე სანოტარო კანტორაში, სადაც დამოწმებულის დაგირავების გარიგება. ყველა სხვა ხელშეკრულების დამოწმება, ყოველი დადასტურება და სხვა სანოტარო მოქმედება შესრულდება ამა თუ იმ სანოტარო კონტორაში, მხარეთა სურვილისამებრ.

მუხ. 3. ნოტარიუსი მიიღებს რა მოთხოვნას რაიმე, ამა დებულების 1-ლი მუხლით გათვალისწინებული, სანოტარო მოქმედების შესრულების შესახებ, უნდა დარწმუნდეს, შეესაბამება თუ არა ის მოქმედება, რასაც მისგან მოითხოვენ, ან შესამოწმებლად წარდგენილი გარიგება და დოკუმენტი მომქმედ კანონებს, და უკეთუ კანონშეუსაბამობა რამ აღმოჩნდა, უარი უნდა სთქვას სანოტარო მოქმედების შესრულებაზე.

ნოტარიუსი არ განიხილავს, თუ რამდენად მიზანშეწონილია დასამოწმებლად წარდგენილი გარიგება, რამდენად სასარგებლოა იგი ან ხაზარალოა მხარეებისათვის. ნოტარიუსმა უნდა გამოარკვიოს აგრეთვე, გადახდილია თუ არა ამა თუ იმ დოკუმენტზე დაწესებული გამოსაღები.

მუხ. 4. ნოტარიუსის უარი ამა თუ იმ მოქმედებაზე, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით, წერილობით უნდა იქნეს გამოთქმული და აღინიშნოს უარის მიზეზი და სათანადო კანონი. დამოწმება და შემოწმება უნდა მოხდეს ან უარი ამ მოქმედებაზე განცხადებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს სამი დღის ვადისა სათანადო დოკუმენტების წარდგენიდან და გამოსაღების შეტანიდან.

მუხ 7. სანოტარო კონტორა, იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული ფორმით, აწარმოებს შემდეგ დავთრებს: ა) რეესტრს კონტორის ყველა მოქმედების (თამასუქის პროტესტის გარდა) ჩასაწერად: გარიგების დამოწმებისა, ყოველგვარი შემოწმებისა, უვადო გარემოების დადასტურებისა, ასლისა და ამონაწერის გაცემისა და სხვ.; აგრეთვე გადახდევინებული გამოსაღებისა და ბაჟისა, ბ) ცალკე რეესტრს თამასუქების პროტესტის ჩასაწერად, გ) საალფაბეტო სარჩევებს რეესტრებისათვის, დ) ფულის დავთარს კონტორაში შემოსული ფულისა და დოკუმენტის ჩასაწერად ად აგრეთვე შემოსული ფულის დახარჯვის ჩასაწერად.

მუხ. 8. დავთრები და რეესტრები, გარდა საალფაბეტო სარჩევებისა, უნდა იყოს დანომრილი, ზონარგაყრილი და ფურცლობრივად შემოწმებული ოლქის სასამართლოს მდივნის მიერ, ოლქის სასამართლოს წევრის ხელმოწერილი და ოლქის სასამართლოს ბეჭედ დასმული; ხოლო, უკეთუ სანოტარო კონტორა ოლქის სასამართლოს სამყოფელი ადგილის გარეშეა, ამ სასამართლოს დავალებით, დავთრებსა და რეესტრებს შეამოწმებს სახალხო სასამართლოს მდივანი, ხელს მოაწერს სახალხო მოსამართლე და დაესმება სახალხო სასამართლოს ლუქის ბეჭედი. ხარვეზებს დავთრებსა და რეესტრებში ხაზი უნდა გადაესვას; ამოფხეკა არ შეიძლება, ხოლო შესწორება და მონაწერი სხვა ფერის მელნით უნდა იყოს და სათანადო ჩანაწერის ბოლოში აღინიშნოს ნოტარიუსის ხელმოწერით. სანოტარო დავთრები და რეესტრები ყოველი წლის ბოლოს დასრულებული უნდა იქნეს და ყველა დანართითურთ სანოტარო არქივს წარედგინოს, ამას გარდა; ნოტარიუსი მოვალეა—არა უგვიანეს ახალი წლის იანვრის 2-სა შენობის აცნობოს სანოტარო თანაგანყოფილებას, თუ რამდენი ნომერია სარეესტრო დავთარში.

მუხ. 9. სანოტარო დამოწმება შენობის განსხვისებისა და დაგირავებისა და აღნაგობის უფლების დამყარებისა, განსხვისებისა და დაგირავების ხელშეკრულებისა, სანოტარო დამოწმება აგრეთვე ანდერძისა და ყოველგვარი სხვა გარიგებისა, სათანადო წარწერით აღინიშნება თვით გარიგებასა და დოკუმენტზე, სანოტარო კონტორის ბეჭდის დასმით. სანოტარო დამოწმება გარიგებისა ჩაიწერება სანოტარო რეესტრში.

ის აქტი, რაც კანონის ძალით, სანოტარო წესით უნდა იყოს დამოწმებული, წარედგინება სანოტარო კონტორას ორ ცალად მაინც; რომელთაგან ერთი, ძირითადი, დარჩება სანოტარო კონტორის საქმეებში.

მუხ. 10. გარიგების ყველა სანოტარო დამოწმებაში და აგრეთვე ყველა შემოწმებაში უნდა აღინიშნოს სანოტარო კონტორა, რომელმაც იგი დაამოწმა და შეამოწმა, (აგრეთვე დრო: წელიწადი, თვე და რიცხვი, სათანადო შემთხვევაში კი საათი:) ეს დამოწმება ან შემოწმება ნოტარიუსის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს.

მუხ. 11. ნოტარიუსის მიერ დამოწმებული ყველა გარიგება გარკვევით და მკაფიოდ უნდა იყოს დაწერილი. ყოველი რიცხვი, ნომერი და ვადა, რაც კი დამოწმებული გარიგების შინაარსს შეეხება. ერთხელ მაინც უნდა აღინიშნოს სიტყვებით. ამოფხეკა არ შეიძლება. ხარვეზს ხაზი უნდა გადაესვას; ყოველგვარი შესწორება და მინაწერი სხვა ფერის მელნით უნდა იყოს შეტანილი და აღინიშნოს გარიგების ტექსტის ბოლოს, გარიგების მონაწილე პირთა ხელმოწერის წინ, გარდა ამისა ყოველი შესწორება და მინაწერი ნოტარიუსმა უნდა აღნიშნოს თვით გარიგების დამოწმების წარწერის ტექსტშიაც. ამასთანავე ტექსტი ისე უნდა იყოს შესწორებული, რომ შეიძლებოდეს პირვანდელი სახით წაკითხვა ყველა იმისა; რაც შეცდომით იყო დაწერილი, ხოლო შემდეგ შესწორებული და წაშლილი.

(დასასრული ხვალ)

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის დრ. აღმასრულებელი ბ. მბალობლიშვილი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ალ. სალარიძე.

1927 წ. აპრილის 6.
თბილისი—სასახლე.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებული ბრძანება სახ. პოლიტიკურ სამმართველოსი — მოსახლეობისათვის სასროლი იარაღის ჩამორთმევისა და იმ მოქალაქეთა მიერ, რომელთაც იარაღის ტარების უფლება აქვთ, თავიანთი იარაღის ხელახალ რეგისტრაციაში გატარების შესახებ, — ძალაში შედის 29 მაისიდან.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— დღეს, 27 მაისს, დილის 10 საათზე დანიშნულია ს. კ. პ. (ბ) ც. კ: **ბეჭდვითი განყოფილების კოლეგიის სხდომა.**

სხდომას აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: მ. ორახელაშვილი (განათ. სახ. კომისარ.), მ. ბიბინეიშვილი, ვ. იმედაძე, ა: ასათიანი, შუშანია, ნ. კიკნაძე, ს. ჯაფარიძე, კუპრაძე, ცხაკაია, ბუაჩიძე, რაზმანი და ჩანტლაძე.

— სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის და ქიმიო - ფარმაცევტიული დარგის კომუჯრედის ბიურო აცხადებს, თავის წევრების და კანდიდატების საყურადღებოდ, რომ დღეს, 27 მაისს, საღამოს 6 საათზე უნივერსიტეტის შენობაში შესდგება უჯრედის დახურული კრება. დასწრება სავალდებულოა.

— საქ. ცენტრ. საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. ნიკოლოზ სიხარულიძეს 30 მაისს, დილის 9 საათზე გამოცხადდეს ცენტრ. საკონტ. კომისიაში (რუსთაველის პროსპ. 24, მესამე სართული, ოთახი 11).

— დღეს, საღამოს 7 საათზე, შესდგება სახ. უნივერსიტეტის [illegible] ფაკ. ლ. კ. კ: უჯრედის კრება:

წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

აგრეთვე უნდა გამოცხადდნენ ის ამხანაგები, რომელთაც აქვთ შემოტანილი განცხადებები.

— ს. ა. ლ. კ. კ: სახ: უნივერსიტეტის პედაგ: ფაკულტეტთან არსებული უჯრედის ბიურო აცხადებს პედ. ფაკ. მე-3 და მე-4 კურსელ ყველა კომკავშირელების საყურადღებოდ, რომ ასინი უნდა გამოცხადდნენ ბიუროში დღეს, 27 მაისს, საღამოს სრულ 6 საათზე.

დღეს, პარასკევს, მაისის 27-ს განსვენებულ

თამარ (თამრიკო) თევდორეს ასულის ქორდანიას

გარდაცვალების წლის თავზე, დიდუბის სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ განსვენებულის ძმები გიორგი, თევდორე და იოსებ ქორდანიები, ოჯახებითურთ. დასაწყისი სწორეთ საღამოს 6 ნახ. საათზე. 2853

გაუთავებელ ტანჯვაში მყოფი ქვრივი ვარდო გაბრიელის ასული ინწკირველი, უნუგეშოთ დარჩენილი დედა გვიტო, და მატა კაციას ასული მურვანიძე, ძმა კირილე კაციასძე ინწკირველი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ კვირას, 29 მაისს, 1 საათზედ, ნიკოლოზის ეკლესიაში, ვერაზე, გადახდილი იქნება პანაშვიდი

ვიქტორ კაციას ძე ინწკირველის

სულის მოსახსენებლად. 2847

ღრმად დამწუხრებულნი: და—სოფიო მიხეილის ასული ზალდასტანიშვილისა, დისწულები შალვა და თამარ ზალდასტანიშვილები, სიძე მიხეილ ტაბლიაშვილი, ამით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ამა წლის 25 მაისს გარდაიცვალა უძვირფასესი და პირველისა და საყვარელი დეიდა უკანასკნელთა

ანა მიხეილის ასული ყულუმბეგაშვილი

პანაშვიდი და გამოსვენება პარასკევს, 27 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე, მიხეილის საავადმყოფოდან. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. 2857

ფოთის მთლიანი მუშათა კოოპერატივი გულითადი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ სამშაბათს 24 მაისს ღამის 12 საათზე გარდაიცვალა გამგეობის წევრი ამხანაგი

მიხეილ ბესარიონის ძე ესაკია

გამოსვენება დანიშნულია შაბათს 28 მაისს ნაშუადღევის 5 საათზე, არჩილ ჯორჯაძის ქუჩა, სახლი თბილისის ქალაქის ბანკისა, დაკრძალვა ნაძალადევის სასაფლაოზე. ნ. 1241

გულდათუთქულნი და უზომო დამწუხრებულნი მეუღლე ქალი კონსტანტინეს ასული, მისი გაზრდილნი ნათელა და ფუცუ ქმრით ლევან გვალიათი, ცოლის ძმა მუხრან ანთელავა, ცოლის და ოლღა წულეისკირი შვილებით ანტოშა და მანია ჯავახიასი, ძმის შვილები ფედოსია ქმრით ბაგრატით გუგუშვილები და მანია ქმრით კოლია ადლეიბა, დები ივლიტე შვილებით კოლია და გიორგი საბაშვილები და მანია დგებუაძისა, პანტუ შვილებით ალიოშა, იონა, გიორგი და შოთა ჯავახიები, სიძე ფარნა ჯავახია, აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ მათთვის ძვირფასი და უდროვოდ დაკარგული

ალექსი სოლომონის ძე მულუას

ორმოცის წირვა დანიშნულია ქალ. ოჩემჩირეში, შაბათს 4 ივნისს, დღის 12 საათზე. 2860

„კომუნისტი"
ხელისმოწერა მიიღება
თბილისში—მთავარ კანტორაში, რუსთაველის პროსპ. 34
პროვინციაში

1. **ხაშურში**—განყ. გამგე **მათე გოგუაძესთან**—მთელი გორის მაზრისთვის.
2. **ჭიათურაში**—განყ. გამგე **გ. გოგელიასთან**—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. **ქუთაისი**—განყ. გამგე **მ. ტყაბლაძესთან**—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. **ხონში**—„ეპოს" წიგნის მაღაზია.
5. **სამტრედია**—განყ. გამგე **ვლ. გოგელიასთან**—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. **სენაკი**—განყ. გამგე. **ესებუასთან**—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. **აბაშა**—განყ. გამგე **მიქაძესთან**—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
8. **ფოთი**—ფოსტა ტელეგ. კანტორაში.
9. **ბათომი**—„კომუნისტი"-ს კანტორაში—მთელი აჭარისტანისთვის
10. **ზესტაფონი, ჩხარი, სვირი, აჯამეთი.** ათ. ცხომელიძე.
11. **დიდი ჯიხაიში**—წიგნის მაღაზიაში **გიორგი ბიბილეიშვილთან.**
12. **ოზურგეთი**—განყ. გამგე **პოლ. ინწკირველთან**—მთელი ოზურგეთის მაზრისათვის
13. **თელავი**—განყ. გამგე **რევაზოვთან**—მთელი თელავის მაზრისათვის.
14. **სიღნაღი**—განყ. გამგე **ა. მდივანოვთან**—სიღნაღის მაზრისათვის.
15. **ზუგდიდში**—პოლიტგანის კიოსკში—**კილასონიასთან.**
16. **სოხუმში**—ფოსტა ტელეგ. კანტორაში
17. **ველისციხის და გურჯაანის რაიონში**—განყ. გამგე **შიშნიაშვილი ესტატე**
18. **სად. ბორჯომი**—რ. თარგამაძესთან
19. **ბორჯომ-ბალი**—მაკაცარია

და სპეციალურ რწმუნებულების საშვალებით, რომლებიც აღჭურვილი არიან კანტორის სათანადო მოწმობებით

„კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

0—1

კოოპ. ამხ. „კახეთის"
სალიკვიდაციო კომისია

ამით აცხადებს, რომ მან 24 მაისს დაამთავრა ამხანაგობის ლიკვიდაცია და ამ დღიდან თავისთავს გაუქმებულად თვლის.

ნ. 1244. ამხ. „კახეთის" სალიკვიდაციო კომისია.

ჭიათურის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი
შ. ს. ლაბაძე

ამით აცხადებს, რომ 31 მაისს 1927 წ. დღის 12 საათზე ის გაყიდის **საჯარო ვაჭრობით** მიხეილ კაციას-ძე გამყრელიძის დუქნის შენობას აგებული ნინოშვილის ქუჩაზე № 23, დაფასებული 800 მან. დასაკმაყოფილებლათ ვალერიან ოდილავაძის და სხვ. ვალის, თანახმათ ბრძანებისა თბილისის პირველი უბნის სახალხო სასამართლოსი და სხვ. აღმასრულებელ ფურცლების და ბრძანებისა, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს შენობის საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული სამ. სამ. საპ. კოდ. მე-311 მუხ. და შენობის შეფასების 10 პროც. საწინდარი. 2859

ქ. თბილ. მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი
ქ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 30 მაისს 1927 წლ., დღის 11 საათზე სახლში № 20 დავითაშვილის ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის რაგამ ელას ოღლის ნახევარ უფლებას უძრავ ქონებაზე: სამ სართულიან სახლს იუდა ფარლაგაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის აღმოს. საქ. ოლქის სახალხო სასამართლოსაგან 11 დეკ. 1927 წლ. თარიღით, № 28258 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

ვაჭრობა დაიწყება შეძლეულ შეფასებიდან. ვაჭრობა მოხდება დაცვით 310, 311, 312, 313, 314 მუხ. სამოქ. სამარ. საპროც. კოდექსის. 2858

ქ. თბილისის 1-ლი უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებ.
ძოძუაშვილი

აცხადებს, რომ 30 მაისს, ნაშუადღევის 1 საათზე მარტინოვის ქ. № 32, გაიყიდება **საჯარო ვაჭრობით** სამ სართულიანი სახლი, რომელიც ეკუთვნის მოქ. პავლე ესტატეს-ძე ლომაძეს და მდებარეობს ქ. თბილისში მარტინოვის ქ. № 32. სახლი შესდგება 18 ოთახისაგან და 4 სამზარეულოსგან. ვაჭრობა დაიწყება პირველ შემოძლეულ ფასიდან. გაყიდვა დანიშნულია ქ. თბილისის თამბაქოს ტრესტის და სხვ. პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად საერთო ჯამით 12.714 მ. 85 კ.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებთ ევალებათ ვაჭრობის დაწყებამდე წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს სამ. საპრ. კოდ. მე-311 მუხლში გათვალისწინებული ცნობები; გარდა ამისა ვაჭრობის დაწყებამდე საჭიროა წარუდგინოს საწინდარი შეფასებულ ჯამის 10 პროც. ე. ი. 1.200 მან. 2844

ქ. თბილისის მე-2 რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ნესტორ იზორია

ამით აცხადებს, რომ ის 1 ივნისს 1927 წლ. დღის 1 საათზე სახლში № 31 პუშკინის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის იოსებ და ასია ხანლაროვების მოძრავ ქონებას: 18 ფუთ ბრინჯს, ხუთი ფუთ შაქარს, ხუთი ფუთი შაქრის ფხვნილს და სამ ფუთ ბაწარს, შეფასებულს 275 მანეთად, ილარიონ გაგუას ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სასამართლოსაგან 23 ნოემბ. 1925 წლ. თარიღით, № 3691 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2856

ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი

ამით აცხადებს, რომ 31 მაისს 1927 წ., 2 საათზე, სახლი № 13 სიონის შესახვევი, მე-4 სამილიციო უბანში, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სოლომონ ენუქაშვილის სახლს, თამბაქოს ტრესტის ვალის დასაკმაყოფილებლად, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს 3 ივნისის 1926 წ. თარიღით № 25149, გაცემულ აღმასრულებელ ფურცლის ძალით. ეს სახლი არის ორი სართულიანი დახურული ბანით, შესდგება ცხრა ოთახისაგან და ორი სამზარეულოსაგან, შეფასებულია 3000 მ. საჯარო ვაჭრობა მე-2-ა, რის გამო ვაჭრობა დაიწყება შეძლეული ფასიდან. მყიდველმა უნდა დაიცვას სამოქ. საპ. კოდ. 311, 312 მუხლებში აღნიშნული წესები. 2850

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გ. ქ. ჯინჭველაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 30 მაისს 1927 წლ., დღის 1 საათზე, სახლში № 34 დარაბა № 01107 საჩაიეში, ვოკზალის ქუჩა, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ბაგირ მამედ ოღლის მოძრავ ქონებას: სკამებს, მაგიდებს, სამოვარს, საყინულეს, შკაფს და სხ., შეფასებულს 100 მანეთად, სახკვების კავშირის და სხვათა ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 24 მაისს 1927 წლ. თარიღით, № 1731 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1242

ჭიათურის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი
შ. ს. ლაბაძე

ამით აცხადებს, რომ ის გაყიდის **საჯარო ვაჭრობით** 30 მაისს 1927 წლ. დღის 12 საათზე ჭიათურის სამრეწველო რაიონში მიხაკო კაციას-ძე გამყრელიძის 25 პროც. ერთ სარეცხ ქარხნისას აგებული დარკვეთში დაფასებული 1500 მანეთი დასაკმაყოფილებლათ ვალერიან ოდილავაძის და სხვ., ვალის, თანახმათ ბრძანებისა თბილისის პირველი უბნის სახალხო სასამართლოსი და სხვ. აღმასრულებელი ფურცლებისა და ბრძანებისა, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს შენობის საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული სამ. სამ. საპ. კოდ. მე-311 მუხ. და შენობის შეფასების 10 პროც. საწინდარი. 2859

აპოლლო
ტელ. 7—61.
არფასტო
ტელ. № 19—22.
სოლეი
ტელ. 20—44.
დარბაზი
ტელ. 14—03.
0—20 ნ. 1094

ბარბარა ლა-მარ იშვიათ მხატვრულ სურათში
„მეკობრეთა მთამომავლები"
ყველამ უნდა ნახოს ეს შესანიშნავი სურათი

ნ. კოვანკო, რიმსკი და კოლინი საუკეთესო სურათში
„ქალი ნიღაბში"
(ამ სურათს არაფერი საერთო არა აქვს თბილისში ნაჩვენებ სურათთან—„ქალიშვილი ნიღაბში)".

განსაკუთრებული ინტერესის გამო—კიდევ ოთხი დღე
მხოლოდ „სოლეიში"—„დეკაბრისტები"
ყოველ დღე ანშლაგები. იჩქარეთ ნახვა

მეტად საინტერესო სურათის
„ნიუ-იორკის საიდუმლოებანი"-ს
ახალი ეკზემპლიარი 6 სერიათ, 35 ნაწ. მთავარ როლში ცნობილი **პირლ უაიტ.** 1—2 სერია ერთად.

ანონსი: ჩქარა 2 საუკეთესო სურათი: სამის სიყვარული, „СОЛИСТКА ЕГО ВЕЛИЧЕСТВА"

ადონ
რა არის ადონი?
2—1 ნ. 1231

ბორჯომის მინერალური წყალის სამმართველო
რუსთაველის გამზირი № 10 ტელ. 6—78
საწყობები: რუსთაველის გამზირი № 33
პლეხანოვის გამზირი № 93.
წყალის ფასი საწყობებიდან: არა ნაკლებ 20 ბოთლისა ადგილზე მიტანით უჭურჭლოთ 20 კაპიკი.
ცარიელი ბოთლები მიიღება აღნიშნულ საწყობებში განუსაზღვრელ რაოდენობით (ცალი 10 კაპიკად.
მუშაობა სწარმოებს 8—4 საათამდე. ნ. 1239 2—1

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—21

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 13—1

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

ექიმი
ბ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, №3. 25—1

პროფესორმა
გრ. მ. მუხაძემ
ლენინგრადში გამგზავრების გამო
შესწყვიტა
ავადმყოფების მიღება 15 ივნისამდე. 10—1

დაიკარგა სამხედრო წიგნაკი № 117, პირადობის მოწმობა № 19 მათე ლევანისძე ნიავაძეს სახელზე, ჩ. გ. 2846

დაიკარგა სიმწიფის მოწმობა, ტელეგრაფის კურსების დამთავრების მოწმობა, მეტრიკული ამონაწერი და სამსახურის მოწმობა, ხარიტონ ნიკურაძეს სახელზე, ჩ. გ. 2848

დაიკარგა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 3920 იოსებ დიმიტრისძე ტურაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2854

დაიკარგა მიწა-ტყის კავშირის წიგნაკი № 2357 შალვა პეტრესძე გურგენიძეს სახელზე, ჩ. გ. 2855

საქართველოს კურორტთა მთავარი სამმართველო

აცხადებს, რომ ა. წლ. 11 ივნისს ქალ. თბილისში კურორტთა სამმართველოს ბინაზე (მე. სანგრეთა ქუჩა № 30, მეორე სართული) დანიშნულია

დახურული საჯარო ვაჭრობა განმეორებითი ვაჭრობის დაშვებით 15 ივნისს, კურორტ **აბასთუმანში წყალსადენის და კანალიზაციის პირველ ხამუშაოების გაცემაზე.**

წყალსადენი: წყლის მისაღების და მიწის ქვემო წყლის აუზის აშენება.

კანალიზაცია: ბადეს, ემშერ-ჰის, ფეკალო-სამეურნეო წყლების დეზინფექტორი, სამკურნალო აბაზანების დეზინფექტორი, ბიოლოგიურ ფილტრის და შლამის მოედნების აშენება.

სამუშაოები უმთავრესად ტინობიანია და რკინა-ტინობიანი, დაახლოვებით 130.000 მანეთის ღირებულებისა. პროექტების, ხარჯთ-აღრიცხვების და კონდიციების გაცნობა შეიძლება საკურორტო სამმართველოში, ინჟენერ ბუზოლლისთან ყოველდღე, გარდა უქმეებისა, 12—2 საათამდე. ნ. 1243

თბილისის ქალაქის ლომბარდის სააუქციონო კამერა

აცხადებს, რომ კვირას, 29 მაისს, დილს 10 საათზე, სასახლის ქ. № 3, დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

სახკომფინის და დამზღვევი სალაროს დავალიანების ასანაზღაურებლათ გაიყიდება კომოდები, შკაფები, სარკეები, ხალიჩები, ოქრო ვერცხლეულობა და სხვა საოჯახო ნივთები. ნ. 1240

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.